

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

სურგულაძისა და ნანიეშვილის პოლემიკა

დ. გეგენავას რედაქტორობით

თბილისი

2012

წიგნში ქართული სამართლის კლასიკოსების, იროდიონ სურგულაძისა და გიორგი ნანეიშვილის წერილებია შესული. ნაშრომები მე-20 საუკუნის ოციან წლებშია შესრული და მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში მიუღებელ ლიტერატურად მიიჩნეოდა.

წიგნი განკუთვნილია იურისტების, ფილოსოფოსების, სამართლის თეორიის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: **დ. გეგენავა**

სარედაქციო ჯგუფი: **ა. თოხაძე**  
**ა. ოსაძე**  
**მ. ტყაბლაძე**  
**მ. გაბუნია**  
**თ. ზაალიშვილი**  
**თ. ვარდიშვილი**  
**თ. ჯაჭვიაძე**

ყდის დიზაინი: **ზ. ბეჟაშვილი**  
**დ. გეგენავა**

*ყდაზე გამოსახულია მეოცე საუკუნის ათიანი წლების ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობა.*

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2012

© საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, 2012

## შინაარსი

წინათქმა.....5

**დ. გეგენავა**, ქართული სამართლებრივი აზრის ისტორიიდან:  
სურგულაძე-ნანეიშვილის პოლემიკა .....7

**ირ. სურგულაძე**, დასკვნა გ. ნანეიშვილის სადისერტაციოდ  
წარმოდგენილ ნაშრომზედ „სამართლის ნამდვილობა და ცდა  
ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ .....13

**გ. ნანეიშვილი**, ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის.....59

**ირ. სურგულაძე**, იურიდიული მეთოდოლოგიისათვის -  
პასუხი გიორგი ნანეიშვილს .....80



## წინათქმა

„სურგულაძისა და ნანეიშვილის პოლემიკა“ დავით ბატონიშვილის რარიტეტული გამოცემების სერიის პირველი წიგნია. ინსტიტუტის მიზანია, საბჭოთა კავშირის პერიოდში აკრძალული ან მივიწყებული გამოცემების გამოქვეყნება. რარიტეტული გამოცემების ეგიდით, დაგეგმილია ალექსანდრე ვაჩეიშვილის, გიორგი ნანეიშვილისა და სხვათა ნაშრომების დამუშავება-გამოქვეყნება. ამ მხრივ, უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, ო. გამყრელიძეს, გ. ხუბუასა და ე. კოდუას, რომელთა რედაქტორობითაც სხვადასხვა პერიოდში გამოიცა ირ. სურგულაძის, ალ. ვაჩეიშვილისა და გ. ნანეიშვილის შრომები.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გამოცემის სარედაქციო ჯგუფს: ა. თოხაძეს, ა. ოსაძეს, მ. ტყაბლაძეს, მ. გაბუნიას, თ. ზაალიშვილს, თ. ვარდიშვილსა და თ. ჯაჭვაძეს, რომელთა დაულალავი შრომის შედეგია წარმოდგენილი კრებული. წერილებში მხოლოდ უმნიშვნელო სარედაქციო ხასიათის ცვლილებებია შესული, ძირითადად ტექსტი პირვანდელი სახითაა მოცემული. მადლობას გადავუხადი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებს, რომელთაც მოგვანოდეს უნიკალური მასალა წიგნის შესაქმნელად.

ვიმედოვნებ, გამოცემა ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართულ სამართლებრივ ბიბლიოთეკაში და კიდევ ბევრ ქართველ და არამართო ქართველ იურისტს გაუჩნდება სურვილი, გაეცნოს ქართულ სამართლებრივ კლასიკას.

დიმიტრი გეგენავა

დავით ბატონიშვილის სამართლის  
ინსტიტუტის დირექტორი

ნოემბერი, 2012 წ.  
თბილისი

---

<sup>1</sup> იხ., გ. ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, ე. კოდუას რედაქტორობით, თბილისი, 1992; ირ. სურგულაძე, ხელი-სუფლება და სამართალი, ო. გამყრელიძის თარგმანი, გ. ხუბუას რედაქტორობით, თბილისი, 2002; ალ. ვაჩეიშვილი, სამართლის ზოგადი თეორია, ო. გამყრელიძისა და მ. მარინაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2010.



**ქართული სამართლებრივი აზრის ისტორიიდან:  
სურგულაქა-ნანაიშვილის პოლემიკა**

„ჭეშმარიტება კამათში იბადებაო“, - ნათქვამია. ძნელია, არ დაეთანხმო, თუმცა რაოდენ რთული და მტკივნეული არ უნდა იყოს კამათი ყოფით ურთიერთობებში, დროთა განმავლობაში ვხვდებით მის გარდაუვალ აუცილებლობას. კამათის თავიდან აცილება ხშირად მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და წარმატების მიღწევის უცილობელი წინაპირობაა. სრულიად განსხვავებულია მეცნიერება, რომელშიც სამეცნიერო პოლემიკა, ჯანსაღი დისკუსია არათუ საჭირო, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელია მეცნიერების განვითარებისა და აზროვნების სრულყოფისათვის. მეცნიერება ხომ, საბოლოო ჯამში, სწორედ კრიტიკაზეა დაფუძნებული<sup>2</sup>.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ნებისმიერი სამეცნიერო დისკუსია და პოლემიკა დასაგმობი, ავადსახსენებელიც კი გახლდათ სხვადასხვა მიზეზთა გამო. მსგავს გარემოში სამეცნიერო სინამდვილე სრულ უძრაობაშია და არ პროგრესირებს, რაც მის კვდომასა და აკადემიის, როგორც სუბსტანციური შემოქმედებითი საზოგადოების გაქრობას განაპირობებს.

სამართალი არ გახლავთ მეცნიერების კლასიკური დარგი, რომელიც გარკვეულ აკადემიურ ჩარჩოებშია მოქცეული (ამ შეთმხვევაში სხვა მეცნიერებათა ბუნებისგან განმასხვავებელ ნიშანზეა ხაზი გასმული, რადგან მოქმედების თვალსაზრისით, სამართალი, შესაძლოა, უფრო მეტი ჩარჩოთი იყოს შემოზღუდული, ვიდრე მეცნიერების ყველა დარგი, ერთად აღებულნი). იგი უფრო ინტერდისციპლინური მიმართულებაა, რომელიც, ერთგვარად, ხელოვნებასაც კი უახლოვდება. ჯერ კიდევ ულპიანე უწოდებდა მას სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნებას.<sup>3</sup> თუკი მეცნიერების უზოგადესი მიზანი ჭეშმარიტების დადგენა და მიღწევა უნდა იყოს, სამართალში

<sup>2</sup> ჰუსერლი ე., პარიზული მოხსენებები, ნ. ნათაძის თარგმანი, თბილისი, 2010, 91.

<sup>3</sup> Jus est ars boni et aequi, Dig. 1.1.1., Domini Nostri Sacratissimi Principis Iustiniani Iuris Enucleati Ex Omni Vetere Iure Collecti Digestorum Seu Pandectarum, Liber Primus.

განსხვავებული მდგომარეობაა - აქ, პირიქით, ძალზედ ბევრია ჭეშმარიტი პასუხი, რომელთაგან უკეთესს, შესაბამისს ვარჩევთ,<sup>4</sup> ისევე, როგორც არ არსებობს სამართლის ნორმის სწორი განმარტება, არსებობს შესაბამისი ინტერპრეტაცია, რომელიც სამართლის გამოყენების (შეფარდების) მიზნობრიობაზეა დამოკიდებული.<sup>5</sup> თუმცა ჭეშმარიტების ძიების დაუსრულებელი პროცესი, კამათითა და აზრთა ჭიდილით, სწორედ რომ სამართლის განხორციელების, მისი არსებობისა და ნამდვილობის უმთავრესი საფუძველია. მეცნიერთა პოლემიკა, აზრთა ურთიერთგაცვლა სამართალს სიცოცხლისუნარიანად და ქმედითად აქცევს.<sup>6</sup> აუცილებელია, აღნიშნული პროცესი ჯანსაღი და დადებითი ხასიათის მატარებელი, აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული გახლდეთ.

სამართლებრივ საკითხებზე (მითუმეტეს სამართლის ფილოსოფიისა და თეორიის თემატიკაზე) კამათს დიდი განსწავლულობა სჭირდება: ერთი მხრივ, უნდა იცნობდე ოპონენტის შეხედულებებს და მეორე მხრივ, გათვითცნობიერებული უნდა იყოთ თავად სამართლის მეცნიერებაში, რათა ჯეროვანი შედარებითი ანალიზი მოახდინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი კამათი არასერიოზული იქნება და ერთგვარად, გაამქვეყნიურდება.

XXI საუკუნეში ქართული სამართლებრივი საზოგადოება სრულიად მოკლებულია სამეცნიერო კამათს, პოლემიკას. ეს კი, სამწუხაროდ, სრულებით არ არის იმის მანიშნებელი, რომ საკამათო, სამსჯელო თემატიკა ამონურულია ან არ არსებობს. საქართველოში დღემდე ღრმად ფესვგადგმულია სტერეოტიპები, რომლებიც აკნინებენ ქართულ სამართლებრივ აზროვნებას. კრიტიკა ხშირად შეურაცხყოფად აღიქმება და აღიზიანებს ხალხს. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ სწორედ ამ „მდაბიური“ მიზნით წერს ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ავტორი კრიტიკას.

ჩვენს სამართლებრივ ლიტერატურას მდიდარს ნამდვილად ვერ დავარქმევთ, პირიქით, იგი ძალზედ ღარიბია. ამ ვითა-

<sup>4</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004,

<sup>5</sup> Barak A., Hermeneutics and Constitutional Interpretation, Cardozo Law Review, Vol. 14, 1992-1993, 769.

<sup>6</sup> თავისუფლად შეიძლება პარალელი მარშალისეული „ცოცხალი კონსტიტუტიციის“ იდეასთან გავავლოთ, რომელიც სხვა არაფერია თუ არა სამართლის დინამიურობის, დროსთან თანამხვედრი არსობისთვის ხაზგასმია.



რებაში კი ნებისმიერი (თუნდაც უხარისხო) ნაშრომი „ხელის-  
ულ საგოგმანება“.

ქართული სამართლებრივი აზრის ისტორიაში უდავოდ  
გამორჩეულია მეოცე საუკუნის ოციან წლებში გამართული  
რამდენიმე სამეცნიერო დისკუსია სამართლის აქტუალურ  
საკითხებზე, რომელთა შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია  
იროდიონ სურგულაძისა და გიორგი ნანეიშვილის პოლემიკა.  
სწორად აღნიშნავენ, რომ „ამ დონის პოლემიკა სამართლის  
თეორეტიკოსებს შორის არ ყოფილა არ მანამდე და არც მას  
შემდეგ“<sup>7</sup>. ხსენებულ მეცნიერებს ერთობ საინტერესო,  
ერთგვარად, ლირიული, თუმცა ტრაგიკული ხვედრი ხვდათ.  
ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ იროდიონ სურგულაძეს  
სთხოვეს, ნანეიშვილის დისერტაციის დაცვაზე დისერტანტი-  
სათვის ოპონირება გაენია. პროფესორი სურგულაძე თავად  
გახლდათ პირველი იურისტი, რომელმაც თბილისის სახელმ-  
ნიფო უნივერსიტეტში მოიპოვა სამართლის დოქტორის აკა-  
დემიური ხარისხი (1927 წ.) გერმანულ ენაზე შესრულებული  
ნაშრომისათვის, თემაზე - „ხელისუფლება და სამართალი“<sup>8</sup>  
(Gewalt und Recht, ტფ. უნივერ. გამომცემლობა<sup>9</sup>). სადისერტა-  
ციო საბჭოს დავალებით, მან წარმოადგინა საკმაოდ ვრცელი  
დასკვნა ნანეიშვილის სადისერტაციო ნაშრომზე - „სამარ-  
თლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტის დასაბუ-  
თებისა“<sup>10</sup>. დასკვნაში მწვავედ იყო გაკრიტიკებული როგორც  
კვლევის მეთოდი, ისე ნაშრომის სისტემურობა და ავტორი-  
სეული შეფასებები.<sup>11</sup> სურგულაძის შეფასებით, ნაშრომის ავ-

<sup>7</sup> კოდუა ე., სამართლის ფილოსოფიის და სოციოლოგიის პრობლე-  
მები გიორგი ნანეიშვილის ნააზრევში, ნაშრომში: ნანეიშვილი გ.,  
სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბილისი, 1992, 13.

<sup>8</sup> გამყრელიძე ო., იროდიონ სურგულაძე და მისი წიგნი „ხელი-  
სუფლება და სამართალი“, ნაშრომში: სურგულაძე ირ., ხელისუფ-  
ლება და სამართალი, ო. გამყრელიძის თარგმანი, გ. ხუბუას რე-  
დაქტორობით, თბილისი, 2002, 4.

<sup>9</sup> ქართულ ენაზე თარგმნა ო. გამყრელიძემ, გ. ხუბუას რედაქტორო-  
ბით, იხ., სურგულაძე ირ., „ხელისუფლება და სამართალი“, თბილი-  
სი, 2002.

<sup>10</sup> ნანეიშვილმა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი 1930  
წლის 11 აპრილს მოიპოვა. იხ., კოდუა ე., სამართლის ფილოსო-  
ფიის და სოციოლოგიის პრობლემები გიორგი ნანეიშვილის ნა-  
აზრევში, ნაშრომში: ნანეიშვილი გ., სამართლის ფილოსოფიის სა-  
კითხები, თბილისი, 1992, 11.

<sup>11</sup> იხ., სურგულაძე ირ., დასკვნა გ. ნანეიშვილის სადისერტაციოდ  
წარმოდგენილ ნაშრომზედ „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორ-  
მატიული ფაქტების დასაბუთებისა“, ნაშრომში: სურგულაძე ირ.,  
ხელისუფლება და სამართალი, თბილისი, 2002, 213-245.

ტორი მხოლოდ იმიტომ იმსახურებდა დოქტორის ხარისხს, რომ ქართული სამართლის მეცნიერება მნიშვნელოვნად მოისაკლისებდა მსგავს თემატიკაზე შესრულებულ ნაშრომებს<sup>12</sup> (სამწუხარო პარადოქსია, რომ მდგომარეობა არც თითქმის საუკუნის შემდეგ შეცვლილა, რასაც თავისი ობიექტური და ალბათ, უფრო სუბიექტური მიზეზები გააჩნია).

გ. ნანეიშვილი, სურგულაძის მსგავსად, გერმანული სამართლის სკოლის წარმომადგენელი გახლდათ.<sup>13</sup> იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტიპენდიით, პირადად ივანე ჯავახიშვილის ხელშეწყობით, გერმანიაში სწავლობდა.<sup>14</sup> ჩამოსვლის შემდეგ კი მოამზადო სადისერტაციო ნაშრომი, რომელშიც ნათლად ჩანს ნანეიშვილის მსოფლმხედველობა, მისი სამართლებრივი გემოვნება და იმდროინდელი აქტუალური საკითხების ცოდნა.

სურგულაძესა და ნანეიშვილს შორის ურთიერთობები არც ცხოვრებაში იყო დალაგებული, მათმა დაპირისპირებამ პირად ურთიერთობებზეც იქონია მნიშვნელოვანი გავლენა. ნანეიშვილს არ დავიწყებია სურგულაძის გამანადგურებელი რეცენზიით მიყენებული წყენა და ამჯერად, თავად გააკრიტიკა სურგულაძის ნაშრომი<sup>15</sup>. ნაშრომში, „ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის“, ნანეიშვილი სურგულაძეს კვლევის მეთოდოლოგიას უწუნებს, რომლითაც „ხელისუფლება და სამართალია“ შესრულებული და ცდილობს, წიგნის კრიტიკით საკუთარი აკადემიური რეაბილიტაცია მოახდინოს. საბოლოოდ, სამეცნიერო კამათმა წვრილმან, უმნიშვნელო საკითხებზეც კი გადაინაცვლა. კრიტიკას, თავის მხრივ, სურგულაძემაც უპასუხა და ზედმინევენიით სიზუსტით ჩამოაყალიბა

<sup>12</sup> „ვიღებ რა მხედველობაში, რომ ჩვენი იურიდიული ლიტერატურე ძალზედ ღარიბია მონოგრაფიული გამოკვლევებით, რომ ნორჩი ქართული იურიდიული აზროვნებისთვის შეუძლებელია დიდი მოთხოვნის დასაყენება და ამასთან შეფარდებით შეფასების მასშტაბიც აქ სხვა უნდა იყოს, რომ სარეცენზიო ნაშრომის ავტორს ემჩნევა ერთგვარი ნაკითხობა თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში, შესაძლებლად მიმაჩნია სარეცენზიო ნაშრომი დაშვებულ იქნეს პაექრობაზე დასაცავად.“ - იქვე, 244.

<sup>13</sup> ნანეიშვილს ლექციებს ფრაიბურგში ჰუსერლი, ხოლო ბერლინში - შტამლერი უკითხავდნენ. მისი ნაშრომები განიცდიან ამ და სხვა გერმანულ ავტორთა ზეგავლენას. იხ., კოდუა ე., სამართლის ფილოსოფიის და სოციოლოგიის პრობლემები გიორგი ნანეიშვილის ნააზრევში, ნაშრომში: ნანეიშვილი გ., სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბილისი, 1992, 3-4.

<sup>14</sup> იქვე, 4-10.

<sup>15</sup> იგულისხმება Gewalt und Recht.

არამხოლოდ კონტრარგუმენტები, არამედ თავად ნანეიშვილს დაუწუნა წერილი.

ხსენებული ნაშრომები არ წარმოადგენს უბრალოდ ორი პროფესორის სამეცნიერო დისპუტს. თითოეული მათგანი განმსჭვალულია ავტორთა თანამედროვეობის ცნობილი მეცნიერების (კელზენი, ჰარტმანი, ჰუსერლი, მერკლი და სხვ.) მოსაზრებების ანალიზითა და კრიტიკით, სამართლის თეორიისა და ფილოსოფიის იმ საკითხებზე მსჯელობით, რომლებიც დღემდე არ კარგავენ სიმძაფრეს. ნაშრომების ანალიზი ნათლად გვაჩვენებს განვითარების იმ დონეს, რომელიც XX საუკუნის ოციან წლებში ქართულ საუნივერსიტეტო განათლებაში არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტებში ქართული ენისათვის (მათ შორის თანამედროვე სამართლებრივი ენისათვის) ბევრი მიუღებელი ცნებაა, რამაც შესაძლოა გარკვეული უხერხულობა შექმნას (ამას თავად ტექსტის სიძველე და განსახილველ საკითხთა სირთულეც ემატება), ისინი XX საუკუნის სამართლის ფილოსოფიისა და თეორიის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს.

სურგულაძე და ნანეიშვილი, ვაჩეიშვილთან და ჯაფარიძესთან ერთად, იმ პროფესორთა კატეგორიაში აღმოჩნდნენ, რომელთა ნააზრევიც საბჭოთა იდეოლოგიური მანქანისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. მეცნიერები უნივერსიტეტშივე „გაასამართლეს“ და ანტიმარქსისტულ აზროვნებაში დასდეს ბრალი.<sup>16</sup> ბედის ირონია კი ის გახლდათ, რომ ნანეიშვილს სურგულაძისეული კრიტიკით ასამართლებდნენ, ხოლო სურგულაძეს - ნანეიშვილის სტატიით.<sup>17</sup> ბრალმდებლებს მათი სადისერტაციო ნაშრომები ბოლომდე წაკითხულიც კი არ ჰქონდათ (მითუმეტეს, რომ სურგულაძის ნაშრომი გერმანულ ენაზე იყო შესრულებული, ბრალმდებლებმა კი, როგორც შემდეგში უშუალოდ „პროცესებზე“ გაირკვა, გერმანული საერთოდ არ იცოდნენ).<sup>18</sup> ორივე პროფესორს აუკრძალეს სამართლის თეორიისა და ფილოსოფიის საკითხებზე მუშაობა და აიძულეს ამ სფეროს სამუდამოდ ჩამოშორებოდნენ.

სიცოცხლის დასასრულიც ერთნაირად ტრაგიკული აღმოჩნდა პროფესორებისთვის - საბოლოოდ, ორივე მათგანი საკუთარი პრინციპების ერთგულეებასა და თავისუფალ

---

<sup>16</sup> იხ., კოდუა ე., სამართლის ფილოსოფიის და სოციოლოგიის პრობლემები გიორგი ნანეიშვილის ნააზრევში, ნაშრომში: ნანეიშვილი გ., სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბილისი, 1992, 25.

<sup>17</sup> იქვე, 27-28.

<sup>18</sup> იქვე, 26.

აზროვნებას შეეწირა. ნანეიშვილი თავისი შეხედულებებისა და მიხეილ ჯავახიშვილთან ახლობლობის გამო 1937 წელს დახვრიტეს, როგორც „ხალხის მტერი“. იროდიონ სურგულაძე 1945 წელს უნივერსიტეტში აღესრულა. როგორც პროფესორი ო. გამყრელიძე ბრძანებს: „უაღრესად პრინციპული და მაღალი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული პროფესორი ფაკულტეტის ერთ-ერთ სხდომაზე მომზადარ უზნეობას ვერ შეეგუა. უკიდურესად ნერვებმოშლილი, გულის შეტევის შედეგად თბილისის უნივერსიტეტის რექტორატის შესასვლელ კარში დაეცა და ადგილზევე გარდაიცვალა“<sup>19</sup>. ბექა-ალბულას სამართლის შესახებ სურგულაძის ხელნაწერი, რომელიც პროფესორს გამოუქვეყნებელი დარჩა, გაუჩინარდა და დღემდე დაკარგულად მიიჩნევა<sup>20</sup>.

ქართული სამართლებრივი აზროვნება ბევრი იურისტის ნააზრევს აერთიანებს, რომელთაგან გამოსარჩევია პიროვნებები, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს. მათი შემართებისა და აკადემიური თავგანწირვის წყალობით, თანამედროვეობას უამრავი უნიკალური ძეგლი შემორჩა. სურგულაძისა და ნანეიშვილის ნაშრომები ქართული სამართლის და ზოგადად, ქართული კულტურის ნაწილია, რომლებიც დღევანდელი გადმოსახედიდან, სამართლებრივ კლასიკას განეკუთვნება. აუცილებელია, ერს და განსაკუთრებით, იურისტებს ახსოვდეთ სამართლებრივი აზრის კორიფეები, იკითხონ მათი ნაშრომები, რათა შეიქმნას უამრავი გამართული, მომავალში კლასიკად მოაზრებული შრომა, რასაც ასე მოისაკლისებს ქართული იურიდიული ბიბლიოთეკა.

---

<sup>19</sup> გამყრელიძე ო., იროდიონ სურგულაძე და მისი წიგნი „ხელისუფლება და სამართალი“, ნაშრომში: სურგულაძე ირ., ხელისუფლება და სამართალი, ო. გამყრელიძის თარგმანი, გ. ხუბუას რექტორობით, თბილისი, 2002, 7.

<sup>20</sup> იქვე.

**დასკვნა გ. ნანეიშვილის სადისერტაციოდ წარ-  
მოდგენილ ნაშრომზე „სამართლის ნამდვილობა  
და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“**

(დანერილია სოც.-ეკონ. ფაკულტეტის დავალების თანახმად)

გ. ნანეიშვილის სადისერტაციო შრომა ეძღვნება ნორმატიული ფაქტების პრობლემას. უკანასკნელის შესახებ, ჩვენი ავტორის მტკიცებით, ბევრი რამ არის თქმული სამართლის მეცნიერებაში, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ავტორს აღნიშნული პრობლემა მიაჩნია ყველაზე ნაკლებად დამუშავებულად „მეთოდოლოგიურად გამართულად და თეორიტიკულად დასაბუთებულად“ (გვ. 3). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავტორის პრეტენზიაა პირველი სხივი შეიტანოს სამართლის მეცნიერების იმ წყვიდადით მოცემულ დარგში, რომელსაც „ფაქტიურის ნორმატიული ძალის“ პრობლემა აღნიშნავს — არც მეტი, არც ნაკლები. სამწუხაროდ, ასეთი დიდი პრეტენზია ნიგნის შინაარსით გამართლებული არ არის არც პრობლემის დაყენების, არც მისი გადაჭრის, და ბოლოს, არც ამ გადაჭრის ორიგინალობის მხრივ. ყოველივე ამის შესახებ ვრცლად იქნება მოხსენებული ქვევით, ახლა კი საჭიროა, ნიგნის წინასწარ ზოგადი დახასიათების მიზნით, სხვათა შორის აღვნიშნოთ, რომ გარდა იმ ნაწილებისა, რომელნიც ნაშრომის ძირითად ინტენციასთან დაკავშირებული არ არიან ასეთია, მაგალითად კელზენ-მერკლის თეორიები სამართლის საფეხურებრივი აღნაგობის შესახებ, Vaihinger-ის ფილოსოფიის განხილვა და სხვ. მიუხედავად ამისა, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ნაშრომის ამ ნაწილებზედაც შეჩერება, ვინაიდან ძალიან ხშირად ის დასკვნები, რომლებსაც ჩვენ აქ ვხვდებით, სრულებით შეუსაბამო და უსაფუძვლო ხასიათს ატარებენ. ახლა კი გადავიდეთ ნიგნის ძირითადი დებულებების განხილვაზე.

I

ნორმატიული ფაქტების პრობლემის სისწორით დაყენების მიზნით, ავტორი ნიგნის დასაწყისშივე სცდილობს გააშუქოს

ფაქტიურის და სამართლებრივის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი (ავტორის აზრით, ეს უკანასკნელი სამართლის და ფაქტის დაპირისპირებაშიდ მდგომარეობს, ვინაიდან ასეთი დაპირისპირება გამოსავალი წერტილია ყველა იმ თეორიებისთვის, რომელნიც ნორმატიული ფაქტების პრობლემას იხილავენ). ეს უკანასკნელი ავტორისათვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომის ერთ მესამედზედ მეტი მისი გაშუქების ცდას აქვს მიძღვნილი და სამართლის სინამდვილის (ან როგორც ავტორი ამბობს — ნამდვილობის) პრობლემა, რომელიც სწორედ ამ საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით არის წიგნშიდ მოყვანილი, ნაშრომის სათაურიდან კი არის შეტანილი. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებშიდ ავტორისათვის სავალდებულო იყო როგორც თვითეული დებულების განვითარების დროს სავსებით დამაკმაყოფილებელი გარკვეულობა, ისე თითოეული ტერმინის ხმარების დროს განსაკუთრებული პრეციზობა (სიზუსტე). არც პირველი და არც მეორე მოთხოვნილება ნაშრომში დაცული არ არის, ამის მაგალითებს ჩვენ ახლავე დავინახავთ.

ავტორის აზრით, ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენება აუცილებლად გულისხმობს სამართლის და ფაქტის დაპირისპირებას და ეს იმ თეორიებისთვისაც კი, რომელნიც სამართალს, როგორც რაღაც სოციალურს, ე.ი. ფაქტიურს უცქერიან, ეს იმიტომ, რომ ავტორის მტკიცებით ყოველივე ის, რაც სამართალი არ არის, სამართალს უპირისპირდება. ასეთი მტკიცება აშკარად უსაფუძვლოა, ვინაიდან ყველაფერი ის, რაც სამართალი არ არის, მხოლოდ განსხვავდება სამართლისაგან. აქედგან აშკარაა, რომ იმ თეორიისათვის, რომელიც სამართალშიდ სოციალურ მოვლენას ხედავს, ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენების დროს არავითარი ლოდიკური აუცილებლობა არ არსებობს სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირებისათვის, პირიქით, აქ სავსებით დასაშვებია ისეთი კონსტრუქცია, რომელიც სამართალს გამოჰყოფს, როგორც ფაქტიურის ერთ-ერთ სახეს, ხოლო ნორმატიული ფაქტების სამყაროდ ფაქტიურის მეორე სახეს მიიჩნევს. ის დაპირისპირება კი, რომელსაც ავტორი უთითებს, ბუნებრივი და ლოდიკურად აუცილებელია სამართლის იდეალისტური (ნორმატიული) კონსტრუქციის ფარგლებშიდ. აქედგან აშკარაა, რომ სამართლის და ფაქტიურის დაპირისპირება, რომელიც ავტორს ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენებისას გამოსავალ წერტილად აქვს აღებული და რომელიც გასაგებია სამართლის ნორმატიული (იდეა-

ლისტური) კონსტრუქციის ფარგლებშიდ. აქედგან აშკარაა, რომ სამართლის და ფაქტიურის დაპირისპირება, რომელიც ავტორის ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენებისას გამოსავალ წერტილად აქვს აღებული და რომელიც გასაგებია სამართლის ნორმატიული (იდეალისტური) კონსტრუქციის ფარგლებში, ლოლიკურად დასაბუთებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაშიდ, თუ ავტორი დაგვანახვებდა, რომ სამართლის სწორედ ასეთი კონსტრუქცია არის ერთადერთი სწორი და მისაღები.

სამწუხაროდ, ნაშრომშიდ ეს საკითხი არამც თუ არ არის გადაჭრილი, იგი მას არც კი ეხება და აქედგან პრობლემის დაყენება, რომელსაც ავტორი იძლევა, როგორც დოგმატიური (ე.ი. კრიტიკულად შეუმონმებელი) დებულებიდან გამომდინარე უსაფუძვლო და მიუღებელია.

ეს რაც შეეხება პრობლემის დაყენების სისწორეს. ეხლა გადავიდეთ იმ მომენტების განხილვაზედ, რომელნიც ავტორის აზრით ფაქტს და სამართალს ერთი მეორეს უპირისპირებენ. ავტორისაგან ასეთი დაპირისპირებისათვის გამოყენებულია არა შინაარსობრივი მომენტები, არამედ, ის, თუ რა სახის სინამდვილე ახასიათებს ერთის მხრით ფაქტს, ხოლო მეორე მხრით კი სამართალს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ავტორი ჩერდება ფაქტის და ფაქტიურის სხვადასხვა გაგებაზედ, ავტორის აზრით, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს არც ის შეხედულება, რომელიც ფაქტიურს ყოფის მნიშვნელობით იღებს (ჰეგელი), არც ის შეხედულება, რომლის ფარგლებშიდ ფაქტიური უშუალო მოცემულობით არის დახასიათებული, არც ის შეხედულება, რომლისთვისაც ფაქტი ირრაციონალურობის ცნებით იფარება და არც შეხედულება, რომელიც ფაქტს დროშიდ მომხდარის ან წარმოშობის მნიშვნელობით გაიგებს. სამწუხაროდ, ფაქტის ცნების ამ სხვადასხვა ინტერპრეტაციის საწინააღმდეგოდ ავტორს მხოლოდ ერთი არგუმენტი მოჰყავს, რომელსაც არავითარი დამაჯერებელი ძალა არა აქვს, სახელდობრ, ავტორის აზრით, დახასიათებულ შეხედულებას თუ გავიზიარებთ, ნორმატიული ფაქტის პრობლემა იხსნება, და სწორედ ამიტომ აღნიშნული შეხედულებები უნდა უარყოფილ იქნენ. ეს არგუმენტაცია მეტად უცნაურია, ვინაიდან ნორმალური ლოლიკური მსჯელობა სწორედ საწინააღმდეგო გზით უნდა მიდიოდეს, უკანასკნელისათვის ფაქტის და ფაქტიურის ინტერპრეტაციის საკითხი სწყდება არა იმის მიხედვით, თუ რამდენად უზრუნველჰყოფს ეს ინტერპრეტაცია ამა თუ იმ პრობლემის —

კერძოდ ამ შემთხვევაშიდ ნორმატიული ფაქტების პრობლემის — დაყენებას, არამედ თვით ფაქტის შინაგანი, იმანენტური შინაარსის ანალიზით, მისი არსებითი თვისებების გათვალისწინებით. ამიტომ ფაქტის სხვადასხვა გაგების კრიტიკა ნორმატიული ფაქტების პრობლემის თვალსაზრისით უსაფუძვლოა, მიზანს ვერ აღწევს და სხვადასხვა შეხედულებები, რომელნიც ავტორს მოჰყავს, სინამდვილეში უარყოფილი არიან ყოველგვარი კრიტიკის გარეშე.

თვით ავტორის განსხვავება ფაქტიურის და სამართლებრივის შორის ძალიან ბუნდოვანია და მეცნიერული საფუძვლიანობის მხრივ ბევრს სტოვებს სასურველად. მაგალითისათვის შევჩერდეთ იმ მსჯელობაზედ, რომელიც ამ საკითხის შესახებ მოცემულია ნაშრომის მეხუთე გვერდზედ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ავტორისათვის ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირებისათვის გამოსავალ წერტილად მათი სინამდვილის სახეობის საკითხის ალბათული. ეხება რა ამ საკითხს ავტორი შემდეგნაირად ახასიათებს იმ სინამდვილეს, რომელიც ეკუთვნის, ერთის მხრივ, ფაქტიურის, მეორეს მხრით, კი სამართლებრივ („...სამართალში ნამდვილობა არის ის, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ფაქტის ნამდვილობად ჩაითვალოს“...), ხოლო ფაქტის ნამდვილობა მდგომარეობს სწორედ იმაშიდ, რომ, წარმოადგენს რა, ყოველთვის რაღაც მომხდარს, მას სრულიად სხვა ქმედობა და ტენდენცია აქვს, ვიდრე ნამდვილ სამართალს. ფაქტი მიზეზობრივად გამოწვეულია და იგი ყოველთვის თვით ინვევს რაღაცას, რაც არსებითად სხვა არის, ვიდრე თვით გამომწვევი ფაქტი. ამიტომ ამ შემთხვევაშიდ ის, რაც მომხდარია, როგორც აბსოლუტურად რეალიზებული, სავსებით და მთლიანად ინდივიდუალურია და მაშასადამე, ისტორიულიცაა; ამ სიტყვებშიდ მოყვანილია ის ძირითადი მომენტები, რომლების მიხედვითაც ავტორი ფიქრობს ფაქტიური დაუპირისპიროს სამართალს. ფაქტიურის დახასიათებისთვის ავტორი აქ შემდეგ მომენტებს უთითებს: 1) ფაქტიური არის რაღაც მომხდარი, 2) მიზეზობრივად არის გამოწვეული და თვით ინვევს რაღაცას, რაც არსებითად სხვა არის, ვიდრე თვით გამომწვევი ფაქტი, 3) იგი ინდივიდუალურია და ისტორიული. რაც შეეხება სამართალს, მისი ნამდვილობის დახასიათებას ავტორი შემდგომისათვის გეპირდება და საკითხებზედ ჩვენც ქვევით შევჩერდებით, ახლა კი განვიხილოთ, თუ რამდენად უპირისპირებენ აქ დასახელებული მო-



მენტები მართლაც ერთმანეთს ფაქტიურს და სამართლებრივს.

პირველს აქ დასახელებულ მომენტს, სადაც მითითებულია დროის კატეგორიაზედ, როგორც ფაქტისათვის სპეციფიურად დამახასიათებელზედ, არ შეუძლია განცვიფრება არ გამოინვიოს, ვინაიდან სწორედ იგივე მომენტი ავტორის მიერ გამოყენებულია პოზიტიური სამართლის დახასიათებისას, ეს გარკვევით არის აღნიშნული მესამე თეზისში (გვ. 114) და ნაშრომის სხვა ადგილებზედაც ამაზედ ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე არის მითითებული (იხ. მაღ. გვ. 99, 18, 16, 15 და სხვ.). მართალია, ავტორი სამართლის აზრს ან სამართლის იდეას უტყუერის, როგორც დროშიდ უტყველს, ე.ი. როგორც ისეთ რამეს, რაც დროის კატეგორიას არ ექვემდებარება, მაგრამ ჯერ ერთი, როგორც ამას ქვევით დაინახავთ, ავტორის ნაშრომის მიხედვით შეუძლებელია რაიმე გარკვეული წარმოდგენა მივიღოთ იმის შესახებ, თუ რა არის ეს სამართლის აზრი ან იდეა, რა თვისებებით ხასიათდება იგი, მთავარი კი იმაშიდ მდგომარეობს, რომ დამოუკიდებლად იმისგან, თუ როგორ გავიგებთ სამართლის იდეას, ხომ უდავოა, რომ პოზიტიური სამართალი, ისე როგორც სამართლის ესა თუ ის კონკრეტული ნორმა სამართლებრივის დარგს ეკუთვნის და როდესაც ავტორი ამტკიცებს, რომ პოზიტიური სამართალი დროშიდ ცვალებადია, მას უკვე აღარ შეუძლია ცვალებადობის მომენტი ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირებისათვის გამოიყენოს.

აქედან, დანარჩენი მომენტებიც, რომლებსაც ავტორი უთითებს სამართლის და ფაქტის დაპირისპირების დროს, იმავე შინაგანი წინააღმდეგობის მაჩვენებელი არიან ავტორის კონსტრუქციაშიდ, სახელდობრ, როგორც მიზეზობრივი დამოკიდებულება, ისე ისტორიულობაც აშკარად გულისხმობენ დროის კატეგორიას და რამდენადაც ეს უკანასკნელი ავტორის კონსტრუქციაშიდ ერთნაირად შეფასებულია როგორც სამართლებრივად, ისე ფაქტიურად, აშკარაა, რომ თვით ავტორის იმანენტური თვალსაზრისით ვერც მიზეზობრივობა და ვერც ისტორიულობა გამოყენებული ველარ იქნება სამართლებრივის და ფაქტიურის არამც თუ დაპირისპირებისათვის, უბრალო განსხვავებისთვისაც კი.

ავტორის შეხედულებაშიდ ასეთი შინაგანი წინააღმდეგობისაგან განთავისუფლების ცდა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი მიმართულებით, — სახელდობრ, თუ ავტორი პოზიტიური სამართლის და სამართლის აზრის აბსოლუტური

იგივეობის დებულებას წამოაყენებდა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, თუ იგი პოზიტიურ სამართალს სამართლის აზრთან გააიგივებდა. მაგრამ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, გაიგივების ნაცვლად, ავტორი ამ ორი ობიექტის დაპირისპირებიდან გამოდის (იმ საკითხში, რომელიც ამ ობიექტების დამოკიდებულებას შეეხება დროის კატეგორიისადმი). ამის საილუსტრაციო დებულებები ბლომად არის გაბნეული ნაშრომში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი ადგილის მოყვანით დავკმაყოფილდებით. მაგალითად, ნაშრომის მე-15 გვერდზე ავტორი, ეხება რა, განმარტებას, რომელიც ფაქტად იმას სთვლის, რაც დროში მოხდება ან წარმოიშობა, მიუღებლად სთვლის ასეთ განმარტებას იმ მოსაზრებით, რომ „ჯერ ერთი — ამბობს ავტორი — ფაქტად აღიარებულია არა მარტო კონკრეტული სამართალი, რომელიც დროში წარმოიშობა, მოქმედობს და დროშივე სწყვეტს თავის არსებობას, არამედ სამართლის ის აზრიც, რაც ყოველ კონკრეტულ ნორმაშია რეალიზებული, ხოლო, მეორეს მხრით, თითქოს არავითარი განსხვავება არ არსებობს პოზიტიური სამართლით მომხდარსა და იმ სამართლის აზრს შორის, რომელიც პოზიტიური სამართლის დამოუკიდებლად არსებობს. ვინ უარყოფს, რომ სამართალი დროში წარმოიშობა და მოქმედობს, მაგრამ ამასთან ერთად იმ აზრის შესახებ, რომელიც ყოველ კონკრეტულ ნორმაშია მოცემული, შეუძლებელია ვთქვათ ის, რასაც დროში მომხდარი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ვამბობთ“.

აქ ყველაფერი მკაფიოდ არის აღნიშნული, პოზიტიური სამართალი გარკვევით გამოყოფილია სამართლის აზრიდან და დროის კატეგორიას დაქვემდებარებული. ასეთ პირობებში კი იმ შინაგანი წინააღმდეგობის გაბათილება, რომელზედაც ზევით იყო მითითებული, ავტორისათვის შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენს.

## II

როგორც ვერძოდ ამ საკითხისათვის, ე.ი. იმისათვის, თუ რამდენად უპირისპირდებიან დროის კატეგორიის მიხედვით ერთმანეთს ფაქტიური და სამართლებრივი, ისე სხვა, ავტორის ძირითადი დებულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ დაპირისპირებას, რომელიც ავტორს გაჰყავს პოზიტიური სამართლის და სამართლის აზრის ან იდეის შორის,

სხვა პრინციპული დებულებების გვერდით სამართლის სინამდვილის საკითხის, ე.ი. იმ პრობლემის გადაჭრა, რომელიც ნაშრომის სათაურშიდაც კი არის შეტანილი და რომელსაც ამიტომ ავტორისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ლოლიკურად აღნიშნულ განსხვავებას (პოზ. სამართლის და სამ. იდეის შორის) ემყარება და ამიტომ თავისთავად იგულისხმება, რომ აქ ავტორისათვის განსაკუთრებული სიზუსტე, საფუძვლიანობა და გარკვეულობა იყო საჭირო. არის ეს მოთხოვნილება მინიმალურად მაინც დაცული ნაშრომში? ჩვენ ვამბობთ, რომ არა. ჩვენ გარკვევით უკვე აღვნიშნეთ ზევით, რომ ავტორის ნაშრომის მიხედვით შეუძლებელია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ რა ესმის მას სამართლის იდეის ქვეშ. ის, რაც ნაშრომშიდ ამ საკითხის ირგვლივ არის ნათქვამი არსებითად უარყოფითი მომენტების დასახელებით ამოიწურება, აქ მითითებულია, ერთის მხრით, იმაზედ, რომ სამართლის იდეა არ არის პოზიტიური სამართალი და უკანასკნელისაგან დამოუკიდებლად არსებობს (16 გვ.); ხოლო, მეორე მხრით, იმაზედ, რომ იგი (იდეა) დროშიდ ცვალებადი მიღწევების კატეგორიას არ ეკუთვნის. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ასეთი განმარტება სინამდვილეშიდ არავითარ განმარტებას არ წარმოადგენს, ვინაიდან იმისათვის, რომ სამართლის იდეის ან აზრის შესახებ შორეული წარმოდგენა მაინც შევქმნათ, საჭიროა არა ისეთი მომენტების დასახელება, რომელნიც მხოლოდ იმას გვიჩვენებენ, თუ რას არ წარმოადგენს სამართლის იდეა, არამედ ისეთი მომენტების დასახელება, რომელნიც დაგვანახებენ — თუ რას წარმოადგენს იგი თავის პოზიტიურ თვისებებშიდ. ეს არის ელემენტარული ლოლიკური მოთხოვნილება, რომელიც ყოველი მეცნიერული განმარტების დროს დაცული უნდა იქნეს, სარეცენზიო ნაშრომშიდ კი ასეთი განმარტების ნაცვლად ცარიელი ადგილია დატოვებული, რომელიც ბუნდოვანობის და გაურკვეველობის ელფერს სდებს ბევრს, ავტორისათვის ძალიან მნიშვნელოვან დასკვნას. ან შესაძლებელია ავტორი ამ სიცარიელის შევსებას იმ უშინაარსო და აბსოლუტურად არადაამაჯერებელი ანალოგიის საშუალებით ფიქრობდა, რომელიც მას ესთეტიურ და სამართლებრივ იდეას შორის გაჰყავს? მაგრამ ასეთი იმედი ხომ სავსებით გაუმართლებელია არა მარტო იმ მოსაზრებით, რომ მოყვანილ ანალოგიაშიდ ჩვენ ვხვდებით ერთი უცნობის განმარტების ცდას მეორე უცნობის საშუალებით, არა მარტო იმ მოსაზრებით, რომ ესთეტიური იდეა თვითონ ატარებს პრობ-

ლემატურ ხასიათს, არამედ, რაც მთავარია, იმიტომ, რომ ის დებულება, თითქოს ესთეტიური და სამართლებრივი ერთგვარ ან ანალოგიურ კანონზომიერებას ექვემდებარებოდეს, არსად არასდროს დამტკიცებული არ ყოფილა, უამისოდ კი ყოველგვარი ანალოგია აქ უსაფუძვლო და არადაამაჯერებელია. არსებობს ერთი მომენტი, რომლის მიხედვით ალბათ ჩვენი ავტორი ფიქრობდა აღნიშნული ანალოგიის გატარებას: ეს არის ღირებულების მომენტი, რომელიც, ერთის მხრით, ესთეტიური შემეცნების ობიექტის განმარტებაშია შეტანილი (იხ. Кон, Общая Эстетика, 14 пел), მეორეს მხრით, კი ზოგი ავტორის მხრივ გამოყენებულია სამართლის დეფინიციის დროს. მაგრამ კიდევაც რომ დავეთანხმოთ სამართლის განმარტებაში ღირებულების მომენტის შეტანას (რაც პირადად ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია), ხომ უდავოა, რომ ღირებულების ცნებას ესთეტიურის და სამართლებრივის განმარტების დროს არსებითად განსხვავებული შინაარსით იგულისხმება, სახელდობრ, კონის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ინტენსიურ, მეორე შემთხვევაში კი კონსეკუტიურ ღირებულებასთან (იხ. Общ. Эстет. стр. 28-29).

ჩვენ შედარებით ვრცლად შევჩერდებით იმ ანალოგიაზე, რომელიც ავტორს სამართლებრივ და ესთეტიურის შორის გაჰყავს, ამას არ შეუძლია განცვიფრება არ გამოიწვიოს, ვინაიდან ყველას საფუძველი აქვს იკითხოს, თუ რა საჭირო იყო ასეთი ყურადღების მიქცევა ამ ანალოგიისათვის, რომელსაც ნაშრომში მხოლოდ შემთხვევითი შედარების ხასიათი აქვს და რომლის ლოლიკური საფუძვლიანობა არამც თუ გაშუქებული არ არის, ასეთი გაშუქების ცდასაც კი ვერ ვხვდებით ნაშრომში, ხომ აშკარაა, რომ ასეთ შემთხვევით შედარებას ლოლიკური მტკიცების ხასიათი შორეულადაც კი ვერ მიენერება და მისი არასაფუძვლიანობის გამოაშკარავება ხომ დროს უნაყოფოდ დაკარგვა არის. ყველაფერი ეს სწორია და თუ ჩვენ მაინც შევჩერდით ამ ანალოგიის განხილვაზე ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ერთადერთი ცდაა, რომელსაც ავტორი იძლევა სამართლის იდეის ან სამართლის აზრის განმარტების ხაზით. სხვა რასმეს ჩვენ ამ საკითხის ირგვლივ ნაშრომში ვერაფერს ვიპოვით.

შესაძლებელია, ავტორი სამართლის იდეას იმდენად ყველასათვის თვალსაჩინოდ და თავის შინაარსში გარკვეულად სთვლიდა, რომ აქ რაიმე ორაზროვანობის შესაძლებლობა

შეუძლებლად ჩათვალა და ამიტომ საკითხის გაშუქებასაც თავი აარიდა? მაგრამ ასეთი გზა ავტორისათვის აშკარად უიმედო იყო. ჩვენი ავტორი პირველი არ არის და ალბათ არა უკანასკნელი, რომელსაც სამართლის იდეა შეჰყავს სამართლის დეფინიციაში. სამართლის ფილოსოფიის ისტორიული განვითარების გასწვრივ, განსაკუთრებით კი ამ ისტორიული ევოლუციის იდეალისტურ სექტორზე, ჩვენ არაერთხელ ვხვდებით ასეთ კონსტრუქციას, დეტალურ ლიტერატურულ მითითებებს, რომ თავი დავანებოთ, მაგალითისათვის, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სულ უკანასკნელ დროს ამ საკითხის ირგვლივ ბევრი რამ გვაუწყა რუდოლფ შტამმლერმა და იულიუს ბინდერმა. მერე ეს ავტორები განა ერთ და იგივე განმარტებას აძლევენ სამართლის იდეას? სრულებითაც არა! სხვა ძირითად და პრინციპულ განსხვავებებს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია, გავიხსენოთ ორი დიამეტრალურად სანინაალმდეგო შინაარსი, რომლის აღსანიშნავად იხმარება სამართლის იდეის კონცეპტი — სამართლის იდეა რეგულიატიური და კონსტიტუტიური მნიშვნელობით სამართლის იდეა, როგორც პოზიტიური სამართლის შეფასების მასშტაბი, ე.ი. სამართლის იდეის ისეთი კონცეფცია, რომელიც გასაგებია იმ იდეალისტური მიმდინარეობის ფარგლებში, რომელიც სამართლებრივის დასაბუთების ცდას წარმოადგენს ზნეობრივად ჯერარსობრივ სამყაროში, რომელიც მასსადამე, დადებითი სამართლის და სამართლის იდეის დაპირისპირებიდან გამოდის, აშკარად განსხვავებულია სამართლის იდეის იმ განმარტებისაგან, სადაც იდეა დაპირისპირებული კი არ არის პოზიტიური სამართლისადმი, არამედ თვით უკანასკნელში არის შეტანილი, როგორც მისი Wesen', როგორც კონკრეტული სამართლის მრავალ სახეობაში მოცემული ესენციალური ნაღვეი. და როდესაც არსებულ ლიტერატურაში სამართლის იდეის გაგების ასეთი მრავალნაირობა არის მოცემული, განა ავტორისათვის აბსოლუტურად სავალდებულო არ იყო იმ შინაარსის ზუსტი შემოფარგვლა, რომლის აღსანიშნავად იგი ამ ცნებას ხმარობს<sup>1</sup> და ეს, მით უმეტეს, რომ როგორც ზევით იყო მითი-

---

<sup>1</sup> ყველაფერი, რაც აქ აღნიშნულია სამართლის იდეის შესახებ, ცხადია, შეეხება ნაშრომის იმ ადგილებსაც, სადაც სამართლის იდეის ნაცვლად ნახმარი არის ტერმინი „სამართლის აზრი“, ვინაიდან ავტორის მიერ ეს ორი ტერმინი ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარება (იხ. გვ. 34, მე-4 და მე-5 თეზისი). ჩვენი აზრით, აღნიშნული ტერმინების გაიგივება გაუგებრობას წარმოადგენს, ვინაიდან რა

თებული, სარეცენზიო ნაშრომშიდ სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირება, რომელიც ავტორის მიერ ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენებისთვისაც კი აუცილებელ პირობად არის ნაცნობი, ამისდა მიუხედავად, სამართლის იდეის საშუალებით ხდება.

ჩვენ ქვევით კიდევ უფრო მეტს ვიტყვით: ნაშრომშიდ სამართლის იდეის შინაარსის განსაზღვრის ცდასაც კი არ ვხვდებით. სანამ იმის გაშუქებას შევუდგებოდეთ, თუ რა დასკვნები გამომდინარეობს აქედგან ავტორის ზოგიერთი ძირითადი დებულების შეფასების საკითხში, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, რომ როგორი მნიშვნელობითაც არ უნდა გაეგო ავტორს სამართლის იდეის ცნება, იგი გამოუსადეგარი იქნებოდა სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირებისათვის. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ თუ სამართლის იდეას პოზიტიური მასშტაბის მნიშვნელობას მივცემთ, იგი, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ჩვენ მოგვევლინება როგორც ისეთი რამ, რაც სამართლის შინაგანი კონსტიტუციის გარეშე დგას და ასეთ შემთხვევაში იგი აშკარად ვერ გამოდგება სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირებისათვის, ვინაიდან, უდავოა, რომ უკანასკნელი თვით დასაპირისპირებელი ობიექტების შინაგანი მომენტებიდან უნდა გამოდიოდეს. თუკი, წინააღმდეგ ამისა, სამართლის იდეის ქვეშ პოზიტიური სამართლის Wesen'-ს ვიგულისხმებთ, ჩვენი ცდა ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირებისათვის უნაყოფო დარჩება, ვინაიდან სწორედ იმ ფილოსოფიური მიმდინარეობის თვალსაზრისით, რომლის ფარგლებშიდ გამომუშავებულია Wesen'-ის ცნება, ფაქტიურის და ეიდეტიურის (Eidos) განუყრელობა ძირითადი ფენომენია, რომელსაც ჩვენ ვხვდებით შემეცნებითი მიმართების ანალიზის დროს (იხ. Husserl Ideen s. 8-9); და რადგანაც ფაქტიურისათვის ამდენად დამახასიათებელია ეიდეტიური სტრუქტურა, აშკარაა, რომ ამ მომენტს, ე.ი. Wesen'-ის და Eidos-ის მომენტის მიხედვით ჩვენ ველარ დავუპირისპირებთ ერთმანეთს სამართლებრივის და ფაქტიურს.

---

მნიშვნელობითაც არ უნდა ვიხმაროთ აზრის (Sinn) ცნება — გავიგებთ მას როგორც ამა თუ იმ არსებობის ზნეობრივი, ან უფრო ზოგადად, ღირებულებითი გამართლების აღმნიშვნელ ტერმინს, თუ როგორც შემეცნებით მიმართებაშიდ შემავალ ერთ-ერთ მომენტს (იხ. Husserl Ideen s. 188 ff, 298.), უდავოა, რომ იდეას და აზრს შორის იგივეობის გატარება შეუძლებელია.

ამგვარად, ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივდივართ: ავტორს არა აქვს გაშუქებული, თუ რა შინაარსი უნდა ვიგულისხმოთ სამართლის იდეის ქვეშ, მაგრამ რა შესაძლებელი მნიშვნელობაც არ უნდა მიეცეს ცნებას, იგი გამოუსადეგარია სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირებისათვის, ე.ი. სწორედ იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც იგი გამოყენებულია სარეცენზიო ნაშრომში.

მაგრამ ავტორის მსჯელობის სანინააღმდეგოდ, შესაძლებელია, მოვიყვანოთ არა მარტო ის, რაც ზევით იყო აღნიშნული, ეს მსჯელობა მიუღებელი და უსაფუძვლოა არა მარტო იმიტომ, რომ ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, რომლის საფუძველზედ ავტორს გამოჰყავს თავისი ძირითადი დასკვნები, თავის შინაარსშიდ გაშუქებული არ არის, არამედ იმ მოსაზრებითაც, რომ ავტორი არც კი შეეცადა გაეშუქებინა, თუ რამდენად საფუძვლიანია პოზიტიური სამართლის გვერდით და მისგან დამოუკიდებლად, სამართლის იდეის არსებობის მტკიცება; თქვენ შეგიძლიათ სარეცენზიო ნაშრომი თავიდან ბოლომდე გადაფურცლოთ, მაგრამ აქ თქვენ ვერსად იპოვით რაიმე მსჯელობას ამ საკითხის ირგვლივ. მაგრამ განა ეს საკითხი იმდენად თვალსაჩინო და გარკვეული იყო, რომ აქ რაიმე მტკიცების მოყვანა ზედმეტი იყო? განა სამართლის იდეის პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებელი ხასიათი და საერთოდ მისი არსებობა ისეთი უდავო ჭეშმარიტებაა, რომ სათანადო მტკიცების მოყვანა ზედმეტად მივიჩნიოთ? სრულებითაც არა! პირიქით, უშუალო მოცემულობის ხასიათს სწორედ პოზიტიური სამართალი ატარებს, სამართლის იდეის ცნება კი, რომელიც ერთგვარი მისტიური ბურუსისაგან სრულებით არ არის თავისუფალი, ბუნებრივი და გასაგებია მხოლოდ ასევე მისტიურად განწყობილ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა ფარგლებში.

რომ სამართლის იდეის ცნება, როგორი მნიშვნელობითაც არ უნდა გავიგოთ იგი, გამოუსადეგარია ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირებისათვის, ამაზედ უკვე ვრცლად იყო მითითებული ზევით. მაგრამ სარეცენზიო ნაშრომშიდ, თუმც უფრო მკრთალად, მოცემულია სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირების ცდა სხვა მხრით. სახელდობრ, ნაშრომის მე-19 და მე-20 გვერდებზედ სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირებისათვის ჯერ არსის Sollen'-ის კატეგორია არის გამოყენებული. სამართლის მეცნიერებაშიდ სამართლის და არასამართლებრივის განსხვავებას Sein-Sollen-ის კატეგორიების საფუძველზედ ფართო ტრადიცია აქვს,

მაგრამ ავტორს ისიც უნდა სცოდნოდა, რომ ლიტერატურაშიდ სანინალმდეგო მიმდინარეობაც საკმაოდ საგრძნობლად არის წარმოდგენილი და ამიტომ მისთვის აქ საკმარისი არ იყო N. Hartmann-იდან ამონაწერის მოყვანა, არამედ უფრო დამაჯერებელი არგუმენტაცია იყო საჭირო. სხვათა შორის, Hartmann'-ის სიტყვები, რომელნიც ავტორს მოჰყავს, სრულეზბით არ ამართლებენ იმ დასკვნებს, რომლებსაც ავტორი აკეთებს ნაშრომის მეორე გვერდზედ. ჰარტმანი მხოლოდ იმას უთითებს, რომ ჯერად მყოფადი და არსებული განსხვავებული არიან ერთმანეთისაგან და რომ ამიტომ თეორიული და ეთიური ერთ და იგივეს არ წარმოადგენენ. ავტორის მტკიცებიდან, რომ სამართლის ნორმის ობიექტი არ არსებულის, ჯერარსის კატეგორიას მიეკუთვნება, არავითარი დასკვნა არ გამომდინარეობს თვით სამართლის და ფაქტის დაპირისპირებისათვის. ადვილი გასაგებია, რომ იურიდიული ნორმის ობიექტის ჯერარსობრივი ხასიათი, შორეულადაც არ ამტკიცებს თვითონ ამ ნორმის ჯერარსობრივობას, ნორმის ობიექტი, ე.ი. ის, რაც ნორმის მიერ გათვალისწინებულია, როგორც განსახორციელებლად ჯერარსი, შესაძლებელია არ არსებობდეს, მაგრამ აქედგან შეუძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, თითქოს თვით ნორმაც არარსებულის კატეგორიას ეკუთვნოდეს. რაკი ეს ასეა, აშკარაა, რომ სამართლის ნორმის ობიექტის ჯერარსობრივ ხასიათზედ მითითებით, ჩვენ შეიძლება დაფუძირისპიროთ ერთი მეორეს ფაქტი და სამართლის ნორმის ობიექტი<sup>2</sup>, მაგრამ ამის მიხედვით შეუძლებელია ფაქტიურის და თვით სამართლის ნორმის ე.ი. სამართლებრივის დაპირისპირება.

ასეთი დაპირისპირება არ შეიძლება არც იმ მომენტების მიხედვით, რომლებსაც ავტორი სარეცენზიო ნაშრომის მე-17 - მე-18 გვერდებზედ უთითებს. ავტორის მსჯელობა აქ აშკარა გაუგებრობას ემყარება, ვინაიდგან ძირითადი და აუცილებელი მომენტების მოცულობა დამახასიათებელია არა

<sup>2</sup> პირადად ჩვენ ეს დაპირისპირებაც ძალიან პრობლემატიურად მიგვაჩნია, როდესაც ჩვენი ავტორი ამბობს — „თუ ჩვენ დაფუძვებთ, რომ ნორმის ობიექტი არსებობს, ე.ი. დაფუძვებთ, რომ ის, რაც უნდა იყოს უკვე არის, მაშინ ნორმაც, როგორც ასეთი, უაზრობად უნდა ჩავთვალოთ“-ო (გვ. 19) (ან იგი ჩვენის აზრით, ჭეშმარიტებას შორეულადაც ვერა სწვდება). ავტორის კატეგორიული განცხადების სანინალმდეგოდ, ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია, რომ აბსოლუტურად არ არსებული შეუძლებელია სამართლის ნორმის ობიექტი გახდეს. სამწუხაროდ, ჩვენ საკითხის ამ მხარეზედ მეტს ვერ შევჩერდებით, მით უმეტეს, რომ ამას აქ ჩვენთვის არც მნიშვნელობა აქვს.



მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ საქმე სამართლის ნორმასთან გვაქვს, არამედ ფაქტიურის რა სახეც არ უნდა ავიღოთ, იგი, აგრეთვე, ყოველთვის გვიჩვენებს გარკვეულ ძირითად მომენტებს, რომლის გარეშე ამა თუ იმ ფაქტის წარმოდგენა შეუძლებელია. ამ მხრით რაიმე განსხვავების აღმოჩენა ფაქტიურსა და სამართლებრივს შორის უიმედო საქმეა.

ჩვენ შეგვიძლია უკვე რამოდენიმე დასკვნის გაკეთება. როგორც ზევით იყო აღნიშნული, ნორმატიული პრობლემის დაყენება, ჩვენი ავტორის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ ფაქტიურის და სამართლებრივის საფუძველზე. ჩვენ შედარებით ვრცლად განვიხილეთ სხვადასხვა მომენტი, რომლის მიხედვით ავტორი ასეთ დაპირისპირებას შესრულებულად სთვლის. ჩვენ დავინახეთ, რომ არც ერთი მომენტი, რომელსაც ავტორი უთითებს, არავითარ საფუძველს არ იძლევა სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირებისათვის და რადგანაც ეს უკანასკნელი თვით ავტორისაგან ცნობილია ნორმატიული ფაქტების პრობლემის დაყენების აუცილებელ პირობად, ჩვენ სრული საფუძველი გვაქონდა, გვეთქვა ჩვენი რეცენზიის დასაწყისში, რომ ძირითადი თემატური პრობლემის სისწორით დაყენების მხრივ, სარეცენზიო ნაშრომი ამკარად სუსტი და ლოლიკურ დასაბუთებას მოკლებულია.

ეს მანკი, სამწუხაროდ, მართო პრობლემის დაყენებით არ შემოიფარგლება, იგი თან მიჰყვება ავტორის შემდგომ მსჯელობებს და თავს იჩენს რიგ მნიშვნელოვან დასკვნებში, რომლებსაც ავტორი აკეთებს ზევით განხილული დებულებების საფუძველზე. ამის გამოაშკარავებაზე ჩვენ შევჩერდებით ახლა.

ჩვენ ზევით მოვიყვანეთ სარეცენზიო ნაშრომის ის ადგილი, სადაც სამართლის და ფაქტის დაპირისპირების მიზნით მითითებულია მათი ნამდვილობის სხვადასხვაობაზე. იქ (გვ. 5) სამართლის ნამდვილობა დახასიათებული იყო ასეთ უცნაურ სიტყვებში: „სამართალში ნამდვილობა არის ის, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ფაქტის ნამდვილობად ჩაითვალოს“. თავისთავად ცხადია, რომ ამ ფრაზის მიხედვით, შეუძლებელია რაიმე წარმოდგენის გამომუშავება იმაზე, თუ რა თავისებურობით ხასიათდება სამართლის ნამდვილობა. ალბათ, ავტორიც გრძობდა ამას და ამიტომ სარეცენზიო ნაშრომის შემდეგ გვერდებზე იგი ეხება სამართლის ნამდვილობის სპეციფიურობის გამოაშკარა-

ვებას. უნდა ითქვას წინდანინვე, რომ ის, რასაც ამ საკითხის ირგვლივ ადგილი აქვს დათმობილი ნაშრომში, იმდენად დაცილებულია გარკვეულობას და დასაბუთებას, რომ ლოლიკური საფუძვლიანობის მხრივ, არაფრით ჩამოუვარდება ზევით მოყვანილ უშინაარსო ფრაზას. ეს გარემოება სავსებით ნათელი და გასაგები გახდება ჩვენთვის, თუ ახლავე მივუთითებთ, რომ სამართლის სინამდვილის თავისებურობის დამტკიცებას ავტორი სამართლის იდეის საშუალებით ფიქრობს, ეს გარკვევით არის აღნიშნული სარეცენზიო ნაშრომის 21-ე გვერდზე, სადაც ჩვენ ვკითხულობთ:

„ამგვარად დროის მიხედვით ცვალებად უფლებრივ ნორმაში ნამდვილობის მატარებელია მხოლოდ განსაზღვრული უფლებრივი აზრი, ... ე.ი. სამართლის ნამდვილობა (პოზიტივობა) არის თვით სამართლის აზრის ნამდვილობა, რაც თავის მხრით, ნიშნავს მხოლოდ აზრის ქმედობას“. ეს მცირე ამონაწერი, რომელშიდაც ლაპიდარულად მოცემულია ავტორის შეხედულება სამართლის ნამდვილობაზე, ძალიან დიდ გაუგებრობას შეიცავს. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ როგორც ზევით დანვრილებით იყო აღნიშნული, სარეცენზიო ნაშრომში აბსოლუტურად გაურკვევლად არის დატოვებული არა მარტო სამართლის იდეის შინაარსი, არამედ სამართლის მეცნიერების დარგში თვით ამ ცნების არსებობის ZAISON D'ETRE. თავისთავად, ცხადია, რომ ასეთ პირობებში ამ ცნების საშუალებით სამართლის ნამდვილობის დახასიათება იმ ტლანქ ლოლიკურ დარღვევას აღნიშნავს, რომელსაც CONTRADICTION IN ADIECTO ეწოდება.

მაგრამ საქმე აქ მარტო ნაკლით არ ამოიწურება, თუ დავუკვირდებით უფრო დაახლოებით აქ მოყვანილ დებულებას, ადვილად შევნიშნავთ, რომ მათში კიდევ უფრო უცნაურ აზრებს აქვს ადგილი. მაგალითისათვის შევჩერდეთ ავტორის მსჯელობაზე, რომ „უფლებრივ ნორმაში ნამდვილობის მატარებელია მხოლოდ განსაზღვრული უფლებრივი აზრი“, რომ ამიტომ, „სამართლის ნამდვილობა (პოზიტივობა) არის თვით სამართლის აზრის ნამდვილობა“. თუ ამ დასკვნებს შევადარებთ ავტორის მეორე მსჯელობას, რომელიც მოყვანილია სარეცენზიო ნაშრომის ოცდამეორე გვერდზე და სადაც ვკითხულობთ: „ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ სამართლის აზრი, რომელიც არსებითად არ არის მოქმედი სამართალი და სხვ“. ანდა იმ მსჯელობას, რომელიც მოყვანილია ნაშრომის მე-16 გვერდზე და სადაც გარკვევით არის

აღნიშნული, რომ სამართლის აზრი პოზიტიური სამართლის დამოუკიდებლად არსებობს, ჩვენთვის ლოლიკურად აუცილებელი გახდება იმ დასკვნის გაკეთება, რომ ავტორის დებულების თანახმად, პოზიტიური სამართალი სინამდვილეს მოკლებულად უნდა მივიჩნიოთ, კიდევ უფრო მეტი: ვინაიდან ავტორის განმარტებაში სამართლის სინამდვილე მის პოზიტივობასთან არის გაიგივებული, ჩვენ სარეცენზიო ნაშრომის დებულების თანახმად, იმ უცნაურ და შინაგან წინააღმდეგობით შეპყრობილ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ პოზიტიური სამართალი პოზიტივობას მოკლებულად გამოვაცხადოთ. ასეთი უცნაური დასკვნები, რომლებშიდაც ის, რაც სამართლის მეცნიერებისათვის უშუალო მოცემულობით ხასიათდება (ე.ი. პოზიტიური სამართალი) სინამდვილეს წარმეულია, ხოლო სამართლის მეცნიერებისათვის ძალიან პრობლემატიური სამართლის იდეა ერთადერთ სინამდვილედ არის ცნობილი, შესაძლებელია მხოლოდ იმ შედეგშიდ, რომ სარეცენზიო ნაშრომისათვის ძირითადი ცნებები — პოზიტიური სამართალი, სამართლის იდეა, სამართლის აზრი და მათი ურთიერთდამოკიდებულება ყოველგვარი ანალიზის გარეშე არიან დატოვებული; სწორედ ასეთი გაურკვევლობის საფუძველზედ არის შესაძლებელი კუროიზული დასკვნების მიღება, რომლის ერთ-ერთ ნიმუშს ჩვენ ახლა გავცვანით.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, ავტორის განმარტებაში სამართლის ნამდვილობა და მისი პოზიტივობა გაიგივებულია. უნდა ითქვას, რომ ასეთი გაიგივება იურიდიულ მეცნიერებაში იშვიათი მოვლენა არ არის, ნამდვილი სამართალი აქ ხშირად იმასვე აღნიშნავს, რასაც პოზიტიური სამართალი. თავისთავად ტერმინების ასეთ ხმარებას არა სდევს თან მაინც და მაინც დიდი უხერხულობა, განსაკუთრებით, როდესაც შეგნებულია, რომ ნამდვილობის ცნება აქ ნახმარია არა მისი ფილოსოფიური მნიშვნელობით, არამედ როგორც მხოლოდ ტექნიკური, სპეციალური ტერმინი იმ სპეციფიური მოვლენის აღსანიშნავად, რომელიც სამართლის ნორმების სოციალურ ეფექტივობაშიდ გამოიხატება; ამ ვიწრო მნიშვნელობით ნამდვილი სამართალი იგივეა, რაც მოქმედი სამართალი და, მაშასადამე, სინამდვილის ცნებაც აქ იხმარება მხოლოდ იმ განსაკუთრებული აზრით, რომელშიდაც, მაკს ვებერის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სამართლის რეგულარული შესრულების შანსი, მისი სოციალური წნევის ინტენსივობა აღინიშნება. ადვილი გასაგებია, რომ სინამდვილის ცნებას ამ სპეციალური, ვიწრო და მხოლოდ სამართლის მეც-

ნიერების ფარგლებში გასაგები მნიშვნელობით, ძალიან ცოტა აქვს საერთო სინამდვილის იმ ცნებასთან, რომელიც ფილოსოფიის ფარგლებში არის გამომუშავებული არსის (SEIN) პრობლემის დაშუქების დროს. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით მაგალითად, სინამდვილის ცნება სრულებით არ არის იგივე, როგორც ამას ჩვენი ავტორი ფიქრობს, რაც მოქმედების ცნებას, ვინაიდან შემეცნების ობიექტების ონტოლოგიურ განრიგებაში ჩვენ წავანყდებით ისეთებსაც, რომელნიც არ მოქმედებენ, თუმცა სინამდვილეს არ არიან მოკლებულნი.

მიუხედავად ამ მკაფიო განსხვავებისა, რომელიც აქ მოცემულია, სინამდვილის ეს ორი მნიშვნელობა სარეცენზიო ნაშრომში ერთი მეორეში არის არეული, ამის მაჩვენებელი ის არის, რომ სინამდვილის ის ცნება, რომელიც ფაქტიურის დახასიათების დროს არის გამოყენებული და რომელიც ამიტომ აქ მისი ფილოსოფიური მნიშვნელობით არის აღებული, შეფერადებულია, აგრეთვე, სამართლის ნამდვილობის დახასიათების დროსაც და ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი იგი პოზიტივიზმის ცნებასთან არის გაიგივებული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასეთი გაიგივება ყალბია, აქედგან კი ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ სარეცენზიო ნაშრომში მოცემული ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირება მათი სინამდვილის სხვაობის მიხედვით, რამდენადაც ამ დაპირისპირების დროს სინამდვილის ერთი ცნება არ არის აღებული, ლოღიკურად ყალბ საფუძველს ეყრდნობა, ვინაიდან აშკარაა, რომ ორი მოვლენის შედარების დროს (ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირებისათვის კი, ცხადია, მათი შედარება არის საჭირო) შემადარებელი მომენტი ე.ი. ეგრეთ ნოდებული TERMINUS COMPARATIONIS მხოლოდ ერთი მნიშვნელობით შეიძლება იქნეს აღებული.

გადავიდეთ ახლა დანარჩენი მომენტების განხილვაზე, რომლებსაც ავტორი ასახელებს სამართლის ნამდვილობის დახასიათების მიზნით. სამართლის ნამდვილობა, როგორც ზევით დავინახეთ, ავტორს ესმის როგორც სამართლის აზრის, ისე სამართლის იდეის ნამდვილობა, ეს უკანასკნელი კი სარეცენზიო ნაშრომი დახასიათებულია როგორც სამართლის აზრის ქმედობა, როგორც ავტორის განმარტებით იმაში გამოიხატება, რომ „სამართლის აზრი ლოგიკურად მაღიარებელ სუბიექტში მისწრაფებულია იმისკენ, რომ გახდეს ისტორიის შინაარსად“ (გვ. 35).

ჩვენი აზრით, მთელი მსჯელობა გაუგებრობაზედ არის აშენებული. ჩვენ აქ დეტალურად აღარ შევჩერდებით იმაზე, რაც ზევით იყო აღნიშნული სარეცენზიო ნაშრომში სამართლის აზრის ცნების აბსოლუტურ გაურკვეველობის შესახებ. აქ საკმარისი იქნება მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ რამდენადაც სამართლის ნამდვილობის განმარტებაში ავტორს სამართლის აზრის ცნება შეაქვს, ეს განმარტებაც ბუნებრივად იღებს გაურკვეველ და ლოლიკურად დაუსაბუთებელ სახეს. მაგრამ ამ ძირითადი ნაკლის გარეშე საჭიროა აქ ზოგიერთ სხვა მომენტებსაც მიექცეს ყურადღება. პირველ რიგში, აქ არ შეიძლება განცვიფრება არ გამოიწვიოს სამართლის ნამდვილობის განმარტებაში თავისებურ ანტროპომორფისტული ელემენტების შეტანამ. როდესაც ავტორი სამართლის იდეის ქმედობაზედ ლაპარაკობს, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ ეს იდეა „ლოლიკურად მაღიარებელ სუბიექტში მისწრაფებულია იმისკენ, რომ გახდეს ისტორიის შინაარსად“. ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევდით ყველა ასეთ გამოთქმას, რომ მათ მხოლოდ ფიგურალური მნიშვნელობა ეძლეოდა სარეცენზიო ნაშრომში, რომ ისინი აქ მხოლოდ თავისებურ *Razon de parler*-ს აღნიშნავდნენ. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ეს ფრაზები ავტორისათვის უბრალოდ ფიგურალურ ფორმას კი არ წარმოადგენენ, არამედ წმინდა ლოლიკურ განმარტებას, რომლითაც ავტორი ფიქრობს თავისი აზრის ადეკვატურ გადმოცემას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მნიშვნელობით სამართლის ნამდვილობის აქ მოყვანილი განმარტება რაიმე გარკვეულ აზრს აშკარად მოკლებულია. მართლაც, განა შესაძლებელია სერიოზულად იმის მტკიცება, რომ სამართლის აზრი მოქმედობს, ანდა რომ ის მისწრაფებულია განხორციელებისაკენ? ქმედობა, მისწრაფება — ეს ხომ აშკარად ისეთი მოვლენებია, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით მხოლოდ ფსიქიური ცხოვრების დარგში და შემცენების სხვა ობიექტების დახასიათების დროს აღნიშნული ტერმინების შეფარდება დასაშვებია მხოლოდ ფიგურალური გამოთქმის სახით? ანდა როდესაც ავტორი სამართლის ნორმის დახასიათების დროს, სამართლის ნამდვილობის ცნებასთან დაკავშირებით ნ. ჰარტმანის სიტყვებით აღნიშნავს (გვ. 33), რომ „მას (ე.ი. ნორმას) აქვს მუდმივი პრეტენზია განხორციელებისა“, განა აშკარა არ არის, რომ სიტყვა პრეტენზია აქ გასაგები და დასაშვებია მხოლოდ როგორც ფიგურალური გამოთქმა, რომ სინამდვილეში ნორმას არ შეუძლია რაიმე პრეტენზია ჰქონდეს, ვინაიდან ეს უკანასკნელი მხოლოდ ცოცხალი არსებისათვის არის დამახ-

ასიათებელი? სამწუხაროდ, ტერმინების ასეთი შეუფერებელი ხმარება ნაშრომის სხვა ადგილებზედაც გვხვდება. მაგალითისათვის ჩვენ შეგვიძლია გავისხენოთ განსხვავება, რომელიც ავტორს გაჰყავს ლოლიკურ და ფსიქიკურ ალიარების შორის და რომელიც უცნაურ და თავის შინაარსში აბსოლუტურად გაურკვეველ „ლოლიკური ალიარების“ ტერმინს ემყარება. ვიმეორებთ, ყველა ასეთი ფრაზების შესახებ არაფერი ითქმობდა, რომ მათ მხოლოდ ფიგურალური მნიშვნელობა ჰქონდეთ აქ, მაგრამ სარეცენზიო ნაშრომში ეს ფრაზები მოცემულია არა მარტო მეცნიერული, ლოლიკურად დახვეწილი განმარტების სახით (რაც, სხვათა შორის, იქედან ჩანს, რომ ისინი თუზისებშიდაც კია შეტანილი), არამედ ამ ტერმინების საფუძველზე ავტორს გარკვეული და ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნები გამოჰყავს. ასე, მაგალითად, სამართლის ნორმის ანტროპომორფიული ასახვიდან, რომელშიდაც იგი წარმოდგენილია, როგორც მისწრაფებული განხორციელებისაკენ, ავტორს შესაძლებლად მიაჩნია გარკვეული დასკვნების გაკეთება სამართლის სუბიექტის ბუნების შესახებ, ხოლო იმ უშინაარსო ფრაზას, რომელიც ლოლიკურ ალიარებაზე ლაპარაკობს, ავტორი საფუძვლიანად უდებს ხელისუფლების და ძალადობის განსხვავებას.

სწორედ იმიტომ, რომ სარეცენზიო ნაშრომში, აღნიშნულ ტერმინებს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, საჭირო არის უფრო ვრცლად მათზე შეჩერება. თავისთავად გასაგებია, რომ *onus probandi* ამ შემთხვევაში ავტორზე არის, ვინაიდან სწორედ ტერმინების ის უცნაური ხმარება, რომელსაც ჩვენ ვხვდებით სარეცენზიო ნაშრომში, მოითხოვს გამართლებას და მეცნიერულ დასაბუთებას. არის ასეთი დასაბუთება ავტორისაგან მოცემული? ჩვენი აზრით, არა! და მართლაც, დასაბუთებად ხომ არ ჩაითვლება ის ანალოგია, რომელიც ამ შემთხვევაშიც გაჰყავს ავტორს სამართლის აზრის და ესთეტიური იდეის შორის? (იხ. გვ. 21, 34, 35). ანდა, შესაძლებელია, ავტორი ფიქრობდა ნორმის ჯერარსობრივი ხასიათიდან იმ დასკვნების გაკეთებას, რომ ნორმას აქვს მისწრაფების და მოქმედების უნარი? ნაშრომის ზოგიერთი ადგილების მიხედვით, მართლაც შესაძლებელია ასე ვიფიქროთ; ასე, მაგ. ნაშრომის მე-19 გვერდზე ავტორი აღნიშნავს: „თუ ნორმის ობიექტი, ე.ი. ის, რაც უნდა იყოს, არ არსებობს (როგორც ფაქტი), მაშინ თვით ღირებულებითი მნიშვნელობა ამ ობიექტისა ააშკარავებს განხორციელების პრეტენზიას“. რადგანაც მთელ ნაშრომში ამის მეტი არაფე-

რია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რატომ უნდა მივანეროთ ნორმას მისწრაფებისა და მოქმედების უნარი, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ არგუმენტაციაზე უფრო ვრცლად შევჩერდეთ. პირველ რიგში, აქ გაუგებარია, თუ რა საფუძვლით აღწერს ავტორი ნორმის ობიექტს თვითღირებულებით მნიშვნელობას? ხომ აშკარაა, რომ სამართალი მთლიანად და მათსადამე, სამართლის ნორმის ობიექტი სოციალურ თანრიგში მხოლოდ ერთ-ერთ საშუალებას აღნიშნავენ გარკვეული მიზნების მისაღწევად და ამიტომ სამართლის და მით უმეტეს სამართლის ნორმის ობიექტისათვის თვითღირებულებითი მნიშვნელობის მინერა უკეთეს შემთხვევაში გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს! მაგრამ, ამისგან დამოუკიდებლად, ნორმის ჯერარსობრივი ხასიათი განა იმას ნიშნავს, რომ ნორმას მისწრაფების და მოქმედების უნარი აქვს? ხომ უდავოა, რომ ჯერარსი არსისადმი დაპირისპირებულია და სწორედ ამიტომ სამართლის ნორმას, რამდენადაც იგი დახასიათებულია როგორც ჯერარსი, სრულებით და დამოუკიდებლად იმისგან, თუ რამდენად სწორია ასეთი დახასიათება, შეუძლებელია, მივანეროთ მოქმედების ან მისწრაფების უნარი, ვინაიდან როგორც მოქმედება, ისე მისწრაფება აშკარად არსის კატეგორიას მიეკუთვნებიან. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენთვის უდავოა, რომ სამართლის ჯერარსობრივობის ცნება, თვით სამართლის ბუნებას კი არ ახასიათებს, არამედ სამართლის ნორმისადმი ჩვენს დამოკიდებულებას. როდესაც ჩვენ ამა თუ იმ ობიექტს ჯერარსობრივ ხასიათს მივანეროთ, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ იგი ჯერარსი რომ იყოს, ჩვენ ამით არ გამოვხატავთ არც ერთ თვისებას, რომელიც თვით ობიექტის შინაარსის შინაგან მომენტს აღნიშნავდეს. ამით ჩვენ აღვნიშნავთ პიროვნების დამოკიდებულების ერთ-ერთ სახეს ობიექტისადმი და სწორედ ამდენად, ჯერარსობრივობა არა ობიექტის, არამედ აქტის ერთ-ერთ მოდიფიკაციას აღნიშნავს (იხ. D. Kaufman, Logik S. Hkk Hilderband, Die Idee der Sittlichen Handburg).

იმის მიხედვით, რაც ზევით იყო აღნიშნული, შეუძლებელია სერიოზულად იმ აზრის დაცვა, თითქოს ნორმას მოქმედების უნარი ჰქონდეს, ან რაღაც მისწრაფებებით იყოს აღჭურვილი; ორივე ეს თვისება შესაძლებელია მხოლოდ ცოცხალ არსებას, კერძოდ, ადამიანს მივაკუთვნოთ, ნორმა კი ცოცხალ არსებას არ წარმოადგენს. საწინააღმდეგოს მტკიცება მეტაფიზიკა იქნება ამ სიტყვის ყველაზე უფრო ცუდი მნიშვნელობით.

სანამ სარეცენზიო ნაშრომის აქ მოყვანილი დებულებების შეფასებას დავამთავრებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, კიდევ ერთ მომენტს მიექცევს ყურადღება. როგორც ზევით დავინახეთ, ჩვენი ავტორის თანახმად, ნორმა მისწრაფებული არის განხორციელებისაკენ.

განხორციელების მუდმივი პრეტენზია ნორმის ყველაზე უფრო ესენციალურ მომენტად არის აქ ცნობილი, ამავე აზრს ავტორი იმეორებს ნაშრომის 30-31 გვერდებზე, სადაც აღნიშნულია, რომ უფლებრივი შინაარსი ჩვენ წარმოგვიდგენია „მხოლოდ როგორც სამართალი და სამართლის განხორციელება“. ყველა ამ დებულებიდან შესაძლებელია მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება, სახელდობრ, იმის, რომ განხორციელების მომენტი არამც თუ არ არის ნორმის ცნებისათვის ინდიფერენტული რამე, არამედ ამ უკანასკნელში იგი აუცილებლად იგულისხმება, როგორც ნორმის ესენციალური თვისება. ამის შემდეგ როგორი უნდა იქნეს ჩვენი განცვიფრება, როდესაც სარეცენზიო ნაშრომში ვკითხულობთ: „აღვნიშნავთ რა ნორმის... განხორციელების ფაქტს, ჩვენ, არსებითად რომ ვთქვათ, არავითარ შემთხვევაში არ ვეხებით იმ შინაარსს, რაც სამართალში ნამდვილობად იქცა“, (გვ. 9); ან კიდევ უფრო გარკვევით: „თუ ნორმის შესრულება მოცემულია როგორც შესაძლებლობა, ხოლო განხორციელება როგორც ისტორია, ცხადია, რომ არც ერთი მათგანი (ე.ი. განხორციელებაც ირ.ს) არსებითად სამართლის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს. ამის მიხედვით ყოველთვის, როცა ნორმის ფაქტიურობას ვიღებთ ნორმის განხორციელების შესაძლებლობის აზრით, ჩვენ სრულიად არ ვეხებით თვით ნორმის ბუნებას“ (გვ. 11). შინაგანი წინააღმდეგობა აქ აშკარაა და ამიტომ ჩვენ საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ სამართლის ნამდვილობის ზევით მოყვანილი განმარტება მიუღებელია არა მარტო იმიტომ, რომ იგი სამართლის იდეის გაურკვეველ ცნებას ემყარება, არა მარტო იმიტომ, რომ ამ განმარტებაში სამართლის ნორმა გამოცხადებულია ისეთი საკვირველი თვისებების მატარებლად, როგორიცაა მოქმედების და მისწრაფების უნარი, არამედ იმ მოსაზრებითაც, რომ ეს განმარტება წინააღმდეგობაშია ნაშრომის სხვა ნაწილებთან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ავტორს მოუშენიფებული აზრები აჩქარებით გამოუტანია სამეცნიერო სამსჯავროზე.

ამის შემდეგ ჩვენ ბევრს არაფეს ვიტყვით ლოლიკური აღიარების ცნების შესახებ, რომელიც ავტორს აგრეთვე შეტანილი აქვს სამართლის ნამდვილობის ზევით მოყვანილ



განმარტებაში. სარეცენზიო ნაშრომში დაპირისპირება ფსიქიურ და ლოლიკურ აღიარებას შორის ძალიან ხშირად გვხვდება (იხ. განსაკუთრებით გვ. 12, 13, 14, 24, 31, 35, 114); ამის მიუხედავად, ყველა ამ ადგილებიდან აბსოლუტურად შეუძლებელია რაიმე განსაკუთრებული შინაარსის გაგება, რომლის სპეციფიურობა ამ საკვირველი ტერმინის ხმარებას ამართლებდეს. მართალია, სარეცენზიო ნაშრომში არის ერთი ადგილი, რომელიც ლოლიკური აღიარების, როგორც განსაკუთრებული აქტის, დახასიათებას ცდილობს, მაგრამ ამ ადგილის მიხედვით, შეუძლებელია რაიმე სპეციფიკური შინაარსის წარმოდგენა, რომელიც სპეციალური ტერმინების შემოღებას მოითხოვდეს. ეს ადგილი შენიშვნის სახით მოყვანილია ნაშრომის მე-12 გვერდზე, სადაც ჩვენ ვკითხულობთ: „ნორმას ლოლიკურად ვაღიარებთ ხოლმე მისი გააზრების აქტში, რადგანაც ამ აქტით ჩვენ ვწვდებით ნორმის აზრსა და შინაარს“. ამიტომ, მიუხედავად იმისა, — ვაღიარებთ თუ არა ფსიქიურად ნორმას, იგი სდგას ჩვენი შეგნების წინაშე როგორც აუცილებლობა“. სანამ იმას გავაშუქებდეთ, თუ რამდენადაა ამ განმარტებით ლოლიკური აღიარების, როგორც განსაკუთრებული ცნების არსებობა გამართლებული, საჭიროა გაკვრით მაინც ერთ დამახასიათებელ მომენტს მიექცეს ყურადღება. აქ მოყვანილ ამ ამონაწერში სამართლის აზრი და სამართლის შინაარსი ერთი მეორისაგან განსხვავებულია; ეს თავისთავად იგულისხმება გამოთქმიდან — „... ჩვენ ვწვდებით ნორმის აზრსა და შინაარსს“. ესეა, თუ ამ ადგილს შევადარებთ იმას, რაც ნაშრომის 22-ე გვერდზე არის ნათქვამი („ჩვენ ვერ ვნახავთ პოზიტიური სამართლის ისეთ ნორმას, რომლიდანაც განდევნილი იყოს სამართლის აზრი, რადგანაც ჩვენ არ ვიცით, რა არის, რას წარმოადგენს სამართლის ნორმა, რომელშიდაც სამართლის შინაარსი არ მოიპოვება“), ადვილად დავრწმუნდებით აქ შინაგან წინააღმდეგობაში, ვინაიდან, თუ პირველ შემთხვევაში სამართლის აზრი და სამართლის შინაარსი განსხვავებულია, მეორე შემთხვევაში ორივე ეს ტერმინი გაიგივებული არის. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ავტორს თვითონაც არა აქვს დაკავშირებული რაიმე გარკვეული შინაარსი სამართლის აზრის ცნებასთან, რაზედაც ჩვენ ზევითაც ვუთითებდით. ეს, სხვათა შორის; ესეა კი გადავიდეთ ლოლიკური აღიარების ზევით მოყვანილი განმარტების განხილვაზე. ლოლიკური აღიარება აქ დახასიათებულია, როგორც გააზრების აქტი, რომლის საშუალებით ჩვენ ნორმის

შინაარსს და ნორმის აზრს ვხვდებით. თუ ამ გამოთქმას ჩვენ გავათავისუფლებთ მისტიური ბურუსიდან და თუ მას საერთოდ რაიმე აზრი შეიძლება მიენეროს, ეს მხოლოდ ერთი, რომელშიდაც იგი უბრალო შემეცნებით აქტს აღნიშნავს და სხვას არაფერს. მართლაც, რაიმე გააზრება ხომ გააზრებულის გაგებას, შემეცნებას წარმოადგენს; სხვა რამ აბსოლუტურად შეუძლებელია ვიგულისხმოთ გააზრების ცნების ქვეშ. მაგრამ თუ ეს ასეა, აშკარაა, რომ ნორმის გააზრების აქტივით ჩვენ ლოლიკური აღიარების პროცესში კი არ ვიმყოფებით, არამედ გარკვეულ შემეცნებით ურთიერთობას ვამყარებთ ნორმასთან.

ლოლიკური აღიარების ტერმინი, აქ მოყვანილ მოსაზრებებსაც რომ თავი დავანებოთ, სხვა მხრითაც მიუღებელი არის. აღიარების ფაქტი, რომელიც ემოციონალური შინაარსის მექონე ფსიქიური პროცესია, შეუძლებელია ლოლიკური იქნეს, და ეს იმდენად, რამდენადაც ლოლიკური ფსიქოლოგიისაგან განსხვავდება. შემეცნებითი აქტი კი ემოციონალური განცდებისაგან. ამ მხრით გამოთქმა — „ლოლიკური აღიარება“ შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს, ხოლო ლოლიკური და ფსიქიური აღიარების ერთიმეორისადმი დაპირისპირება გაუგებრობაზეა აშენებული.

ამით შეგვიძლია ჩვენ დავამთავროთ სარეცენზიო ნაშრომის პირველი ნაწილის განხილვა, რომელიც სამართლის ნამდვილობის განმარტების და სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირების ცდას წარმოადგენს. რომ ეს ცდა მიზანს ვერც ერთი მხრით ვერ აღწევს, ამაზე ვრცლად იყო ზევით მოხსენებული და იქ მოყვანილ არგუმენტებს ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ. არაფერს ვიტყვით ჩვენ, აგრეთვე, აქ არც სარეცენზიო ნაშრომის იმ ადგილებზე, სადაც სამართლის სუბიექტები დახასიათებულია, როგორც ღირებულებითი აქტების მატარებელი, რომელიც ნორმის წინაშე სდგას (გვ. 25) (თუმცა ჩვენთვის გაუგებარია, როგორც ის, თუ რა იგულისხმება ნორმის წინაშე დგომის ქვეშ, აგრეთვე, ისიც, თუ რა ღირებულებით აქტებზე არის აქ ლაპარაკი); დანვრილებითი განხილვის გარეშე დავტოვებთ ჩვენ, აგრეთვე, იმ ადგილებსაც, სადაც მატარებულია განსხვავება ძალას და ხელისუფლებას შორის (გვ. 30) ანდა სამართლის „ტლანქ მექანიკურ წნევას“ და „სამართლის თავისუფალ მიღებას“ შორის (გვ. 18-19); ჩვენთვის აქ საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ სამართლის სუბიექტის ცნების ინტერპრეტაცია, რომელსაც ჩვენი ავტორი იძლევა, ისე როგორც ხელისუფლების

და ძალის, სამართლის „მექანიკური წნევის“ და მისი „თავისუფალი მიღების“ საკვირველი დაპირისპირება ემყარება არა რაიმე მეცნიერულად დამუშავებულ საფუძველს, არამედ იმ უცნაურ ფრაზეოლოგიას სამართლის ნორმის მოქმედების უნარის და ლოდიკური აღიარების შესახებ, რომლის სრული უშინაარსობა ზევით ვრცლად იყო გარკვეული. ამკარა არის, რომ ასეთ ყალბ ნიადაგზე აგებული კონსტრუქციები რაიმე მეცნიერულ ღირებულებას და ინტერესს მოკლებული იქნებიან.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე ნაწილი მიზნად ისახავს ნორმატიული ფაქტების პრობლემის გადაჭრას. ის, რაც ზევით იყო განხილული — სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირება და ამასთან დაკავშირებით სამართლის ნამდვილობის საკითხი, ავტორის ინტენციის თანახმად, ნორმატიული ფაქტების პრობლემის სწორ დაყენებას უნდა ემსახურებოდეს. ჩვენ ზევით უკვე დავინახეთ, რომ ის, რაც სარეცენზიო ნაშრომში სამართლებრივის და ფაქტიურის დაპირისპირების მიზნით და სამართლის ნამდვილობის შესახებ არის აღნიშნული, მცდარია, და ამიტომ, რამდენადაც თვით ავტორი ამას მჭიდროდ უკავშირებს ნორმატიული ფაქტების პრობლემის გადაჭრას, ჩვენ წინდანინვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს უკანასკნელიც საჭირო მეცნიერულ საფუძვლიანობას მოკლებული იქნება. გადავალთ იმის გაშუქებაზე, თუ რამდენად შეეფერება ეს წინასწარი მსჯელობა მართლაც სინამდვილეს.

ავტორი ნორმატიული ფაქტების საკითხის განხილვას შორიდან იწყებს; მას წინასწარ საჭიროდ მიაჩნია საერთოდ იმის გაშუქება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ მოვლენის ობიექტურ თვისებებს აღნიშნული მოვლენის სამართლებრივი რეგულაციის დროს. ავტორი ამ საკითხში მიუღებლად თვლის ტრადიციულ შეხედულებას, რომელიც, მისი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მას ის დახასიათება, რომელსაც ესა თუ ის მოვლენა იღებს სამართლის სისტემაში, მთლიანად უკანასკნელისაგან დამოკიდებულად მიაჩნია. ამის საწინააღმდეგოდ ავტორი შემდეგს აღნიშნავს: (გვ. 57) „ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ დებულებას. ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ სამართლის მიმართ... რაღაც მოვლენა თავისი ობიექტური თვისებების მთლიანობით არ იყოს დანიშნული სამართლის დასაყრდნობად“ (გვ. 58); „ისეთს ვერაფერს აღმოვაჩინებთ სამართალში რაც თავისი ობიექტური თვისებებით არ იყოს დანიშნული იმისათვის, რომ ის სამართალში არსე-

ბობდეს... ჩვენ... ვერ მოვნახავთ სამართლის სფეროში ისეთ რასმე, რომლის ობიექტური თვისებებითაც წინასწარვე არ იყოს მოცემული აუცილებლობა პოზიტიურ სამართალში მისი არსებობისა“. როგორც ამ ამონაწერის დასაწყისიდან ჩანს („ჩვენ ვერ გავიზიარებთ, ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ“ და სხვ.), ავტორი, ამონაწერში მოყვანილ დებულებებს თავის საკუთარ ნააზრევად თვლის - ეს, რასაკვირველია, უსაფუძვლო პრეტენზიაა, ვინაიდან არსებითად იმავე დებულებას, მაგრამ გაცილებით უფრო ზუსტ ფორმაში, ჩვენ ჯერ კიდევ დერნბურგის პანდექტებში ვხვდებით (იხ. Pandekten, I, S, 177). ეს, სხვათა შორის. ეხლა კი გადავიდეთ აქ მოყვანილ დებულებების არსებით განხილვაზე. ის არგუმენტაცია, რომელსაც ჩვენ ავტორთან ვხვდებით ამ საკითხში, ძალიან საკვირველ შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს არგუმენტაცია არსებითად ორ დებულებაში გამოიხატება: პირველი, რომელიც *reductio ad absurdum*-ის ხასიათს ატარებს, იმას უთითებს, რომ თუ ტრადიციულ დოქტრინას დავუჯერეთ, „სამართლის ყოველგვარ კავშირს რაიმე მოვლენასთან და უფლებრივი შედეგების მიკუთვნებას რაიმე მოვლენისათვის წმინდა შემთხვევითი ხასიათი ექნება“ (გვ. 56); მეორე დებულება იმას უთითებს, რომ ტრადიციული დოქტრინის საფუძველზე, ე.ი. თუ დავუშვებთ, რომ „პოზიტიური სამართლის მიერ მოხსენებულ ობიექტურ თვისებებზე სრულებით არ არის დამოკიდებული ამ გარემოების მოხსენიება“, გაუგებარი გახდება, თუ რატომ არის ესა თუ ის ფაქტი აღიარებული იურიდიულ ფაქტად; რატომ არის რომ პოზიტიური სამართალი თავისი მიზნებისათვის იყენებს სწორედ იმ გარემოებებს, რომელთაც ის ნამდვილად იყენებს და არა სხვა რაიმე გარემოებებს; რატომ არის, რომ განსაზღვრულ ურთიერთობათა წარმოშობისათვის პოზიტიური სამართალი იყენებს ხელშეკრულებას, შეთანხმების დაფუძნებით აქტს, ე.ი. სწორედ იმ ფაქტებს, რომელთაც ჩვეულებრივად იყენებენ განსაზღვრული ურთიერთობის დასამყარებლად იმ სფეროშიც, რომელიც პოზიტიურ სამართალს არ ექვემდებარება? (გვ. 55). ავტორის აზრით, ამგვარად, ის „უფლებრივი სამოსი“, რომელშიდაც ესა თუ ის გარემოება, ესა თუ ის მოვლენა თავსდება თვით ამ მოვლენის ობიექტურ თვისებებზე არის დამოკიდებული (გვ. 56), ეს უკანასკნელი თვითონვე განსაზღვრავს მისი სამართლებრივი მოწესრიგების ფორმას და სახეს.

სანამ არსებითად ამ დებულების სისწორეს შევხებოდეთ, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ, რომ ასეთი შეხედულება

აშკარად ეწინააღმდეგება ნორმატიული ფაქტების პრობლემის იმ სახით დაყენებასა და გადაჭრას, რომელსაც ჩვენ სარეცენზიო ნაშრომში ვხვდებით. მართლაც, თუ ამა თუ იმ მოვლენის უფლებრივი რეგლამენტაცია მთლიანად თვით ამ მოვლენის ობიექტური თვისებით განისაზღვრება, ეს იმას ნიშნავს, რომ უფლება და მოვალეობა, რომელნიც უფლებრივი რეგლამენტაციის მთავარი შემადგენელი მომენტია (უფლებრივი რეგლამენტაცია — უფლების და მოვალეობის დანესებას ნიშნავს), თავის არსებობაში დამოკიდებული ყოფილან რეგლამენტაციამქნილი ობიექტების თვისებებისაგან; აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ჰქრება ყოველგვარი განსხვავება ნორმატიული ფაქტებსა და იმ ფაქტებს შორის, რომელნიც მოხსენებული არიან სამართლის თვითეულ ნორმაში, ვინაიდან, ავტორის განმარტების თანახმად, ნორმატიული ფაქტებიც ამ თავისებურებით ხასიათდებიან, რომ მათგან დამოკიდებულია გარკვეული უფლება-მოვალეობის აღმოცენება. ეს, რაც შეეხება ავტორის შეხედულებების შეფასებას იმანენტური კრიტიკის თვალსაზრისით. არსებითად, კი ამ შეხედულების შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი, ერთის მხრით, სხვადასხვა სახის გაუგებრობას ემყარება, მეორე მხრით, კი აშკარად ეწინააღმდეგება მთელ რიგ საკმაოდ ცნობილ მოვლენებს უფლებრივი ცხოვრების დარგიდან. ასე, მაგალითად, როდესაც ჩვენი ავტორი აღნიშნავს: „რატომ არის, მაგალითად, რომ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები მიმართულია იმათკენ, ვისკენაც ისინი ნამდვილად მიმართული არიან, თუ იმ თვისებებზე, რომელნიც ერთს ქმიან მშობლად და მეორეს შვილად, არ არის დამოკიდებული იმ მოვლენად ყოფნა, რა მოვლენასაც ისინი სამართალში წარმოადგენენ“ (გვ. 58) და ამ მაგალითს თვლის „ტრადიციული დოქტრინის წინააღმდეგ მიმართულად“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი ამ შემთხვევაში გაუგებრობის მსხვერპლია. არც ტრადიციულ დოქტრინას და არც სხვა ვინმეს იურიდიული მეცნიერების დარგში არ მოსვლია ჯერჯერობით აზრად იმის უარყოფა, რომ სამართალს სოციალურ და საერთოდ რეალურს სინამდვილესთან აუცილებლად აქვს კავშირი. კერძოდ, თუ ავიღებთ კელზენს, იურიდიული ნორმატივიზმის, ფაქტიურის და სამართლებრივის დაპირისპირების ყველაზე უკიდურეს წარმომადგენელს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მის სისტემაში კავშირი სამართლის ნორმას და რეალობას შორის არამც თუ არ არის უარყოფილი, საწინააღმდეგო სავესებით გარკვევით არის აქ აღნიშნული.

ამგვარად, სამართლის ნორმების შინაარსს, ნორმატივიზმის უკიდურესი წარმომადგენლების თვალსაზრისითაც კი, რეალური მოვლენები წარმოადგენს და ყველასათვის ცხადია, რომ სამართალი ამ რეალურ მოვლენებს ვერ შეცვლის, ამიტომ ავტორის მაგალითი, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, ღია კარებს ანვება, ფიქრობს ახალ ჭეშმარიტებად გაასაღოს ის, რაც ყველასათვის დიდი ხანია უდაო არის.

მაგრამ, თუ სამართალს არ შეუძლია რეალური სინამდვილე შეცვალოს, მას შეუძლია ეს რეალური სინამდვილე, საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის სხვადასხვაობის მიხედვით, სხვადასხვა უფლებრივ განზომილებაში აიღოს. აშკარაა, რომ ეს სულ სხვა ამბავია და მას არაფერი საერთო არა აქვს სამართლის და რეალურ სინამდვილეს შორის მჭიდრო დამოკიდებულების უარყოფასთან. აქ იგულისხმება არა ის, თითქოს სამართალი ამა თუ იმ მოვლენის ბუნებრივ თვისებებს ცვლიდეს, რაც აშკარა აბსურდია, არამედ ის, რომ ამა თუ იმ მოვლენას სხვადასხვაგვარი იურიდიული კვალიფიკაცია ეძლევა და ეს დამოკიდებით სამართლებრივი სისტემის თავისებურობისაგან, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის თავისებურობით არის განსაზღვრული. ცხადია, რომ ამ თვალსაზრისით ამა თუ იმ მოვლენის იურიდიული კვალიფიკაციის სხვადასხვაობა დამოკიდებული მოვლენაა, მაგრამ არა თვით იმ მოვლენისაგან, რომელიც ნორმაშია მოხსენებული (როგორც ამას ავტორი ფიქრობს), არამედ საზოგადოებაში მოცემულ ეკონომიკის და კლასობრივ ძალთა განწყობილებისაგან. მხოლოდ ასეთი თვალსაზრისით შეიძლება ავხსნათ ის უამრავი მაგალითი, როდესაც ერთი და იგივე მოვლენა უფლებრივი ცხოვრების ისტორიული პერსპექტივის გასწვრივ სხვადასხვა იურიდიულ კვალიფიკაციას იღებს (მაგ. ფიზიკური ინდივიდის უფლებრივი კვალიფიკაცია) ანდა ის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე იურიდიული ფორმა (ან „უფლებრივი სამოსი“, როგორც ამას ჩვენი ავტორი ამბობს) ბუნებრივი თვისებების მხრივ არსებითად განსხვავებული მოვლენების უფლებრივ რეგლამენტაციას ემსახურება (მაგ. ხელშეკრულება) და პირიქით)...

ყველა ეს ფაქტები იმას ამტკიცებენ, რომ უფლებრივი ფორმა ამა თუ იმ მოვლენის ბუნებრივი თვისებების ზედნართს არ წარმოადგენს და რომ ამა თუ იმ მოვლენის სამართლის სისტემაში „მოხსენიება“ (გვ. 58), მით უმეტეს მისი იურიდიული კვალიფიკაცია, ის იურიდიული შედეგი, რო-

მელიც ამ მოვლენას უკავშირდება, უკანასკნელის ბუნებრივი თვისებებით კი არ განისაზღვრება, არამედ საზოგადოების ეკონომიკით, რომლის ზედნაშენს წარმოადგენს საზოგადოების როგორც სოციალური ისე იურიდიული ფორმები.

სარეცენზიო ნაშრომში ჩვენ ვერ ვპოულობთ იმის გაშუქებას, თუ რა გზით ფიქრობს ავტორი თავისი დებულებები ზევით მითითებულ ფაქტებთან შეაგუოს; არის მხოლოდ ერთი ადგილი, სადაც ავტორი გაკვრით ეხება ამ საკითხს, ეს არის სარეცენზიო ნაშრომის 24-ე გვერდი, სადაც, თუმცა ლაპარაკია სამართლის სუბიექტზე, მაგრამ ყოველივე იქ ნათქვამი შეიძლება გავრცელებულ იქნეს დანარჩენ ფაქტებზეც, რომლებსაც ავტორი ეხება; ეს იმ საფუძვლით, რომ ნაშრომის 54-58-ე გვერდებზეც სამართლის სუბიექტი და სხვა დანარჩენი ფაქტები, რომელნიც ნაშრომში „მოხსენიებულია“ იმ საკითხის გაშუქების დროს, რომელიც სამართლებრივი რეგლამენტაციისათვის ფაქტების ბუნებრივი თვისებების მნიშვნელობას შეეხება, გაიგივებული არიან. რას ამბობს ავტორი აქ? ამ შემთხვევაშიც ავტორი იმ დებულებას იცავს, რომ სამართლის სუბიექტად ყოფნა, ე.ი. გარკვეული იურიდიული კვალიფიკაცია, რომელიც ფიზიკურ ინდივიდს ეძლევა, თვით ამ ინდივიდის თვისებებზეა დამოკიდებული. ავტორისათვის უცნობი არ არის, რომ პოზიტიურ სამართალში სამართლის სუბიექტად ცნობილია არა მარტო ფიზიკური ინდივიდი, მაგრამ ავტორის კონსტრუქციისათვის ამ ძირითად და ჩვენი აზრით გარდაუვალ დაბრკოლების თვითგანწილებას იგი ძალიან ზერეღე არგუმენტაციის საშუალებით ფიქრობს. მისი მსჯელობა აქ შემდეგია - „ვინც უნდა ჩათვალოს კანონმდებელმა (ე.ი. პოზიტიურმა სამართალმა, ირ.ს.) სამართლის სუბიექტად, ნამდვილი სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ პიროვნება, როგორც, შესაძლებელი ღირებულებითი აქტების მატარებელი“. ჩვენი აზრით, ასეთი მსჯელობა აბსოლუტურად მიუღებელია და ვერავის ვერ დააკმაყოფილებს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ სამართლის სუბიექტი მხოლოდ პოზიტიური სამართლის ფარგლებში არის მოცემული და ამიტომ იმ მომენტების ამოკრება, რომელნიც სუბიექტის ცნებაში იგულისხმება, მხოლოდ პოზიტიური სამართლიდან უნდა ხდებოდეს. აქ საქმე პოზიტიური სამართლის ე.წ. განმარტებით ნორმებში კი არ არის, რომელნიც შესაძლებელია გარკვეული თეორიული მიმდინარეობის ზეგავლენით იყვნენ გამოშუქებული, არამედ საქმე იმაშია, რომ სამართლის სუბიექტად არა ფიზიკური ინდივიდის დანახვა თვით პოზიტი-

ური სამართლის სისტემაშია შეტანილი, როგორც მისი ორგანულად შემადგენელი მომენტი და სწორედ ამიტომ ამ გარემოებისათვის გვერდის ახვევა იურიდიული კონსტრუქციისათვის საბედისწეროა. უკანასკნელს რაიმე ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როდესაც იგი თავის ფარგლებში იტევს პოზიტიური სამართლის მიერ მოწოდებულ მასალას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგი მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას. აქედან კი თავისთავად გამომდინარეობს ის შეფასება, რომელიც ავტორის კონსტრუქციას უნდა მიეცეს ამ საკითხში, და არა მარტო ამ საკითხში, არამედ მთლიანად მის ზევით მოყვანილ შეხედულებას. ეს შეფასება შეიძლება იყოს მხოლოდ უარყოფითი.

საერთოდ, ფაქტების და სამართლებრივი რეგულაციისათვის მათი მნიშვნელობის საკითხიდან ავტორი ნორმატიული ფაქტების პრობლემაზე გადადის. უნდა ითქვას წინდანივე, რომ წიგნის ეს ნაწილი ყველაზე უფრო ნაკლებად მოფიქრებულია. იგი უმთავრესად სხვა ავტორების შეხედულებათა კრიტიკულ განხილვას შეიცავს, ხოლო ავტორის საკუთარი აზრი ამ საკითხის ირგვლივ, თუ რას წარმოადგენს ნორმატიული ფაქტი, ე.ი. სარეცენზიო ნაშრომის მთავარი თემატური პრობლემების ირგვლივ, მოთავსებულია სულ ხუთი-ოდე გვერდზე. ამ მცირე მანძილზეც ავტორის მთელი მსჯელობა, რაიმე დასაბუთების ნაცვლად, წმინდა დეკლარატიულ დებულებებს შეიცავს, რომელნიც სწორედ ამიტომ ყოველგვარ დამაჯერებელ ძალას მოკლებულნი არიან. ჩვენ აქ ადგილის უქონლობის გამო (ისედაც დაჭიანურდა რეცენზია) შეუძლებლად მიგვაჩნია იმ კრიტიკულ შენიშვნებზე შეჩერება, რომლებსაც ავტორი აკეთებს ნორმატიული ფაქტების ირგვლივ არსებულ სხვადასხვა შეხედულების მიმართ. ჩვენი აზრით, ბევრი რამ, რაც ამ კრიტიკულ შენიშვნებში აქვს ავტორს აღნიშნული, გაუგებრობის შედეგია. მაგალითისათვის შესაძლებელია გავისხენოთ ავტორის მთავარი არგუმენტი იმ თეორიების წინააღმდეგ, რომელნიც ნორმატიული ფაქტის პრობლემას სამართლის წყაროს უკავშირებენ; ეს არგუმენტი იმას უთითებს, თითქოს „სამართლის წყაროს თვისებები მთლიანად სამართლის შექმნის უნარით ამოიწურება... სამართლის წყაროს არ შეუძლია შექმნას სხვა რამ თუ არა სამართალი“ (გვ. 76). ავტორის აზრით, ეს არგუმენტი მტკიცებას არ მოითხოვს. ჩვენი აზრით კი, იგი აშკარად ყალბია. თუ ავტორი ფიქრობს: ნორმატიული ფაქტების პრობლემა არსებითად სხვადასხვა საფუძვლიდან (გვ. 74) გაცილებით



უფრო დასაბუთებულია სანინააღმდეგო ე.ი. ის, რომ ერთი და იგივე საფუძვლიდან შესაძლებელია სხვადასხვა შედეგის მიღება. თუ ეს ასეა - ავტორის მტკიცება, რომ სამართლის წყაროს ფუნქცია, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმ მოვლენის შედეგი, რომელსაც სამართლის წყაროს მნიშვნელობა ეძლევა, თითქოს მხოლოდ სამართლის შექმნით ამოიწურებოდეს, საფუძველს მოკლებულად უნდა იქნეს ცნობილი. მაგრამ ჩვენ ამაზედ შეჩერება აქ არ მიგვაჩნია აუცილებლად და ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ კიდევაც რომ გავიზიაროთ ავტორის კრიტიკული შენიშვნების სისწორე, ეს შორეულადაც არ იქნება თვით ავტორის საკუთარი კონსტრუქციის დამადასტურებელი. ამკარაა, რომ აქ მთავარი ყურადღება ამ უკანასკნელს უნდა მიექცეს.

რაში მდგომარეობს ავტორის საკუთარი შეხედულება ნორმატიული ფაქტების პრობლემაზე? ეს შეხედულება სარეცენზიო ნაშრომში შემდეგნაირად არის გამოთქმული: „... არსებობს ფაქტები, რომელთაც თავისი ბუნების თანახმად, შეუძლიათ შექმნან აზრთა კავშირის ისეთი კომპლექსი, რომლისადმი ლოლიკური დამოკიდებულება „მე“ და „სხვას“ გვსაზღვრავს უფლებამოსილებისა და ვალდებულების მნიშვნელობით“ (გვ. 71). ამ განსაზღვრებისათვის, რომელიც სარეცენზიო ნაშრომის არსებით საკითხს ეხება, განსაკუთრებული სიზუსტე იყო სავალდებულო. სამწუხაროდ, სიზუსტის ნაცვლად, აქ ძალიან ბევრი ბუნდოვანი მომენტი არის. ასე, მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა გავიგოთ, რომ ფაქტები თავისი ბუნებით ქმნიან აზრთა კავშირის გარკვეულ კომპლექსს, მაგრამ სრულებით გაუგებარია, თუ როგორ შეუძლია ამ აზრით კომპლექსისადმი ლოლიკურ დამოკიდებულებას ჩვენ გაგვსაზღვროს უფლებამოსილისა და ვალდებულების მნიშვნელობით. ყველაფერი ეს, ჩვენი აზრით, სრულებით უშინაარსო ფრაზეოლოგიაა და, თუ ზევით მოყვანილ განსაზღვრას რაიმე აზრი შეიძლება მიექცეს, ეს მხოლოდ ის, რომელშიდაც გარკვეული ფაქტები ნაგულისხმევია როგორც უფლება-მოვალეობის წარმომშობი. ამგვარად, ავტორის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს ფაქტების გარკვეული სახე, რომელნიც „თავისი ბუნებით“ ქმნიან უფლებას და მოვალეობას. გამოთქმა - „თავისი ბუნების თანახმად“, აქ ამკარად ნიშნავს: პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად.

სანამ იმ მაგალითების განხილვაზე გადავიდოდეთ, რომლებშიც, ავტორის აზრით, მუდამდებია ნორმატიული ფაქტე-

ბის არსი და თავისებურება, საჭიროა წინასწარ რამდენიმე ზოგადი ხასიათის მოსაზრების მოყვანა, რომელიც ავტორის ზევით მოყვანილ განსაზღვრას ამთავითვე პრობლემატურად ხდიან, როდესაც აღნიშნულ განმარტებაში ავტორი ნორმატიული ფაქტის თავისებურებას იმაში ხედავს, რომ იგი გარკვეულ სუბიექტებს „საზღვრავს ვალდებულის მნიშვნელობით“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამით ავტორს თავის განმარტებაში ისეთი ელემენტი შეაქვს, რომელიც მას შიგნითვე არღვევს. მართლაც, გამოთქმა ამა თუ იმ სუბიექტის ვალდებულების მნიშვნელობით განსაზღვრის შესახებ ხომ უდაოდ შესაძლებელია მართო ერთი აზრით იქნეს გაგებულად, სახელდობრ, იმ აზრით, რომ სუბიექტის გარკვეული სახის მოქმედება ნაგულისხმევია როგორც ჯერარსი. მაგრამ, თუ ეს ასეა, ხომ უდაოა, რომ რამდენადაც ეს ჯერარსობრივობა დაკავშირებული არ არის გარკვეულ ინდივიდთან, იგი (ჯერარსობრივობა) შესაძლებელია მოცემულ იქნეს გარკვეულ ნორმატიულ ფორმაში, ე.ი. გარკვეული ნორმის სახით? ამ დებულების უდაო ხასიათს ალბათ თვით ავტორიც ცნობს, ვინაიდან სარეცენზიო ნაშრომის 70-ე გვ.ზე ჩვენ სიტყვა-სიტყვით შემდეგს ვკითხულობთ: „დიდ განმარტებას არ მოითხოვს ის დებულება, რომ თუ რასმე ნორმატიულობის ხასიათს ვაკუთვნებთ, ნორმატიულობა შეიძლება მიენეროს რასმე მხოლოდ იმ შინაარსით, რომელიც თვითონ ნორმატიულობით ხასიათდება, ე.ი. იმისათვის, რომ რასმე ნორმატიულობის ხასიათი მიეკუთვნოს, საჭიროა ნორმა, რომელიც ამ რასმე ნორმატიულობის ხასიათს აწერს“ (გვ. 70). ავტორი აქ უფრო შორს მიდის, შედარებით იმასთან, რასაც ჩვენ ვამტკიცებთ; სახელდობრ, ავტორის ამ მსჯელობიდან აუცილებლად გამომდინარეობს, რომ არა მხოლოდ სუბიექტის ვალდებულის მნიშვნელობით განსაზღვრისათვის (რაც, სხვათა შორის, ნორმატიული ფაქტების სახელწოდებიდანაც იგულისხმება), არამედ იმისთვისაც კი, რომ ამა თუ იმ ფაქტს ნორმატიული ხასიათი მიეცეთ, საჭიროა გარკვეული ნორმის არსებობა, რომლის საფუძველზეც ხდება ფაქტის ნორმატიული კვალიფიკაცია. ავტორის მთელი კონსტრუქციიდან აუცილებელია ის დასკვნა, რომ ასეთი ნორმის სახით ჩვენ ვერ მივიღებთ სამართლის ნორმას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ნორმატიული ფაქტი სამართლიდან დამოკიდებულ ხასიათს მიიღებდა, რაც, ჩვენი ავტორის აზრით, კატეგორიულად უნდა უარყოფილ იქნეს. მაგრამ, თუ ეს ასეა, ბუნებრივია კითხვა, რა სახის ნორმასთან გვაქვს ჩვენ აქ საქმე? ამ საკითხის გაშუქე-

ბა ავტორისათვის სავალდებულო იყო, მაგრამ ისე, როგორც სხვა შემთხვევებში, რომლებზედაც ზევით იყო მითითებული, ავტორი დუმის ამჯობინებს. ამისდა მიუხედავად, ჩვენ უდაოდ მიგვაჩნია, რომ ის ვალდებულება, რომელიც ნორმატიული ფაქტის საფუძველზე წარმოიშობა ამა თუ იმ ინდივიდისათვის, იურიდიული, უფლებრივი ხასიათის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ თვით ნორმა, რომლითაც განსაზღვრულია, ერთის მხრით, ფაქტის ნორმატიულობა, ხოლო მეორეს მხრით, კი ინდივიდი ვალდებულის მნიშვნელობით, სამართლის ნორმა არის, ვინაიდან უდაო ჭეშმარიტებაა, რომ რადგან, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, ე.ი. როგორც ფაქტის ნორმატიულობის აღიარებისათვის, ისე ამა თუ იმ პირის ვალდებულის სახით განსაზღვრისათვის (ნორმის არსებობა აუცილებლად არის ცნობილი) პირველ შემთხვევაში თვით ავტორისაგან, მეორე შემთხვევაში კი — ზევით მოყვანილ მოსაზრებების გამო. ეს ნორმა შეიძლება იქნეს მხოლოდ სამართლის და არა სხვა სახის ნორმა, თუ, რასაკვირველია, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ წარმოშობილი ვალდებულება იურიდიული და არა სხვა რაიმე სახის (მაგ. ზნეობრივი) ვალდებულებაა. და როდესაც ავტორი ძალიან დიდ ენერგიას ხარჯავს იმის დასამტკიცებლად, რომ ფაქტის ნორმატივობა სამართლიდან არ გამოიყვანება, ჩვენ ვფიქრობთ, აქედან იმ ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ვალდებულება, რომელიც ასეთი ფაქტის საფუძველზე წარმოიშობა, არ შეიძლება იქნეს იურიდიული ხასიათის.

ამ წინასწარ შეფასებას სავსებით ადასტურებს იმ მოსაზრების ანალიზი, რომელიც ამ ავტორს მოჰყავს ნორმატიული ფაქტების იმ გაგების დასადასტურებლად, რომელსაც სარეცენზიო ნაშრომი იძლევა.

ავტორის მთელი არგუმენტაცია აქ მხოლოდ ერთი საკითხით არის განსაზღვრული; იგი მიზნად ისახავს მხოლოდ იმის დამტკიცებას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პოზიტიური სამართალი ხელშეკრულებას, შეთანხმებას თუ დაპირებას, ე.ი. ჩვენი ავტორის გაგებით, ნორმატიულ ფაქტებს ბათილად აღიარებს, ამით, ავტორის მტკიცებით, არ იცვლება აღნიშნული ფაქტების ბუნება, კანონშეზომილება და „ის ინტიმური განცდა (ლოლიკური მნიშვნელობით), რაც ამ აქტებთან უშუალოდ დაკავშირებულია“ (გვ. 93), ამით არ ისპობა ის ინტიმური კავშირი, რომელიც ამ აქტებთან გვაქვს. ეს გაბათილება ქმნის მხოლოდ შესაძლებლობას არ შევასრუ-

ლოთ ის, რის შესრულებასაც აღნიშული ფაქტების კანონშეზომილობა გვიკარნახებს.

გვ. 95: „განა ისეთი შემთხვევა, როდესაც ჩვენ ვდებთ ხელშეკრულებას ისე, რომ არ ვიცით ითვალისწინებს თუ არა ამას პოზიტიური სამართალი, კანონიერია თუ არა ხელშეკრულება, ეს ბოლოს ირკვევა, როცა ჩვენ უკვე გვაქვს მთელი ისტორია იმის შესახებ, რომ მე და სხვა გააზრიანებული ვართ, როგორც უფლებამოსილი და ვალდებული. მერე, საიდან მივიღებთ ამას, თუ ჩვენ, პოზიტიური სამართლის ნორმებისგან დამოუკიდებლად თვით ხელშეკრულების აქტის საფუძველზე მოცემული არა ვართ ერთმანეთისათვის უფლებამოსილისა და ვალდებულების აზრის მნიშვნელობით?“ „შეიძლება ვალიაროთ, რომ დადებული ხელშეკრულება კანონს ეწინააღმდეგება, მაგრამ ვერავინ აკრძალავს იმ განცდას, რომელიც უსათუოდ თან უნდა სდევდეს კანონსა და ხელშეკრულებას შორის აღმოჩენილი წინააღმდეგობის შეცნობას“.

გვ. 96 უთითებს რა უკმაყოფილების გრძნობას, რომელსაც ჩვენ განვიცდით იმ ხელშეკრულების შეუსრულებლობის დროს, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება, ავტორი განაგრძობს: „ეჭვის გარეშეა, რომ ჩვენ არ გვექნებოდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომ ხელშეკრულებით შექმნილ აზრთა მთლიანობაში არ ვწვდებოდეთ სიმართლეს უფლებამოსილისა და ვალდებულის ნამდვილი განწყობილების შესახებ“. გვ. 96: „ხელშეკრულების შეუსრულებლობაში ყოველთვის რაღაც განიცდება როგორც დარღვეული; ამ შეუსრულებლობის განცდაში კი, ყოველთვის აქვს ადგილი იმის განცდას, რაც უნდა შესრულებულიყო“.

გვ. 98: „მაშინაც, როდესაც პოზიტიური სამართალი მიუღებლად ცნობს ამა თუ იმ ხელშეკრულებას, ჩვენ ნათლად განვიცდით ხელშეკრულების სავალდებულო ბუნებას“.

გვ. 107: „განა ჩვენ თავს ვალდებულად მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ, როცა პოზიტიური სამართლის ნორმების შემსრულებელი ვართ? განა ვერ დავასახელებთ ისეთ შემთხვევებს, როცა ანალოგიური განწყობილება სხვა მიზეზების შედეგიც არის? განა ყოველ ჩვენგანს არ შეუძლია დაადასტუროს, რომ არშესრულება ხელშეკრულებისა, რომელიც თუნდაც პოზიტიური სამართლის ნორმების წინააღმდეგ არის დადებული, ვერ გვათავისუფლებს არშესრულების განწყობილებისაგან, რომელიც არსებითად რაიმე ფსიქიურ განცდას კი არ წარმოადგენს, არამედ ლოლიკურ დამოკიდე-

ბულებას იმისადმი, რაც თავის თავის მიერ დანიშნულია შესასრულებლად“.

უნდა ითქვას, რომ ავტორის შეხედულებები ძალიან ხშირად შინაგან წინააღმდეგობებს შეიცავს. მაგ. როდესაც ავტორი ნაშრომის 70-ე გვერდზე ამბობს: „იმისათვის, რომ რასმე ნორმატიულობის ხასიათი მიეკუთვნოს, საჭიროა ნორმა, რომელიც ამ რასმე ნორმატიულობის ხასიათს აწერს“.

აშკარაა, რომ ეს დებულება უდაოდ შეეფარდება ნორმატიულ ფაქტებსაც, ვინაიდან ამ ფაქტებსაც ხომ ნორმატიული ხასიათი აქვს მიკუთვნილი, მაშასადამე, ავტორის საკუთარი დებულების თანახმად, აქაც ჩვენ უნდა ვცნოთ გარკვეული ნორმის არსებობის აუცილებლობა, რომლის საფუძველზეც ხდება ფაქტის ნორმატიული კვალიფიკაცია. ამის მიუხედავად, ავტორი აქ საკვირველ გულმავინყობას იჩენს და ნაშრომის 94-ე გვერდზე გვეუბნება: „ნორმატიული ფაქტების ნორმატიულობა თვით ფაქტის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს და არა ნორმიდან“. ასეთი გულმავინყობა, ასეთი აშკარა წინააღმდეგობა მხოლოდ ისეთ ნაშრომშია შესაძლებელი, რომელიც საკმაოდ მოფიქრებულ მეცნიერულ და მუშავენას მოკლებულია.

გვ. 108: „განა ჩვენ შეგვიძლია ეს მდგომარეობა, რომელიც ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან არის დაკავშირებული რაიმე ფსიქიურ მდგომარეობად ჩავთვალოთ? არასოდეს. გვ. 109: „ხელშეკრულების ან დაპირების დარღვევა არის არა რაიმე უბრალო ფსიქიური მდგომარეობა, არამედ რაღაც ლოლიკური დამოკიდებულება თვით დაპირებულისადმი, არის განცდა და გააზრიანება იმის დარღვევისა, რაც წინასწარ აღნიშნულია შესასრულებლად“. რამდენიმე სტრიქონით ქვევით ავტორი თავისი აზრის უფრო მეტად განსამარტად აღნიშნავს: „მდგომარეობა, რომელშიაც არშესრულება აზრიანდება სხვა არა არის რა, თუ არა თავისებური ლოლიკური დამოკიდებულება დაპირებულისადმი, ან ხელშეკრულებით გათვალსწინებული პირობისადმი“.

ჩვენ განზრახ ასე ვრცლად მოვიყვანეთ ამონაწერები ნაშრომიდან და ეს იმიტომ, რომ ამ ამონაწერებში მთლიანად გადმოცემულია ავტორის არგუმენტაცია სარეცენზიო ნაშრომის მთავარი, თემატური საკითხების ირგვლივ. ეს არგუმენტაცია მიზნად ისახავს მხოლოდ ერთი დებულების დამტკიცებას, სახელდობრ იმის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პოზიტიური სამართალი ბათილად აცხადებს ამა თუ იმ

ხელშეკრულებას, უკანასკნელი ჩვენთვის მაინც ინარჩუნებს თავის სავალდებულო ბუნებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნორმატიული ფაქტების იმ გაგების დასაბუთებისათვის, რომელიც სარეცენზიო ნაშრომში არის მოცემული, ეს ერთი არგუმენტი არამც და არამც თუ საკმარისი არ არის (კიდევაც რომ ვცნოთ მისი სისწორე), მას საერთოდ ნორმატიული ფაქტების პრობლემის გადაჭრის დროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მართლაც და რა ღირებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული პრობლემის გაშუქების დროს მითითებას იმ ფსიქიურ განცდებას და განწყობილებებზე, რომელნიც ნორმატიული ფაქტის საფუძველზე აღმოცენებული ვალდებულების შეუსრულებლობის დროს ჩნდებიან თურმე ჩვენს ფსიქიკაში. მართალია, ავტორი არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, არამედ ლოლიკური ხასიათის დამოკიდებულებას ხედავს, მაგრამ თუ რამდენად სწორია ავტორის ეს მოსაზრება და საერთოდ, თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული განცდების მოცემულობაზე მითითებით თვით იურიდიული ვალდებულების ობიექტური არსებობის მტკიცება, ამაზე ჩვენ ქვევით შევჩერდებით, სადაც გამოირკვევა, რომ ავტორის არგუმენტაცია მთელ რიგ სხვადასხვა სახის გაუგებრობის შედეგია.

ესლა კი საჭიროა, პირველ რიგში, იმის გაშუქება, თუ რატომ არ არის საკმარისი ზევით მოყვანილი არგუმენტაცია და რა საკითხების წინასწარი გაშუქება იყო აუცილებელი ნორმატიული ფაქტების პრობლემის იმ გაგებისათვის, რომელსაც ავტორი იძლევა. რომ საკითხის ძირითად ძარღვს ჩავწვდეთ, აუცილებელია შემდეგ ორ მომენტს მიექცეს ყურადღება: ის, რომ ნორმატიული ფაქტების სახით სარეცენზიო ნაშრომში დაპირისპირებულია როგორც სამართლის წყაროსადმი, ისე თვით პოზიტიური სამართლისადმი, რისი ლოლიკური აუცილებელი შედეგია ორი პარალელური და ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი გზის დაშვება იურიდიული ვალდებულების და უფლებამოსილების წარმოშობისათვის. უკვე ეს დებულებები, რომელნიც ავტორის მსჯელობისათვის ძირითადი მნიშვნელობის არიან, დიდ ეჭვებს ბადებენ და გარკვეული საკითხის გაშუქებას მოითხოვენ. მართლაც, ხელშეკრულება, შეთანხმება, რომელიც ხელშეკრულების შემადგენელ მომენტს აღნიშნავს, ხელშეკრულება (ორი ნების შეთანხმება) და დაპირება ეს ხომ ის იურიდიული ფორმებია, რომელსაც ჩვენ პოზიტიური სამართლის დარგში უდაოდ ვხვდებით და რომელიც აქ გარიგების ერთ-ერთ სახეს აღნიშნავენ და თუ ეს ესეა, მაშინ როგორ უნდა გავიგოთ მათი

პოზიტიური სამართლიდან მოწყვეტა და ამ უკანასკნელისთვის დაპირისპირება? ან შესაძლებელია ავტორი ფიქრობდეს, რომ პოზიტიური სამართლის დარგშიც სხვადასხვაგვარი მოდიფიკაცია, რომელსაც აქ განიცდის ის ხელშეკრულება როგორც იურიდიული პირობების, ისე უფლებრივი ეფექტის მხრით, დამოკიდებული იყოს არა პოზიტიური სამართლისაგან, არამედ თვინ ხელშეკრულებისაგან? ან შეიძლება ავტორს წარმოდგენილი აქვს არა ერთი, არამედ ორი განსხვავებული ცნება ხელშეკრულებისა, რომელთაგან ერთი პოზიტიური სამართლის ფარგლებში შედის, მეორე კი ნორმატიული ფაქტის სახით გვევლინება? სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო, რომ ავტორი ყველა ამ საკითხის გაშუქებისათვის, რომლის გარეშე რაიმე გარკვეულობის შეტანა ავტორის კონსტრუქციაში აბსოლუტურად შეუძლებელი იყო, თავს არ ინუხებს. ვინაიდან თვით ავტორი აქ დუმილს ამჯობინებს, ჩვენ ძალაუხებურად გვიხდება იმ შესაძლებელი შინაარსის გათვალისწინება, რომლის აღსანიშნავად სარეცენზიო ნაშრომში იხმარება ხელშეკრულების და სხვ. ცნება. აქ ორი შესაძლებლობა არის დასაშვები: 1) ორი განსხვავებული შინაარსის დაშვება, რომლების აღსანიშნავად ხელშეკრულების ცნება იხმარება. თუ ასეთი იყო ავტორის აზრი, მისთვის აბსოლუტურად სავალდებულო იყო ხელშეკრულების ცნების ტრადიციული გაგების გვერდით, ე.ი. იმ გაგების რომელშიდაც ხელშეკრულება პოზიტიური სამართლის ერთ-ერთ ფიგურას წარმოადგენს და არა ნორმატიულ ფაქტს, ხელშეკრულების ცნების ახალი განმარტება მოეცა. ამდენადაც, ეს შესრულებული არ არის სარეცენზიო ნაშრომში, ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ავტორი ხელშეკრულების ცნების ქვეშ ახალ შინაარსს არ გულისხმობს და ამდენად, ავტორის ნამდვილი აზრის ინტერპრეტაციის ეს პირველი შესაძლებლობა უნდა უარყოფილ იქნას. 2) მეორე შესაძლებლობა: ავტორი ხელშეკრულების ცნების ქვეშ იმავე შინაარსს გულისხმობს, რასაც ტრადიციული შეხედულება, მხოლოდ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ხელშეკრულების სავალდებულო ბუნება პოზიტიური სამართლიდან კი არ გამოჰყავს, არამედ თვით ხელშეკრულებიდან, როგორც ნორმატიული ფაქტიდან.<sup>3</sup> ვფიქრობთ, რომ ავტორის შეხედულება ამ საკითხში სწორედ ამ აზრით შეიძლება იქნეს გაგებული. ეს

<sup>3</sup> ცხადია, რომ რასაც ჩვენ აქ ხელშეკრულების შესახებ ვლაპარაკობთ, საუბარი შეეხება აგრეთვე შეთანხმების დაპირებას, ე.ი. დანარჩენ ნორმატიულ ფაქტებსაც.

აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ხელშეკრულება სრულებით არ წარმოადგენს პოზიტიური სამართლის ფიგურას, რომ იგი შესაძლებელია აქ მოხსენებული იქნას, მაგრამ თავის სავალდებულო ძალას თავის თავშივე ატარებს; ამიტომ, დამოუკიდებლად იმისაგან, იხსენებს თუ არა მას პოზიტიური სამართალი, ე.ი. როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება სამართლით გაუთვალისწინებელი ან აკრძალული ობიექტის გამო დაიდება, იგი თავისთავად ქმნის უფლებას და ვალდებულებას. პოზიტიურ სამართალს შეუძლია მხოლოდ გამოიყენოს იგი როგორც პირველადი წყარო უფლებამოვალეობის წარმოშობისათვის, მაგრამ მას არ შეუძლია მოსპოს ეს უფლება და მოვალეობა, რომელნიც ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენ; მას შეუძლია ამ მხრით მხოლოდ აკრძალოს იმის შესრულება, რაც ნორმატიული ფაქტის საფუძველზე ამა თუ იმ პირისათვის განსაზღვრულია, როგორც სავალდებულო. ასეთია ავტორის კონსტრუქციის ერთადერთი შესაძლებელი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული დამოკიდებულება ხელშეკრულების, როგორც პოზიტიური სამართლის ერთ-ერთი ფიგურის და ხელშეკრულების, როგორც ნორმატიულ ფაქტს შორის შეიძლება ასეთი კონსტრუქცია გააზრებულ იქნეს? ჩვენ ვფიქრობთ, იგი იმდენად ხელოვნურია, იმდენად აშკარა წინააღმდეგობაში არის მთელ რიგ მეცნიერებაში საკმაოდ დასაბუთებულ დებულებებთან (რომელნიც სარეცენზიო ნაშრომში უარყოფილ არიან), რომ ამ კონსტრუქციის მეცნიერული ღირებულების საკითხი მხოლოდ უარყოფითად შეიძლება გადაწყდეს. მართლაც, თუ პოზიტიური სამართალი, სამართლის იდეის „გასაგნებად“, მის რეალიზაციად ავტორმა იმიტომ გამოაცხადა, რომ სამართლებრივსა და ფაქტიურს შორის ღრმა დემარკაციული ხაზი გაეწყო, ამ ორი ცნების ლოგიკური დაპირისპირების შესაძლებლობა შეექმნა, თუ საერთოდ ფაქტიურის სამართლებრივისადმი სარეცენზიო ნაშრომის ინტენციის თანახმად იმიტომ არის შესრულებული, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ნორმატიული ფაქტის, რომელიც საერთოდ ფაქტიურის დარგს ეკუთვნის, დახასიათება იმ სპეციფიურობით, რომ ნორმატიულობის მატარებელია, სამართლისადმი კატეგორიული დაპირისპირება, თუ ასეთი დაპირისპირებისათვის ავტორი არ ზოგავს ენერგიას, დააგროვოს ერთი მეორეზე სხვადასხვა თვისებები, რომლითაც ნორმატიული ფაქტის სამართლის სფეროსადმი დაახლოვების შესაძლებლობა იმთავითვე უარყოფილ უნდა იქნეს, ჩვენ საფუძველი გვაქვს ვი-



კითხვით — როდის არის შესაძლებელი, რომ სამართლისათვის ამდენად უცხო, ონტოლოგიური თვისებების მხრივ, არსებითად განსხვავებული ელემენტი, არამც თუ პოულობს სამართლებრივ სისტემაში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა უფლებრივი რეგულაციის ერთ-ერთ მთავარ ფორმას წარმოადგენს? თუ სამართალი არსებითად სხვა კანონზომიერებას ექვემდებარება, ვინემ ნორმატიული ფაქტი, — ვთქვათ ხელშეკრულება, — როგორ არის შესაძლებელი, რომ სამართალი მას გამოიყენებს თავისი მიზნებისათვის სამართლისათვის იმანენტური კანონზომიერების ფარგლებში? ან როგორ უნდა გავიგოთ ის საკმაოდ დადასტურებული ფაქტი, რომ პოზიტიური სამართლის ფარგლებში, უკანასკნელის ისტორიული ევოლუციის გასწვრივ, ხელშეკრულება ცვალებადობას განიცდის არა მხოლოდ თავისი შინაარსის მხრივ, არამედ ფორმის მხრითაც.

როგორ უნდა შევარჩიოთ ეს ფაქტი ავტორის დებულებასთან ნორმატიული ფაქტების უცვლელობის შესახებ? ყველა ეს საკითხი გაშუქებას და გადაჭრას მოითხოვენ იმ კონსტრუქციისაგან, რომელშიდაც ნორმატიული ფაქტის სახით ხელშეკრულება არის დასახელებული და მის გვერდით კი ნორმატიული ფაქტის პოზიტიური სამართლისადმი დაპირისპირება მთელი კონსტრუქციის ქვაკუთხედს აღნიშნავს. სარეცენზიო ნაშრომი ყველა ამ საკითხებს არც კი იხსენებს.

გადავიდეთ ავტორის შეხედულებების განხილვაზე სხვა მხრიდან. ნორმატიული ფაქტის ძირითად თვისებას ავტორი იმაში ხედავს, რომ მას უნარი აქვს შექმნას თავისთავად უფლება-მოვალეობა. თავისთავად ცხადია, რომ საკითხის ამ სახით დაყენებას და გადაჭრას სამართლის მეცნიერებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა მნიშვნელობა, რომ დამტკიცებული იყოს, უფლება და მოვალეობა, რომელსაც ჩვენ აქ ვხვდებით იურიდიულ ხასიათს ატარებენ. სინამდვილეში სწორედ ამის სანინააღმდეგოდ არის ჭეშმარიტება. საკმაოდ ცნობილია ის დებულება, რომ შინაარსის მხრივ ზნეობრივი ვალდებულება ძალიან ხშირად იგივეობას წარმოადგენენ და თუ ასეთ შემთხვევაში ჩვენ მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია იურიდიული ვალდებულების, როგორც განსაკუთრებული სახის გამოყოფა, ეს მხოლოდ შესრულების იმ სპეციფიური გარანტიის მიხედვით, რომელიც სამართლის ნორმის საერთოდ და კერძოდ უფლებრივი ვალდებულებების ძირითად თვისებებზე უნდა იქნებოდეს. აქ სრულებით ამაო იქნება იმაზე მითითება, რომ სამართლის ნორმა ბევრ შემთხვევაში ვერ

პოულობს განხორციელებას და რომ თითქოს ამ მოსაზრებით შესრულების მომენტი ირელევანტი იყოს სამართლის და იურიდიული ვალდებულებები ცნებისათვის. ასეთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ჯერ ერთი, იმის მტკიცება, თითქოს სამართლის ცნებისათვის განხორციელების მომენტი მნიშვნელობას მოკლებული იყოს, აშკარაა, ვინაიდან არავის აზრად არ მოუვა ნორმათა სისტემას, რომელიც არასდროს არ განხორციელებულა, სამართლის ხასიათი მიაკუთვნოს. შესაძლებელია მთელ სამართლის სისტემაში ესა თუ ის ნორმა ამა თუ იმ გარკვეულ შემთხვევაში არ განხორციელდეს, მაგრამ აქედან შეუძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ სამართლის მთლიანი სისტემა ინდეფერენტი იყოს შესრულების მომენტის მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ხელიდან გამოგვეცლებოდა ის კრიტერიუმი, რომლითაც მხოლოდ შესაძლებელია სამართლის გამოყოფა საზოგადოებრივი რეგულაციის მხოლოდ წარმოდგენილი სისტემისაგან. მეორე მხრით, კი ზევით აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, საკმარისია მიუთითოთ, რომ შესრულების სპეციფიური გარანტია, რომელიც იგულისხმება როგორც ნორმის, ისე უფლებრივი ვალდებულების ცნებაში, შესაძლებელია გაგებული იქნეს არა მხოლოდ ფაქტიური განხორციელების ასპექტში, არამედ ჯერარსობრივის აზრით, ე.ი. როგორც რალაც, რომლის შინაარსს ნორმის შესრულების გარანტია ქმნის.

ყველაფერი ეს საჭიროა გავითვალისწინოთ იმისათვის, რომ ავტორის კონსტრუქცია ნორმატიული ფაქტების საკითხში სისწორით შევაფასოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზევით მოყვანილი დებულების საფუძველზე აღნიშნული კონსტრუქციის მიმართ შემდეგი, ლოლიკურად აუცილებელი დასკვნა გამომდინარეობს: ის უფლება და ვალდებულება, რომელიც ნორმატიული ფაქტებით წარმოიშობიან, და რომელიც, ჩვენი ავტორის მტკიცებით, არსებობას განაგრძობენ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პოზიტიური სამართალი მათი შესრულების შესაძლებლობას სპობს, არ ატარებენ სამართლებრივ ხასიათს, ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ მათ თან არ სდევს შესრულების გარანტია, რომელიც იურიდიული ვალდებულებების აუცილებელ თვისებას აღნიშნავს. მეორე მხრით, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების მიხედვით, აშკარაა, რომ ავტორის მითითება, თითქოს სამართლის ნორმის და ნორმატიული ფაქტის საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებს შორის კოლიზიის დროს ეს უკანასკნელი

მხოლოდ ვალდებულების ფაქტიური შესრულების საკითხს ეხებოდეს, აშკარად ამახინჯებს იმ ნამდვილ მდგომარეობას, რომელსაც აქ აქვს ადგილი. როგორც ზევით იყო აღნიშნული, სამართლის ნორმის შესრულების გარანტია ჩვენ არ უნდა გავიგოთ მხოლოდ ფაქტიური განხორციელების სახით, არამედ როგორც გარკვეული, რომლის შინაარსს ქმნის ნორმის შესრულების გარანტია, ფაქტიური განხორციელება სწორედ ამ მდგომარეობის შესრულება არის. სწორედ ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლის ნორმა კრძალავს ვალდებულების შესრულებას, რომელიც ნორმატიული ფაქტის საფუძველზე არის წარმოშობილი, ეს აკრძალვა გულისხმობს არამხოლოდ ფაქტიური დაბრკოლების არსებობას აღნიშნული ვალდებულების განხორციელებისათვის, არამედ გარკვეული ვალდებულების მოცემულობას, რომელიც სამართლის ნორმას ემყარება. აქედან აშკარაა, რომ ასეთ შემთხვევებში საკითხი ეხება არა მხოლოდ ნორმატიული ფაქტის საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებას და ამ ნორმის მიხედვით შექმნილ ფაქტიურ დაბრკოლებას შორის კოლიზიას, არამედ ნამდვილი მდგომარეობა აქ ის არის, რომ ერთი მეორისადმი აქ ორი ვალდებულება არის დაპირისპირებული. ერთი, რომელიც სამართლის ნორმას ემყარება და მეორე, რომელიც ნორმატიული ფაქტის საფუძველზე აღმოცენდება. უდაოა, რომ ამ ორი სახის ვალდებულებიდან, რომელნიც ერთი მეორეს აბსოლუტურად უარყოფენ, სამართლებრივ ხასიათს მხოლოდ ის ატარებს, რომელიც მთლიან სამართლებრივ სისტემაში ორგანული ელემენტის სახით არის მოცემული, ე.ი. ის ვალდებულება, რომელიც სამართლის ნორმის საფუძველზე არის წარმოშობილი. ამავე მოსაზრებით, ის ვალდებულება, რომელიც ნორმატიულ ფაქტს ემყარება, იურიდიულ ხასიათს მოკლებულად უნდა ვცნოთ. ასეთი დასკვნის გამოტანა აუცილებელია, ვინაიდან სამართლის სისტემა, რომელიც გულისხმობს არა მარტო სამართლის ნორმათა კომპლექსს, არამედ სხვა იურიდიულ მოვლენებს და კერძოდ, უფლება-მოვალეობას, შეუძლებელია შინაგანი წინააღმდეგობის მატარებელი იყოს; ამიტომ ამ სისტემაში ვერ შევა ვერცერთი ისეთი ელემენტი, რომელიც აშკარა და შეუპოვებელ წინააღმდეგობაში იქნება სამართლის უკვე მოცემულ ელემენტებთან.

ასეთია დასკვნა, რომელსაც ჩვენ მივიღებთ ავტორის კონსტრუქციის შეფასების დროს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ გავიზიარებთ ავტორის დებულებას, არსებობენ ფაქტები,

რომელნიც თავისი ბუნებრივი შინაარსით ქმნიან უფლება-მოვალეობას; ამ ავტორისათვის ყველაზე ხელსაყრელი კონსტრუქციის კრიტიკა ლოლიკური აუცილებლობით მიდის დასკვნამდე, რომ სამართლის ნორმის მიერ არაა მხოლოდ ფაქტიურად, არამედ ჯერარსობრივობის ხასიათითაც უარყოფილი ვალდებულება, შეუძლებელია სამართლებრივი ხასიათის მატარებელი დარჩეს; უკეთეს შემთხვევაში იგი იქნება ზნეობრივი, ეტიკეტიდან გამომდინარე ვალდებულება, მაგრამ იურიდიული უფლება-მოვალეობის ცნებასთან მას საერთო არაფერი ექნება. სწორედ ამიტომ ნორმატიული ფაქტების პრობლემის ამ სახით დაყენება და გადაჭრა სამართლის მეცნიერების ფარგლებს გარეშე სდგას და უკანასკნელისათვის ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულია. ეს იმ შემთხვევაში, თუ ავტორის მიერ დამტკიცებულად ვცნობთ იმ დებულებას, თითქოს არსებობდნენ ფაქტები, რომელნიც თავისი ბუნებით ქმნიდნენ უფლება-მოვალეობას. მაგრამ აქვს კი ავტორს დამტკიცებული ეს დებულება? სარეცენზიო ნაშრომიდან ზევით მოყვანილ ამონაწერში გადმოცემული იყო ის არგუმენტაცია, რომელსაც ავტორი იძლევა ამ საკითხში, აქ, ერთის მხრით, მითითებულია იმაზე, რომ როდესაც ჩვენ ხელშეკრულებას ან დაპირებას სამართლის ნორმის გამო ვერ ვასრულებთ, ყოველთვის მოცემულია განცდა ამ შეუსრულებლობისა და მის გვერდით კი იმის განცდა, რაც უნდა შესრულებულიყო (გვ. 96), მეორე მხრით, კი ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ „არშესრულების განწყობა რაიმე ფსიქიურ განცდას კი არ წარმოადგენს, არამედ ლოლიკურ დამოკიდებულებას იმისადმი, რაც თავის თავის მიერ დანიშნულია შესასრულებლად“ (გვ. 107), რომ „ხელშეკრულების ან დაპირების დარღვევა არის არა რაიმე უბრალო ფსიქიური მდგომარეობა, არამედ რაღაც ლოლიკური დამოკიდებულება თვით დაპირებულისადმი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობისადმი, არის განცდა და გააზრიანება იმის დარღვევისა, რაც წინასწარ დანიშნულია შესასრულებლად“ (გვ. 109). აქ მოყვანილი ფრაზების დაპირებულისადმი ლოლიკური დამოკიდებულების შესახებ და სხვ. ავტორი სხვადასხვა ვარიაციებში რამოდენიმე გვერდის გასწვრივ იმეორებს ალბათ იმიტომ, რომ მათ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს. ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ მთელი ეს მსჯელობა დამაჯერებელ ძალას მოკლებულია.

ასე, მაგალითად, როდესაც ავტორი აღნიშნავს, რომ დაპირების ან ხელშეკრულების დროს ჩვენ განვიცდით ამ შეუსრულებლობას, იგი ტრივიალურ დებულებას აყენებს, რომელზედაც განსაკუთრებით შეჩერება სრულებით ზედმეტი იყო. ეს იმდენად აშკარაა, რომ ადამიანს, რომელიც სხვა თვისებების გვერდით ცნობიერებითაც არის აღჭურვილი, აქვს უნარი გაარჩიოს ხელშეკრულების ან დაპირების შესრულება მათი შეუსრულებლობისაგან, მაგრამ როდესაც უშუალოდ ამის შემდეგ იგი აღნიშნავს: „შეუსრულებლობის განცდაში ყოველთვის აქვს ადგილი იმის განცდასაც, რაც უნდა შესრულებულიყო“, ამ უკანასკნელ სიტყვებს — „უნდა შესრულებულიყო“ — საფუძველი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ მათ ქვეშ ნაგულისხმევი იქნება მხოლოდ მომავალი დროის აღნიშვნა, იმ შემთხვევაში კი, თუ ამ სიტყვებს ჯერარსის მნიშვნელობით გავიგებთ, ავტორის მტკიცება სინამდვილისაგან დაცილებულ ხასიათს მიიღებს, ვინაიდან უდაოა, რომ ყველა შემთხვევაში, როდესაც დაპირებულის შესრულება არ ხდება სამართლის ნორმის გამო, დაპირებულს სრულებით არ განვიცდით როგორც ჯერარსს, პირიქით, სავსებით წარმოსადგენია ისეთი შემთხვევა, როდესაც კანონის უცოდინარობის გამო და მის სანინალმდეგოდ გამოცემული იყო ესა თუ ის დაპირება და როდესაც სუბიექტისათვის ეს გამოირკვევა, მისთვის „ჯერარს“ არა დაპირება, არამედ კანონის მოთხოვნა. ასეთი შემთხვევები უამრავია სინამდვილეში, მაგრამ საკმარისია თუნდაც ერთი შემთხვევაც კი, რომ ავტორის მთელი კონსტრუქცია უკუგდებულ იქნეს, და ეს იმიტომ, რომ როდესაც ავტორი ასეთი აქტების (რომლის მაგალითს დაპირება წარმოადგენს) „ეიდეტურ შემადგენლობას“ უთითებს (გვ. 107). ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი სანინალმდეგო შემთხვევის შესაძლებლობაც კი ავტორის კონსტრუქციით უარყოფილია, მაგრამ სწორედ ამიტომ ერთი შემთხვევაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ავტორის კონსტრუქცია დაირღვეს.

ავტორის აზრს კიდევ უფრო ნაკლებად ასაბუთებს მითითება „ლოლიკურ დამოკიდებულებაზე იმისადმი, რაც ავტორის გამოთქმით, თავის მიერ დანიშნულია შესასრულებლად“. თუ რა იგულისხმება აქ ლოლიკური დამოკიდებულების ქვეშ, რომელსაც თვით ავტორი რაღაც ლოლიკურ დამოკიდებულებას უწოდებს, ეს სარეცენზიო ნაშრომის სათანადო ადგილებიდან სრულებით გაუგებარი და თავის შინაარსში ავტორისაგან გარკვეული არ არის. ამ კონტაქტის მხედველობაში

მიღებით, რომელშიც მოყვანილია ეს სიტყვები, რომ ავტორი ლოლიკურ დამოკიდებულებაზე აქ იმისათვის ლაპარაკობს, რომ განწყობა, რომელიც მოცემულია ხელშეკრულების ან დაპირების შეუსრულებლობის დროს, ფსიქიურ განცდას დაუპირისპიროს. მაგრამ ეს აშკარად უიმიედო ცდა არის, ვინაიდან ასეთი დაპირისპირებისათვის სრულებით არ არის საკმარისი აღნიშნულ განწყობილებას ხელოვნურად და უადგილოდ „ლოლიკურის“ ეპითეტი მივანებოთ. მეცნიერულად სწორი მსჯელობა აქ მოითხოვდა შინაგანი მომენტების აღმომჩენას, რომლითაც ასეთი დაპირისპირება შესაძლებელი გახდებოდა. ასეთი რამ სარეცენზიო ნაშრომში არამც თუ მოცემული არ არის, არც შეიძლება მოცემული ყოფილიყო, ვინაიდან განწყობილების ცნება ხომ უდაოდ ფსიქიურ სამყაროდან აღებული მოვლენის აღმნიშვნელი ცნებაა და ფსიქიურის გარეშე მისი ძებნა ამაო იქნება.

ან შესაძლებელია ავტორს მხედველობაში ჰქონდა არა განწყობილება, როგორც გარკვეული ფსიქიური ფენომენი, არამედ ის შინაარსი, რომელიც განწყობილების საგნად არის მოცემული. ჩვენ შეგვიძლია გავყვეთ ავტორს ამ მიმართულებითაც და ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამ ხაზითაც ავტორის მთავარი დებულება დასაბუთებას ვერ პოულობს. მართლაც, რა ელემენტების აღმოჩენა არის შესაძლებელი იმ განცდის ფენომენოლოგიური ანალიზის დროს, რომელიც ხელშეკრულების შეუსრულებლობის დროს არის მოცემული? უდაო არის, რომ აქ მოცემულია ერთის მხრით, შეცნობა, რომ დაპირებული შესრულებული არ იქნა, ხოლო, მეორე მხრით, კი გარკვეული გრძნობით ტონუსი, ე.ი. უკმაყოფილობის გრძნობა, დაპირებულის შეუსრულებლობით გამონვეული. როდესაც ავტორი ამის საწინააღმდეგოდ და იმ მიზნით, რომ დაამტკიცოს, თითქოს აღნიშნული განწყობილება ფსიქიურ განცდას არ წარმოადგენს, იმას უთითებს, რომ ფსიქოლოგიურად ხელშეკრულების ან დაპირების შეუსრულებლობის დროს უკმაყოფილების ნაცვლად კმაყოფილებას განვიცდით, იგი ერთი მეორეში ურევს სხვადასხვა მოვლენას. უკმაყოფილების გრძნობა, რომელსაც ჩვენ ვუთითებთ, გამონვეულია თვით იმ ფაქტით, რომ მიცემული დაპირება არ იქნა შესრულებული, რომ სიტყვა დავარღვიეთ, კმაყოფილების გრძნობა კი შეიძლება ასეთ შემთხვევაში გამონვეული იქნეს არა მოცემული დაპირების დარღვევის შეცნობით, არამედ დაპირებულის შეუსრულებლობით. აშკარაა, რომ აქ სრულებით განსხვავებულ მოვლენებთან გვაქვს საქმე. ესაა

თუ ჩვენ ზევით დასახელებულ ორ მომენტზე შევჩერდებით, რომელნიც მოცემული არიან ხელშეკრულების ან დაპირების შეუსრულებლობით გამოწვეულ განწყობილებაში, ადვილად დავინახავთ, რომ ამ მომენტების მიხედვით, შეუძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, თითქოს ის, რაც შესრულებული არ იქნა, თავისთავად ჯერარსობრივი ხასიათის მატარებელი იყოს. ასეთი დასკვნისათვის საფუძველს უდაოდ არ იძლევა დაპირებულის შეუსრულებლობის უბრალოდ შეცნობა, ვინაიდან ამ უკანასკნელ აქტში მხოლოდ იმის შიშველი დადასტურებაა, რაც მოხდა და ამ დადასტურებიდან, ფაქტის ამ უბრალო „რეგისტრაციიდან“ ჩვენი შეცნობის სფეროში ვერავითარი ლოლიკით ვერ მივიღებთ იმ დასკვნას, რომ, რაც მოხდა, არ უნდა მომხდარიყო და რომ მომხდარის სანინალმდეგო ჯერარსი იყოს. და როდესაც ავტორი სარეცენზიო ნაშრომის 95-ე გვერდზე გაიძახის: „ყველაფრისგან დამოუკიდებლად, ყველგან და ყოველთვის ჩვენ შევიცნობთ შეუსრულებლობას, რაც არსებითად გულისხმობს იმის შესრულების მოთხოვნას, რაც არ სრულდება“ — ჩვენ სრულის დარწმუნებით ვაცხადებთ, რომ ის დიდი პათოსი, რომლითაც ეს ფრაზა არის გადმოსროლილი, უკუღმა პროპორციულია მის საფუძვლიანობასთან, რომ შეუსრულებლობის შეცნობის აქტი თავისთავად არამც თუ არ გულისხმობს იმის შესრულების მოთხოვნას, რაც არ შესრულებულა, არამედ ასეთ მოთხოვნასთან არც არაფერი აქვს საერთო. განა იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც ჩვენ არშესრულების შესახებ სრულის სიცხადით იმასაც განვიცდით, რომ „არშესრულებული“ არც უნდა შესრულებულიყო? ასეთ შემთხვევებში ხომ აშკარად მოცემულია შეუსრულებლობის შეცნობა და ისიც ხომ უდაოა, რომ ავტორის ლოლიკის თანახმად, ჩვენ სრულებით სანინალმდეგოს უნდა განვიცდიდეთ! და თუ შეუსრულებლობის შეცნობა (ავტორის დებულების ნინალმდეგ) ასეთ შემთხვევებში არამც თუ არ გულისხმობს არშესრულებულის შესრულების მოთხოვნას, არამედ სრულებით სანინალმდეგოს, ეს იმ უბრალო გარემოების გამო, რომ შეუსრულებლობის შეცნობა აქ სრულებით ნეიტრალური აქტია, რომლიდანაც არ გამოიყვანება რაიმე დასკვნები ჯერარსობრივობის ხაზით, ვინაიდან იგი მომხდარი ფაქტის უბრალოდ რეგისტრაციას წარმოადგენს და მეტს არაფერს. იმისთვის კი, რომ ჩვენ შესრულების „მოთხოვნაზე“ ვილაპარაკოთ, სწორედ ეს „მეტი“ არის საჭირო, რომელსაც მომხდარი ფაქტის უბრალოდ შეცნობის აქტიდან კი ვერ მივიღებთ, არამედ თვით არშესრუ-

ლებულის ჯერარსობრივობის სახით წინასწარ და დამოუკიდებლად უნდა იყოს მოცემული.

კიდევ უფრო ნაკლებად შეუსრულებელი დაპირების ჯერარსობრივობას ის გრძნობითი ტონუსი ადასტურებს, რომელიც შეუსრულებლობის განცდაში არის მოცემული. ავტორი ამ შემთხვევაშიც სხვა აზრის არის, ნაშრომის 96-ე გვერდზე იგი შემდეგს წერს: „ეჭვს გარეშეა ჩვენ არ გვექნებოდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა (ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ირ.ს.), რომ ხელშეკრულებით შექმნილ აზრთა მთლიანობაში არ ვწვდებოდეთ სიმართლეს უფლებამოსილისა და ვალდებულის ნამდვილი განწყობილების შესახებ“. ჩვენ უდაოდ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც ავტორის მოსაზრება რაიმე დამაჯერებელ ძალას მოკლებულია. ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ უკმაყოფილების გრძნობა, რომელიც თან სდევს ამა თუ იმ მოვლენას (ჩვენ შემთხვევაში დაპირების შეუსრულებლობას), თავისთავად არამც თუ არ არის ამ მოვლენის ჯერარსობრივობის მაჩვენებელი, არამედ უმრავლეს შემთხვევებში სწორედ საწინააღმდეგოს აქვს ადგილი, ე.ი. უკმაყოფილების გრძნობა ისეთი რამის შეუსრულებლობასთან არის დაკავშირებული, რაც აბსოლუტურად ჯერარსობრივია.

ამგვარად, ჩვენ იმ დასკვნამდე მივიღვართ, რომ არც მიცემული დაპირების არშესრულების შეცნობის აქტი და არც უკმაყოფილების გრძნობა, რომელიც ამ აქტს თან სდევს, თავისთავად, ამა თუ იმ მოქმედების ჯერარსობრივობის მხრივ არავითარ დასკვნას არ იძლევიან და სწორედ ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ სარეცენზიო ნაშრომი ამ ნაწილში არავითარ დამაჯერებელ აზრთა ნყოფას არ შეიცავს.

მაგრამ შესაძლებელია სხვა, უფრო დამაჯერებელი არგუმენტაცია ჰქონდეს ავტორს მოყვანილი თავისი დებულების დასამტკიცებლად (ნორმატიული ფაქტის არსებობის შესახებ)? სამწუხაროდ, ეს კითხვაც უარყოფითად სწყდება. მთელ დანარჩენ არგუმენტაციაში, რომელსაც ავტორი იძლევა აქ, ჩვენ მხოლოდ იმის დაუსრულებელ განმეორებას ვხვდებით, რომ ხელშეკრულების ან დაპირების დარღვევა და ის მდგომარეობა, რომელშიდაც არშესრულება აზრიანდება (გვ. 109), არის თავისებური ლოლიკური დამოკიდებულება დაპირებულისადმი. ჩვენ ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ აქ ფრაზა ლოლიკური დამოკიდებულების შესახებ სრულებით უადგილოდ არის ნახმარი. მაგრამ კიდევაც რომ გავიზიაროთ ცნებათა ასეთი ხმარების შესაძლებლობა, განა ამით ოდნავ



მაინც მტკიცდება იმის ჯერარსობრივობა, რისადმი ჩვენ თურმე ლოლიკურ დამოკიდებულებაში ვიმყოფებით? განა ლოლიკური დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი (კიდევაც რომ ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელი იყოს) თუნდაც შორეულად ამ უკანასკნელის ჯერარსობრივობას ამტკიცებს? და საერთოდ რა კავშირი აქვს ლოლიკურ დამოკიდებულების ცნებას ჯერარსობრივობასთან? ჩვენი აზრით, აბსოლუტურად არავითარი და სწორედ ამიტომ არის, რომ ავტორის მთელი არგუმენტაცია აქ ჰაერში გასროლა.

მართალია, ავტორს აქ თავისი აზრის დასამტკიცებლად სხვა სახის არგუმენტაციაც მოჰყავს, უთითებს რა იმას, რომ დაპირების შეუსრულებლობა ხშირად ჩვენს სურვილს შეეფერება. იგი აღნიშნავს: „განა ჩვენ შეგვიძლია ფსიქიურად განვიცადოთ რაიმე მდგომარეობა შეუსრულებლობისათვის მზად ყოფნისა, თუ ის, რის შესრულებაც ჩვენ არ გვსურს, თავის თავს შესასრულებლად არ ნიშნავს? (გვ. 108). ადვილი გასაგებია, რომ მთელ ამ მსჯელობაში სიმძიმის ცენტრი სწორედ იმაში არის, თუ როგორ იქნება გაგებული უკანასკნელი სიტყვები. სახელდობრ, თუ ავტორი, გამოთქმით: „თავის თავს შესასრულებლად არ ნიშნავს“ — ჯერარსობრივობის მომენტის აღნიშვნას ფიქრობდა (სხვა რაიმე კი შეუძლებელია აქ ვიგულისხმოთ იმ კონტექსტების მიხედვით, რომელშიდაც ეს სიტყვებია მოყვანილი). აქ მოყვანილი არგუმენტაცია აშკარად უსაფუძვლოდ უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან ჩვენ ადვილად შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი შემთხვევების უამრავი რიცხვი, როდესაც ჩვენ, ავტორის სიტყვები რომ ვისმართთ, ფსიქიურად განვიცდით შეუსრულებლობისათვის მზად ყოფნის მდგომარეობას, მაგრამ ამასთან ერთად ის, რის შესრულებაც ჩვენ არ გვსურს, არამც თუ არ ატარებს ჯერარსობრივ ხასიათს და ამ მხრით „თავის თავს შესასრულებლად არ ნიშნავს“, არამედ ღირებულებითი შეფასების, ე.ი. ჯერარსობრივის მხრივ სრულებით სანინალმდეგო მომენტების მაჩვენებელია. თვითოეული შემთხვევა ზნეობრივად მიუღებელი მოქმედების შეუსრულებლობისათვის მზადყოფნისა, ამის ილუსტრაციას წარმოადგენს და როდესაც ითვალისწინებს, თუ ყოველივე ეს რამდენად ელემენტარული და თავისთავად გასაგებია, გიკვირს, თუ როგორ ჩათვალა ავტორმა შესაძლებლად ასეთი „არგუმენტებით“ სამეცნიერო სამსჯავროს წინაშე გამოსვლა და საკუთარი „თეორიის“ წამოყენება. ჩვენ ამას იმიტომ ვაცხადებთ, რომ ნორმატიული ფაქტების პრობლემის იმ სახით გადაჭრისათვის, რომელსაც ავტორი

იძლევა, ე.ი. სარეცენზიო ნაშრომის მთავარი პრობლემის შესახებ მხოლოდ ზევით მოყვანილი არგუმენტები, რომელნიც, როგორც ეს ვრცლად იყო ნაჩვენები: არამც თუ ორიგინალური მეცნიერული კონსტრუქციის დასაბუთებისათვის, არამედ საერთოდ რაიმე მეცნიერული ეფექტის მისაღწევად აბსოლუტურად გამოუსადეგარი არიან.

ამით ვფიქრობთ ჩვენი დასკვნის დამთავრებას სარეცენზიო ნაშრომის შესახებ. უკანასკნელზე კიდევ ბევრი სხვა რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ რეცენზია ისედაც გაიზარდა და ძალაუნებურად ჩვენ მხოლოდ სარეცენზიო ნაშრომის მთავარი დებულებების განხილვით უნდა დავეკმაყოფილდეთ. როგორც ზევით დეტალურად იყო ნაჩვენები, ამ მთავარი დებულებების დასაბუთების მხრივ, სარეცენზიო ნაშრომი ვერ აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომელნიც ჩვენ უფლება გვაქვს ნაუწყენოთ სამეცნიერო თხზულებას. ამის მიუხედავად, ვიღებ რა მხედველობაში, რომ ჩვენი იურიდიული ლიტერატურა ძალზედ ღარიბია მონოგრაფიული გამოკვლევებით, რომ ნორჩი ქართული იურიდიული აზროვნებისათვის შეუძლებელია დიდი მოთხოვნილებების ნაყენება და ამასთან შეფარდებით შეფასების მასშტაბიც აქ სხვა უნდა იყოს, რომ სარეცენზიო ნაშრომის ავტორს ემჩნევა ერთგვარი ნაკითხოება თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში, შესაძლებლად მიმაჩნია სარეცენზიო ნაშრომი დაშვენულ იქნეს პაექრობაზე დასაცავად.

## ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის

ფრიად საინტერესოა ირ. სურგულაძის ნაშრომის (ხელი-სუფლება და სამართალი<sup>1</sup>) მეთოდოლოგიური ნაწილის განხილვა. ჩვენ გვინდა მოკლედ აღვნიშნოთ, თუ რაში მდგომარეობს ამ მეთოდოლოგიის თავისებურება. ასეთი ანალიზი მით უფრო საჭიროთ მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთი იურიდიული მონოგრაფია ჩვენი უნივერსიტეტის მოღვაწისა, სამნუხაროდ, დაწერილია მკითხველი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელ ენაზე (გერმანულ ენაზე).

ჩვენ არ ვაპირებთ ჩვენი აზრი გამოვსთქვათ ხელისუფლების და სამართლის პრობლემის შესახებ. არც ის გვაქვს მიზნად, რომ მკითხველს გავაცნოთ სამართლის სხვადასხვა თეორეტიკოსის შეხედულება ამ საგანზე. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ - რა შედეგის მიღება შეგვიძლიან ჩვენ, თუ ავტორის მონოგრაფიის ძირითად დებულებებს ლოლიკურად განვაგვიტარებთ. მოკლედ, ჩვენი მიზანია პატივცემული ავტორის მეთოდოლოგიის იმანენტური კრიტიკა.

რაში მდგომარეობს ავტორის მეთოდი? რა და რა დებულებაა მის სისტემაში აღიარებული ძირითად დებულებად?

მონოგრაფიის შესავალში ავტორი აღნიშნავს, თუ რა უმწეო მდგომარეობაშია სამართლის მეცნიერება, რომელსაც აზრთა სხვადასხვაობა და მეთოდების ბრძოლა ახასიათებს, და გამოკვლევის მე-2 გვერდზე ამბობს:

შემდეგში ჩვენ შევეცდებით გამოვარკვიოთ, რომ ის მოვლენები, რომელთაც სახელმწიფოში, როგორც მთლიანობაში, ვხვდებით, არსებითად ონთოლოგიური ხასიათის შინაგან სხვადასხვაობას ააშკარავებს. სახელმწიფო, როგორც ერთი სოციალ ფორმათაგანი და სახელმწიფო, როგორც განსაზღვრული სისტემა სამართლებრივი მოწესრიგებისა (აქ ეს სისტემა გვესმის არა მოწესრიგების პროცესის აზრით, არამედ, როგორც უკვე არსებული სამართლებრივი მთლიანობა) წარმოადგენს არა რელატიური სხვაობის უბრალო სახელწოდებას ერთსა და იმავე ონთოლოგიურ რიგში, არამედ ყოფის (Sein-ის) ძირითადი კატეგორიების სხვადასხვაობის დასახელებას.

---

<sup>1</sup> იხილე ირ. სურგულაძე: Gewalt und Recht. ტფილისის უნივერ. გამოცემა.

შემდეგ ავტორი იძლევა სოციოლოგიური თეორიის მოკლე ანალიზს და აღნიშნავს:

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ამ მეცნიერული კონსტრუქციების მნიშვნელობა და ფასი შევამციროთ. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სოციალური მოვლენები სახელმწიფოს ცხოვრების შინაარსს ქმნიან. ამ აზრით, სახელმწიფო წარმოადგენს რთულ სოციალურ ფენომენს და ამ მხრივ, ის ბუნებისმეტყველების მეთოდით უნდა იქნეს შესწავლილი. მაგრამ სოციალურ პროცესთა ჯამი, რომელთაც ადგილი აქვთ სახელმწიფოში, სავსებით ვერ ამონურავს სახელმწიფოს შინაარსს.

ესე იგი, ავტორს სურს სთქვას, რომ სახელმწიფო გვევლინება როგორც სოციალური ფენომენის, ისე სამართლებრივი ინსტიტუტის სახით:

სახელმწიფო ამ მეორე მნიშვნელობით არ შეიძლება შესწავლილ იქნეს ბუნებისმეტყველების „მეთოდის საშვალებით“ (გვ. მე-3).

საკმარისია დავუშვათ, - ამბობს ავტორი, რომ სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი შეიძლება შესწავლილ იქნეს ბუნებისმეტყველების მეთოდით, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერებამ დაჰკარგოს ყოველივე მნიშვნელობა და აგრეთვე, უფლებაც არსებობისა.

იმ თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც სახელმწიფოში ბუნებრივი პროცესების გარდა ვერაფერს ხედავენ, უნდა ითქვას, რომ არცერთი ძირითადი ნიშანი, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს ახასიათებს, არ შეიძლება განხილული იქნეს ამ თეორიებით.

და ამით აიხსნება ისიც, რომ ყოველთვის, როდესაც ამ ბუნებისმეტყველების მეთოდის (რომელსაც ალბათ სოციოლოგიასაც აკუთვნებს ავტორი) წარმომადგენლები პირისპირ ხვდებიან სამართლის საკითხებს, ცდილობენ ან გვერდი აუხვიონ მათ, ანდა, თუ მათ დაძლევას შეუდგებიან, ააშკარავენ თავის უძლურებას.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სამართალ-დებულებათა ჯამი (die Summe der Rechtsätze), რომლისგანაც იქმნება სამართლებრივი სისტემა, წარმოადგენს არა ფანტომს, არამედ სპეციფიურ სინამდვილეს, რაც უშუალოდ მოწოდებულია ჩვენი შემეცნებისათვის. და ეს სინამდვილე უნდა გამოიკვლიოს სახელმწიფო სამართლის მეცნიერებამ (გვ. მე-6).

აქ ავტორი სავსებით გარკვეულად ამბობს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართალია (ან ნორ-

მათა სისტემა), რაც თავისი ბუნებით სავსებით განსხვავდება იმ საგნობრივი შინაარსისაგან, რომელიც შესწავლილ უნდა იქნეს სოციოლოგიის საშუალებით.

მხოლოდ ამ განსხვავების სრულ შეგნებას შეუძლიან დაასაბუთოს სახელმწიფო სამართლის მეცნიერების დამოუკიდებლობა (გვ. მე-6).

სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას, ისე როგორც ყოველ იურიდიულ დისციპლინას აქვს თავისი საგანი, რომელიც არ შეგვიძლიან სოციალურიდან გამოვიყვანოთ, ამბობს ავტორი და დასძენს:

აქედან ისიც ცხადია, რომ მეთოდი, რომელიც აქ უნდა იქნეს გამოყენებული, არსებითად უნდა განსხვავდებოდეს ბუნებისმეტყველების მეთოდისაგან, ვინაიდან ეჭვს გარეშეა, რომ მეთოდოლოგიის სხვადასხვაობა შეიძლება მხოლოდ გამოსაკვლევ მოვლენათა საგნობრივი შინაარსის სხვადასხვაობაზე იქნეს დამყარებული (გვ. 6-7).

აი, ამ მოსაზრებით ავტორისათვის მიუღებელია კელსენის მეთოდი, მიუღებელია ელინეკიც, რომლის თეორიის თანახმად, ერთი და იგივე სახელმწიფო შეიძლება შესწავლილ იქნეს სხვადასხვა თვალსაზრისით. თვალსაზრისი და მეთოდი კი არ ქმნის, ავტორის აზრით, საგნის თავისებურებას; ერთ სახელმწიფოში მოცემულია ორი სხვადასხვა ბუნების შინაარსი, რომელთა სხვადასხვაობაც ქმნის თვალსაზრისთა, მეთოდთა და მეცნიერებათა სხვადასხვაობას. უარყოფს რა ფორმალურ-ლოლიკურ მიდგომას სახელმწიფოსადმი, ავტორი ამბობს:

ჩვენ შეგვიძლიან სავსებით დავასაბუთოთ, რომ განხილვის თვალსაზრისის (Betrachtungsweise-სი) ფორმალურ-ლოლიკური მომენტები კი არ არის ალებულ მეცნიერებათა სხვადასხვაობის საფუძველი, არამედ საქმის ობიექტურად არსებული სხვადასხვაობა (გვ. მე-11).

თუ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა ბუნების შინაარსია, რომელ შინაარსს მიეკუთვნება ხელისუფლება? ამ კითხვაზე ავტორი იძლევა სავსებით გარკვეულ პასუხს:

როგორც აღვნიშნეთ, ამბობს ავტორი, სახელმწიფოს სოციალური მხარე ნიშნავს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ ფორმას. თუ ზიმმელთან ერთად მივიღებთ, რომ, Über-und-unterordnung არის სახეობანი, რომელთაგან საზოგადოება წარმოსდგება... ჩვენ შეგვიძლიან წინააღმდეგობა (gegensatz) სახელმწიფოს სოციალურ და სამართლებრივ შინაარსთა შო-

რის გამოვხატოთ ხელისუფლების და სამართლის ცნებაში, რათა სწორედ იქნეს გაგებული ის ურთიერთობა მათ შორის, რომლის საშუალებითაც იქმნება კონკრეტული ცხოვრება სახელმწიფოსი, როგორც მთლიანობის (გვ. 14-15).<sup>2</sup>

ამგვარად, ხელისუფლება გადატანილია სოციოლოგიის საგნობრივ შინაარსში, ე.ი. იმ სფეროში, სადაც, ჩვენი ავტორის მეთოდის თანახმად, არ შეგვიძლიან ვეძიოთ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების, საგნობრივი შინაარსისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ანუ სამართალი.

ზემოაღნიშნული ციტატების ძირითადი აზრი მონოგრაფიაში ხშირად მეორდება, ალბათ იმ მიზნით, რომ ავტორის დებულებათა შეთვისება მკითხველისათვის გაადვილებული ყოფილიყო, მაგრამ ყველა შესაფერისი ადგილის მოყვანა ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია, რადგანაც ავტორის მეთოდოლოგიის გასაგებად ჩვენი ამონაწერებიც საკმარისია. მართლაც, მონოგრაფიის იმ ადგილებიდან, რაც ჩვენ აქ მოგიყვანეთ, ცხადი და უდაოა რომ:

1. სახელმწიფო თავისთავად ერთი საგანია (ერთი მთლიანობა);

2. სახელმწიფო შეიცავს ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ და სრულიად განსხვავებულ შინაარსს - სამართლებრივს და სოციალურს;

3. საგნობრივი შინაარსის ამ ონთოლოგიურ განსხვავებაზეა დამყარებული სახელმწიფო სამართლის მეცნიერებისა და სოციოლოგიის განსხვავებაც;

4. სოციალური და სამართლებრივი, როგორც დამოუკიდებელი საგნობრივი შინაარსი ორი დამოუკიდებელი მეცნიერებისა, ერთმანეთს უპირისპირდება;

5. სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სპეციფიური სინამდვილეა, რომელიც სამართლდე-

---

<sup>2</sup> ძნელი არ არის იმის დამტკიცება, რომ „ის ერთი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა“, რომელზედაც ავტორი ლაპარაკობს და ის „Über und unterordnung“, რომელზედაც გ. ზიმელი მიუთითებს, სამართლისაგან დამოუკიდებელ სფეროს კი არ წარმოადგენენ, არამედ ეს ცნებანი ნორმას, სამართალს გულისხმობენ. მართლაც, რას ნიშნავს სახელმწიფო, როგორც ერთი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა? რა კრიტერიუმის მიხედვით ქმნის ერთი ნორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა სახელმწიფოს სოციალურ მხარეს? საკმარისი იყო ასე დაესვათ საკითხი და ნათელი გახდებოდა, რომ „ის ერთი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა“ ბოლოს და ბოლოს არის სამართლით მოწესრიგებული მთლიანობა.

ბულებათაგან (Rechtsätze) იქმნება ანუ რაც იგივეა, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართალია;

6. წინააღმდეგობა, დაპირისპირება სახელმწიფოს სოციალურ და სამართლებრივ შინაარსს შორის შეიძლება ხელისუფლების და სამართლის ცნებით გამოიხატოს.

7. სოციალურის (რომელშიაც ავტორი ათავსებს ხელისუფლებას) და სამართლებრივის ურთიერთობით იქმნება სახელმწიფოს, როგორც მთლიანობის, ცხოვრება.

აი ავტორის ყველა ძირითადი დებულება. მათი ანალიზის საშუალებით ჩვენ შევეცდებით ნათელვყოთ თუ რა დასკვნების მიღება შეიძლება ავტორის მეთოდოლოგიიდან.

ავტორი აღიარებს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება მხოლოდ სახელმწიფოს ერთ მხარეს იკვლევს. მაშასადამე, იურისტი ან, ვსთქვათ, სახელმწიფო სამართლის თეორეტიკოსი, რომელიც ავტორის მსჯელობას ნათლად სცნობს, ყოველთვის უნდა გამოდიოდეს იმ ძირითადი დებულებიდან, რომ, აი, თითქოს არსებობს ერთგვარი მთლიანობა-სახელმწიფო, და მხოლოდ ერთი მხარე ამ სახელმწიფოსი შეიძლება იყოს იურიდიული cogitatio-ს საგნად. მაგრამ განა შესაძლებელია, რომ სახელმწიფოს, რომელიც იურიდიული გაგების საგნად არის აღიარებული, ჰქონდეს ისეთი მხარე, რაც იურისპრუდენციის შესწავლის საგანს არ წარმოადგენს? განა სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას, რომელიც მხოლოდ სამართლის სისტემას იკვლევს, შეუძლიან წარმოიდგინოს ისეთი სახელმწიფო, რომლის ბუნებაც მთლიანად ამონურული არ იყოს უფლებრივი აზრითა და შინაარსით?

აი, ის კითხვები, რომელიც წამოიჭრება იმის წინაშე, ვინც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად სამართალს აღიარებს.

ავტორის იმ თეზისის თანახმად, რომელიც ამბობს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართალია, ორი რამ უდაოდ უნდა ჩავთვალოთ:

1) იურისტს არ შეუძლიან მოსწყდეს თავის ინტენციონალურ საგანს, ე.ი. სამართალს და 2) იურისტიმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს. სწორედ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი “Einstellung“-ი, რომელიც, ჰუსერლის აზრით, არის მეთოდოლოგიური ხერხი, რის საშუალებითაც სწარმოებს ამა თუ იმ საგანზე მთელი შემეცნებითი გულისყურის მიპყრობა. აი, თუ ჩვენ ამ ძირითად აზრს შევითვისებთ, მაშინ ნათელი

გახდება, რომ სოციალური რამ, იმ აზრით, როგორც ეს ავტორს ესმის, არ შეიძლება განხილულ იქნეს სამართლის თვალსაზრისით, და მეორეს მხრით, არც სამართალი შეიძლება შესწავლილ იქნეს იმ მეცნიერების საშუალებით, რომლის საგნობრივ შინაარსსაც სოციალურ ურთიერთობათა ის სამყარო წარმოადგენს, რაც მოცემულია სამართლისგან დამოუკიდებლად, ე.ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსისგან დამოუკიდებლად. სხვანაირად რომ ვსთქვათ, სამართლის თვალსაზრისით შეიძლება განხილულ იქნეს სამართალი, ან ის, რაც სამართლის განხორციელებას წარმოადგენს (ე.ი. ისევ სამართალი).<sup>3</sup> ამიტომ ის, ვინც სახელმწიფოს სამართლოვან მხარეს იკვლევს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოშორდეს იმ აზრს, რომ არასამართლოვანში სამართლის გაგრძელება ეძიოს, რადგანაც წარმოუდგენელია სამართალი შევსებულ იქნეს იმით, რაც სამართალი არ არის. ამგვარად, ვერც ის, ვინც „სამართლოვან მხარეს“ მეთოდოლოგიურად უდგება, და ვერც ის, ვინც სახელმწიფოს სოციალურ შინაარსს იხილავს, ვერავითარ შემთხვევაში, თუ, რასაკვირველია, იგი ავტორის მეთოდს არ უღალატებს, ვერ წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც ორი სხვადასხვა საგნობრივი შინაარსის გაერთიანებას, ე.ი. სამართლის გაერთიანებას იმასთან, რაც სამართალს არ შეიცავს. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის მიღება შეიძლება: სახელმწიფო - როგორც მთლიანობა და, მაშასადამე, სახელმწიფო - როგორც საგანი, ვერ შეისწავლება ვერც სოციოლოგიით და ვერც იურისპრუდენციით, რადგანაც, ავტორის მეთოდის თანახმად, იურისპრუდენციის საგანს მხოლოდ სამართალი წარმოადგენს, ხოლო სოციოლოგიის საგნობრივ შინაარსს კი - ის სოციალური სფერო, რომელსაც ავტორმა სამართლოვანი აზრი და შინაარსი საბოლოოდ გამოაცალა. იურისპრუდენციას - სამართალი, სოციოლოგიას - სოციალური, აქ არის უცნობი მთლიანობის ნაწილები და არა თვით მთლიანობა, ე.ი. სახელმწიფო. ვიმეორებთ, რომ ეს არის ერთადერთი შესაძლებელი დასკვნა, რაც ავტორის მეთოდოლოგიიდან გამომდინარეობს, რადგანაც, ავტორის მეთოდის თანახმად, იურისტს არ შეუძლიან იმას იკვლევდეს, რაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს, ე.ი. ნორმათა სისტემას აღემატება და, მეორეს მხრით, სოციოლოგს (რამდენადაც ეს მეთოდს ნიშნავს) არ შეუძლიან სოციალურ სფე-

<sup>3</sup> რადგან განხორციელება — რამის (ამ შემთხვევაში ნორმის) განხორციელებას ნიშნავს.



როს გაცვილდეს. მართლაც, „ხელისუფლება და სამართალი“-ს ავტორის თეორიის თანახმად, სახელმწიფო იმ საგნობრივ შინაარსზედაც მეტია, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერებისათვის არის გამოყოფილი, და იმ შინაარსზედაც მეტი, რომლის შესწავლასაც ავტორი მხოლოდ სოციოლოგიას აკისრებს, რადგანაც სახელმწიფო სოციოლოგიისა და სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსთა ჯამს წარმოადგენს, რომ სახელმწიფო იგივე იყოს, რაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ან სოციოლოგიის საგნობრივი შინაარსია, მაშინ მთლიანად დაირღვეოდა ავტორის თეორია იმ ორი ონთოლოგიური რიგის შესახებ, რომელთა დაპირისპირებაზეც დამყარებულია „ხელისუფლება და სამართალი“-ს გამოკვლევის მთელი სისტემა. ხოლო რაკი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სახელმწიფოს შინაარსს ვერ ამონჭრავს, თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს აღარ წარმოადგენს, თუ, რასაკვირველია, ერთი მეცნიერების, ამ შემთხვევაში - სახელმწიფო სამართლის მეცნიერების, საგნობრივ შინაარსს მეორე მეცნიერების, ე.ი. სოციოლოგიის საგნობრივი შინაარსი ვერ შეავსებს (რაც ჩვენი ავტორისავე თვალსაზრისით, დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს). აქედან აშკარაა, რომ იურისტს, რომელიც იკვლევს მხოლოდ ნორმათა სისტემას, როგორც ისეთ რამეს, რაც სამართლის შემეცნებით სავსებით ვერ დაიძლევა, არ ძალუძს იფიქროს, რომ იგი თითქოს სახელმწიფოს იკვლევს, და მეორეს მხრით, ვერც სოციოლოგი, რომელიც ისეთ რამეს იხილავს, რასაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსთან არაფერი საერთო არ აქვს, ვერ იტყვის, რომ იგი სახელმწიფოს შესწავლას აწარმოებდეს. ამ შემთხვევაში მითითება იმაზე, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება თითქოს მხოლოდ სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს იკვლევს და სოციოლოგია კი მხოლოდ სოციალურ მხარეს, ვერ გადაარჩენს ჩვენი ავტორის ძირითად დებულებებს, რადგანაც თვით ავტორის მეთოდის თანახმად, შეუძლებელია ნორმათა სისტემა, ე.ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარედ, რომლის აზრიც სამართლის შინაარსით სავსებით ვერ ამოიწურება. იურისტს, რომელიც თავის საგნობრივ შინაარსზე, ე.ი. სამართალზეა მიჯაჭვული, არ შეუძლიან წარმოიდგინოს თავისი საგანი იმის ნაწილად ან ცალკე მხარედ, რაც ერთგვაროვანი არ არის იურიდიული

აზროვნების ინტენციონალურ საგანთან, ხოლო ყოველივე ერთგვაროვანი იქნება იგივე, რაც უკვე მოცემულია სამართლის შემადგენელ აქტში.

მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სამართლის კონკრეტული სისტემიდან შეიძლება იქცეს უნივერსალური სამართლის სისტემად Weltstaat-ად იმ აზრით, როგორც ეს ესმის ქრისტ. ვოლფ-ს, Krabbe-ს და Kelsen-ს, მაგრამ არც ერთი ნაწილი სამართლის ამ სისტემისა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს (მეთოდოლოგიურად) იმასთან, რაც სამართალს არ წარმოადგენს; ამიტომ ნორმათა სისტემასაც, ე.ი. სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს, არ შეგვიძლია შევხედოთ როგორც მთლიანობის ისეთ მხარეს, რომლის შინაარსი სავსებით არ ამოიწურება სამართლებრივი აზრით. მას, ვინც მტკიცედ შეითვისა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების, როგორც თეორეტიული მეცნიერების, ამოცანა და მის გამოსავალ წერტილად სთვლის სამართალს, რომელზედაც დაფუძნებულია ამ თეორეტიული მეცნიერების მნიშვნელობა (geltung), არ შეუძლიან სხვანაირად იმსჯელოს. სწორედ ამიტომ, იურისტს, რამდენადაც იგი თავისი საგნის, ე.ი. სამართლის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს, არ შეიძლება სამართლოვანი ეჩვენოს არასამართლოვანის ერთ მხარედ და, მაშასადამე, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსიც არ შეიძლება მიიღოს ისეთი მთლიანობის ნაწილად, რაც სამართლის ან ნორმათა სისტემის იგივეობას არ წარმოადგენს. ამის გამო, იურისტს, რომელმაც შეითვისა ის თეზისი, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ნორმათა სისტემაა, არ ძალუძს თავისი მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ისეთი მთლიანობის ცალკე მხარედ დასახოს, რომელსაც აქვს სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსისაგან სრულიად დამორებული მხარეები. მაგრამ რაკი შეუძლებელია (მეთოდოლოგიურად), რომ იურისპრუდენციის - საერთოდ და კერძოდ - სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი მივიღოთ როგორც ნაწილი, ან ცალკე მხარე იმისა, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს ან სამართლის განხორციელებას არ წარმოადგენენ, და სახელმწიფო კი, ჩვენი ავტორის თეორიის თანახმად, არ არის თანაბარი სამართლისა, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ერთადერთი საგნობრივი შინაარსია, თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფოც, როგორც ასეთი, (როგორც მთლიანობა, ე.ი. როგორც საგანი)

არ შეიძლება სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენდეს. თუ ვიტყვით, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება სამართალს ან ნორმათა სისტემას სწავლობს, მაშინ ისიც უნდა მივიღოთ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი იგივეა, რაც სახელმწიფო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება ის, რაც ნამდვილად მოხდა: სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას აღარ ექნებოდა თავისი საგანი, ე.ი. სახელმწიფო. ვინც აღიარებს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართალი ან ნორმათა სისტემაა, მან აუცილებლად უნდა სცნოს სახელმწიფო (როგორც მთლიანობა) როგორც სამართლოვანი მსჯელობის მატერია, როგორც სიმბოლო სამართლის ობიექტებისა. Symbol der Rechtsgegenstände, მან უნდა სცნოს სახელმწიფო, როგორც “Noema der noesis des Rechtsurteile”<sup>4</sup>) ხოლო, თუ გავაკეთებთ ამ ერთადერთ დასკვნას იმ თეზისიდან, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს სამართალი ან ნორმათა სისტემა წარმოადგენს, დაირღვეოდა ჩვენი ავტორის თეორიაც ორი ონტოლოგიური რიგის (სოციალური და სამართლისა) შესახებ, ან სხვანაირად: რომ ავტორმა განავითაროს ის აზრი, რაც მის თეზისში იმალება, მაშინ მისი თეორია დაჰკარგავდა თავის ძირითად ბაზას.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ რაიმე ნაწილის შესწავლით შეუძლებელი იყოს მთლიანობის შინაარსის გამორკვევა; ჩვენ შორსა ვართ ასეთი აზრისაგან. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ მთლიანობის გაგება ნაწილის მეშვეობით მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ნაწილები განსაზღვრულ ერთიანობაში ან ერთმანეთის შემავსებელ (Ergänzungsbedürftig) ურთიერთობაში არიან წარმოდგენილი. მაგრამ, თუკი ჩვენ ავტორს გავეყვებით და სახელმწიფოს ვაღიარებთ, როგორც მთლიანობას (საგანს), როგორც ორი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ონტოლოგიური რიგის გაერთიანებას და თანაც ვსცნობთ, რომ თვითეულ ამ რიგს თავისი ცალკე მეცნიერება აქვს, მაშინ თავისთავად ცხადი იქნება, რომ ამ მეცნიერებათა საგნობრივი შინაარსი მოცემულია როგორც სრულიად დამთავრებული შინაარსი, და არა როგორც შევსების მომთხოვნი (Ergänzungsbedürftig),

---

<sup>4</sup> სწორედ ასე მოიქცნენ Birling, Afolter, Krabbe, Kelsen, Merkl, Wenzel და სხვები.

და, მაშასადამე, შეუძლებელია ამ ორი მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ერთი განსაზღვრული მთლიანობის ნაწილად ან ცალკე მხარედ წარმოვიდგინოთ. იურისტს რომ შეეძლოს იმის დაშვება, რომ მისი კვლევის საგანი მოითხოვს შევსებას (Ergränzungsbedürftig), ე.ი. რომ სამართალი თავისთავად დამოუკიდებელი არ არის და რომ იგი შეივსება იმით, რაც სამართალს არ წარმოადგენს, მაშინ კიდევ შესაძლებელი იქნებოდა გველაპარაკა იმის შესახებ, რომ სამართალი რაღაც მთლიანობის ნაწილია. თუმცა ესეც შეცდომა იქნებოდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ სამართალსა და სოციალურს ჩვენი ავტორი უყურებს როგორც ორ სრულიად დამოუკიდებელ საგანს; ავტორის სისტემაში ისინი ორ პარალელურ ხაზს წარმოადგენენ, რადგანაც მათ შორის განყვეტილია ლოლიკური კავშირი და ისეა განყვეტილი, რომ აღარც სამართალს აქვს დასაყრდნობი ფუძე სოციალურში და აღარც სოციალურს სამართალში. რაკი სამართალი და სოციალური ასე დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისაგან, ცხადია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისინი რაღაც მთლიანობის ცალკე მხარეებად, ან ნაწილებად, რადგანაც ნაწილად ყოფნა ნიშნავს Ergränzungsbedürftig-ად ყოფნას, ხოლო სამართალი და სოციალური ავტორის სოციალურ გამოკვლევაში არსებობენ როგორც ორი საგანი ორი დამოუკიდებელი მეცნიერებისა.

რა დასკვნა შეიძლება მივიღოთ აქედან? მხოლოდ ერთი: რაკი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი 1) არ შეიძლება ჩავთვალოთ მთლიანობის ცალკე მხარედ, 2) რაკი ეს საგნობრივი შინაარსი იგივე არ არის, რაც სახელმწიფო და 3) რაკი იგი წარმოადგენს არა ნორმათა განსაზღვრულ სისტემას, არამედ საერთოდ ნორმებს, - თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება, ჩვენი ავტორის მეთოდის თანახმად, არის არა მეცნიერება სახელმწიფოზე, არამედ უბრალო მოძღვრება სამართლისა და ნორმების შესახებ, და თანაც ისეთი მოძღვრება, რომელიც თავის საგნად ვერასოდეს სახელმწიფოს ვერ ჩათვლის. მაგრამ თუ ამ დასკვნის წინააღმდეგ გვიპასუხებენ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება (რომელიც შეზღუდულია თავისი საგნობრივი შინაარსით, ე.ი. სამართლით), სწავლობს რა „სამართლებრივ მხარეს“, ნამდვილად იკვლევს იმ ფენომენს, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება, და სოციოლოგია, სწავლობს რა მხოლოდ სოციალურს, (სადაც სამართლის მსგავსი არაფერია), იკვლევს იმავე სახელმწიფოს,

მაშინ პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს მთელი შინაარსი აუცილებლად გაივსება სამართლის შინაარსით, ე.ი. სამართალსა და სახელმწიფოს შორის თანასწორობის ნიშანი დაისმის, ხოლო მეორე შემთხვევაში (ე.ი. სოციოლოგიური მიდგომის დროს) სახელმწიფოს შინაარსი ამოიწურება იმ სოციალური სფეროთი, სადაც ჩვენს ავტორს არ შეუძლიან სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსისათვის დამახასიათებელი ელემენტები მონახოს. ამგვარად, თუ პირველ დასკვნას უარყოფთ და ვიტყვით, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება სწავლობს რა „სახელმწიფოს ერთ მხარეს“, ამით იკვლევს თვით სახელმწიფოს და სოციოლოგიაც, რომელიც მხოლოდ „სოციალურ მხარეს“ სწავლობს, იმავე სახელმწიფოს იკვლევს, - მაშინ შეგვიძლიან ვაღიაროთ, რომ ერთი სახელმწიფოს ნაცვლად ჩვენს ავტორს მხედველობაში ჰყავს ორი სახელმწიფო, რომელთაგან ერთი სავსებით ამოიწურება სამართლის შინაარსით, ხოლო მეორე ისეთია, რომელშიაც არაფერი სამართლებრივი არ არის. მაგრამ თუ „სოციალურისა და სამართლის შინაარსთა ურთიერთობა, - როგორც ჩვენი ავტორი ამბობს, - შეიძლება გამოიხატოს ხელისუფლებისა და სამართლის ცნებაში“ (ე.ი. ხელისუფლება სოციოლოგიის საგნობრივი შინაარსის სფეროა), აშკარა ხდება, რომ ის სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენს, იქნება უხელისუფლებო სახელმწიფო, მაგრამ სახელმწიფო - სამართლებრივი, ხოლო ის სახელმწიფო, რომელიც სოციოლოგიას რჩება, იქნება სახელმწიფო ხელისუფლებით, მაგრამ ისეთი სახელმწიფო, რომელშიაც სამართლის ნასახიც ვერ მოიპოვება.

მართლაც, საკმარისია ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს ნორმათა სისტემა წარმოადგენს, და ჩვენ მაშინვე შევნიშნავთ, რომ სახელმწიფო შინაარსს გამოეცლება ყოველივე ის, რაც კი სამართალს შეადგენს. რა სახით შეუძლიან სამართლის თეორეტიკოსს, რომელმაც შეითვისა ჩვენი ავტორის თეზისი, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების კვლევის საგანი სამართალია, წარმოუდგინოს სახელმწიფოს „სოციალური რეალობა“? განა მას შეუძლიან სახელმწიფოს „სოციალურ რეალობას“ მიაკუთვნოს ის, რასაც სამართალთან კავშირი არა აქვს? ჩვენ გვგონია, რომ არა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება თავის საგნად მარტო

სამართალს კი არ სთვლის, არამედ იმასაც, რაც სამართალი არ არის. ხოლო ასეთი შევსება ერთი მეცნიერების საგნობრივი შინაარსისა მეორე მეცნიერების საგნობრივი შინაარსით, უარყოფილია თვით ავტორის მიერ. აქედან ცხადია, რომ ის, ვინც სახელმწიფოს მიუდგება როგორც იურისტი, მან სახელმწიფოდან უნდა განდევნოს ის მეორე ორთოლოგიური რიგი, რომელიც, ჩვენი ავტორის აზრით, სოციოლოგიის კვლევის საგანია. ამავე წესით, ის, ვინც სახელმწიფოს სოციალურ შინაარსს მიუდგება, მან სახელმწიფოს უნდა გამოაცალოს ის შინაარსი, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსად არის აღიარებული.

მეორე საკითხს ამ შემთხვევაში ნუ შევხებით; შევჩერდეთ პირველზე და ვნახოთ - შეუძლიან თუ არა იურისტს, რომელმაც ავტორის თეზისი მიიღო (რომლის თანახმადაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართალია), აღიაროს, რომ სახელმწიფოში არის ისეთი შინაარსი, რასაც არაფერი საერთო არა აქვს სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსთან.

„სოციალური ამბობს - ამბობს ავტორი - უსათუოდ სახელმწიფოს შინაარსს შეადგენს“. მაგრამ თუ ის ამ „სოციალურს“ მიუდგება როგორც იურისტი, რომელი კრიტერიუმის ძალით შესძლებს იგი ეს „სოციალური“ მიაკუთვნოს სახელმწიფოს როგორც იურიდიული აზროვნების მატერიას? მე მგონია, რომ ორი აზრი ამ იურისტს შეუძლიან მხოლოდ სამართალზე იმსჯელოს, სრულიად უეჭველი იქნება, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს იგი მიაკუთვნებს მხოლოდ სამართალს და იმას, რაც სამართლის განხორციელებას წარმოადგენს. მხოლოდ სამართლის ეს განხორციელება ან განსაკუთრებული ნორმების სისტემის *wirkung*-ი შეუძლიან იურისტს აღიაროს სახელმწიფოს სოციალურ რეალობად. როგორც ვხედავთ, თუ ჩვენ სწორად შევითვისებთ იმ თეზისს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი მხოლოდ სამართალია, აღარ დარჩება ადგილი იმ შინაარსისათვის, რომელსაც ჩვენი ავტორი სოციოლოგიის საგნად სთვლის. შევუდგებით თუ არა იმ თეზისს აზრის განვითარებას, რომლის თანახმადაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს ნორმების სისტემა წარმოადგენს, - „სოციალური მხარე“ მაშინვე თავისთავად მოსწყდება სახელმწიფოს.

არა მგონია, რომ მან, ვინც ამ თეზისს აზრს შეითვისებს, დაინყოს მტკიცება - თითქოს სახელმწიფოს შინაარსს შეიძ-

ლება მიეკუთვნოს ყველაფერი, რაც სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხდება, ან ყველაფერი, რაც შეეხება იმ მოსახლეობას, რომელზედაც ამა თუ იმ სამართლის ძალა ვრცელდება. ამის აღიარება ხომ იმას ნიშნავს, თითქოს იურისტს, სამართლის კრიტიკრიუმის გარდა, შეეძლოს კიდევ იხელმძღვანელოს არა-სამართლის კრიტიკრიუმით. მაშასადამე, იურისტს არ შეუძლიან სახელმწიფოს შინაარსს მიაკუთვნოს სოციალურ ურთიერთობათა ყვალა ფორმა, არამედ, მხოლოდ ის ფორმები, რაც მოცემულია სამართალში, ე.ი. წარმოადგენს იმ სამართლის განხორციელებას, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსად არის აღიარებული. მაგრამ თუნდაც დაუშვათ, რომ სახელმწიფოს შინაარსს შეადგენს არა სოციალურ ურთიერთობათა განსაზღვრული ფორმები, არამედ საერთოდ სოციალური, ამ შემთხვევაშიაც შემდეგი დებულება უნდა გავიაზროთ: იმისათვის, რომ საერთოდ სოციალური ვალიაროთ, როგორც ნაწილი სახელმწიფოსი, რომელსაც სამართლებრივი მხარეც აქვს, საჭიროა მთლად სოციალური განხილულ იქნეს სამართლის თვალსაზრისით. ეჭვს გარეშეა, რომ, როდესაც იურისტს აქვს მხოლოდ სამართლებრივი მხარე სახელმწიფოსი და ეძებს მის მეორე მხარეს - სოციალურს, ამ უკანასკნელს იგი იკვლევს მხოლოდ სახელმწიფოს სამართლებრივი თვალსაზრისით; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ ჰპოვებს იმას, რაც აკლია. რომ იცოდე რა გაკლია, უნდა იცოდე რა გაქვს. სხვანაირად რომ ვსთქვათ: იმ სოციალურის მოსაპოვებლად, რომელიც სამართალთან ერთად სახელმწიფოს შეადგენს, იურისტს შეუძლიან მხოლოდ სამართლის კრიტიკრიუმით იხელმძღვანელოს. მაგრამ განა წარმოსადგენია, რომ სამართლის კრიტიკრიუმით სხვა რამ მოინახოს, თუ არა სამართალი? არა მგონია. ამიტომ ის სფერო, რომელიც, ავტორის აზრით, სახელმწიფოს სოციალური მხარეა, ან სრულიად უნდა მოსწყდეს სახელმწიფოს, ანდა ეს სოციალური მხარე უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სამართალი, ან როგორც განხორციელება სამართლისა. მხოლოდ ამ აზრით შეუძლიან იურისტს, მიიღოს სახელმწიფოს „სოციალური მხარე“. როგორც ვხედავთ, სოციალური მხარე ან არ არის „მხარე“, ანდა ის არსებითად სხვა არა არის რა, თუ არა სამართლებრივი მხარე სახელმწიფოსი. უფრო სწორად: ეს სოციალური მხარე არის განხორციელება სახელმწიფოს „სამართლებრივი მხარისა“, აღსრულება (Befolgung) ნორმათა იმ სისტემისა, რომელიც სახ-

ელმნიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს წარმოადგენს.

ჩვენ ვფიქრობთ, ეს მცირე შენიშვნები სრულიად საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ იურისტს, რომელმაც სამართალი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად აღიარა, არ შეუძლიან სახელმწიფოში აღმოაჩინოს ისეთი რამ, რაც სამართალს ან სამართლის განხორციელებას არ წარმოადგენს.

ამგვარად, ზემოაღნიშნულის მიხედვით, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ავტორის მეთოდის თანახმად, სახელმწიფო საერთოდ არ არის არც სახელმწიფო მეცნიერების საგანი და არც სოციოლოგიის საგანი, ანდა უნდა დავუშვათ, რომ არსებობს არა ერთი, არამედ ორი სახელმწიფო, რომელთაგან ერთი ამოიწურება სამართლის შინაარსით, ხოლო მეორე სრულიად არ შეიცავს რაიმე სამართლებრივს (ე.ი. ერთი საგნის მაგიერ ორი სხვადასხვა შინაარსის საგანი).

ამ დასკვნების გაბათილება შეუძლებელია, შეუძლებელია იმიტომ, რომ მთელი თავისი სისტემა ავტორმა ააგო ისეთ ორ თეზისზე, რომელნიც ერთიმეორეს ძირიან-ფესვიანად უარყოფენ. მართლაც, განა შესაძლებელია ის თეზისი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება ნორმათა სისტემას იკვლევს, შეუთანხმოთ მეორე თეზისს, რომელიც გვეუბნება, რომ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინის ორი საგნობრივი შინაარსია?

მაგრამ ვნახოთ, რა წინააღმდეგობანი გამომდინარეობენ კიდევ ავტორის გამოკვლევის ძირითადი დებულებებიდან.

ავტორი ამბობს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება იკვლევს სპეციფიურ სინამდვილეს, რომელსაც ქმნის სამართალდებულებანი (Rechtsätze). ე.ი. იკვლევს სამართლის სისტემას. მაგრამ რა არის ეს განსაკუთრებული სპეციფიური სინამდვილე, რომელზედაც ავტორი ლაპარაკობს? არის ის სპეციფიური, და მამასადაამე, განსაზღვრულიც, იმ აზრით, რომ ეს სისტემა ნორმებისა თავისი სპეციფიური შინაარსით განსხვავდება ყველა სხვა სისტემისაგან, თუ მას უჭირავს რაღაც განსაკუთრებული ადგილი სამართლის ერთ ზოგად სისტემაში?

რომ ავტორს ეს თეზისი განევითარებინა, იგი იძულებული იქნებოდა უარი ეთქვა ზოგიერთ ფრიად არსებით დებულებაზე. თუ ავტორს არ სურდა, რომ მისი მეცნიერება სახელმწიფო სამართლისა ყოფილიყო ხან სისხლის სამარ-



თლის, ხან სამოქალაქო სამართლის, ხან საფინანსო სამართლის, ხან კიდევ სხვა რომელიმე სამართლის მეცნიერება (რადგან სამართლის ეს მეცნიერებანიც იკვლევენ), მას სამართლის საერთო სისტემა უნდა წარმოედგინა, როგორც მთელი რიგი საფეხურებისა (Rechtstufen), რომელთაგან ერთი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს შეადგენს. ვინც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად აშკარად და ფარულად მხოლოდ ნორმათა სისტემას სთვლის და ამავე დროს, აღიარებს სხვადასხვა იურიდიულ მეცნიერებათა (სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სხვ. და სხვა.) არსებობას, მან სამართლის სისტემაში უნდა დაინახოს სამართლის ის საფეხურები, რომელზედაც მერკლი ლაპარაკობს. მაგრამ ვინ, ან რა აწყობს სამართლის ამ საფეხურებს, თუ არ სახელმწიფო?

Es sind bestimmte staatsfunktionen, das heist gesetzgebungsfunktion, der Verordnungsfunktion, der Verordnungsgewalt, die Verfügungskompetenz die Justizhoheit des staates u. s. w. um die Einzelnen Rechtstufen gruppieren, ამბობს Heinrich-ი.<sup>5</sup>

ამგვარად, იმისათვის, რომ სამართლის სისტემაში თავისებური საფეხურიანობა შევქმნათ და ამით სახელმწიფო სამართლის მეცნიერების „განსაზღვრულ საფეხურს“ მივაკუთვნოთ, საჭიროა ორიენტაცია სახელმწიფო აქტის (Staatsact) იდეაზე, და, მაშასადამე, საჭიროა ვაღიაროთ ამ აქტების მატარებელიც, ე.ი. სახელმწიფო იურიდიულ პირად უნდა ჩავთვალოთ. აბა, ვინმემ სინჯოს, ამ ორიენტაციის გარეშე დაასაბუთოს არსებობა ნორმათა რაღაც განსაზღვრული სისტემისა, რომელსაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება უნდა იკვლევდეს! თუ პატივცემული ავტორი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ნორმათა ერთგვარი განსაზღვრული სისტემაა, მას სახელმწიფო აუცილებლად იურიდიულ პირად უნდა ეღიარებინა. უამისოდ, პირველ დებულებასაც აზრი ეკარგება. ტყუილად ხომ არ აღნიშნავენ, რომ მერკლის თეორია სამართლის ძალისა და სამართლის საფეხურიანობის შესახებ ცოცხლობს და ირღვევა იმ ცნებასთან ერთად, რომლის თანახმადაც სახელმწიფო იურიდიული პირია, ხოლო მერკლის თეორიის ბედი უნდა გაიზიაროს ყველა თეორიამ, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად „ნორმათა გან-

<sup>5</sup> Heinrich, Zur Theorie der Rechtskraft.

საზღვრულ სისტემას“ აღიარებს. თუ ჩაუკვირდებით ავტორის თეზისის აზრს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება „იკვლევს სამართალდებულებათაგან შექმნილ ახალ სინამდვილეს“, აღმოჩნდება, რომ ამ თეზისში მოცემულია იდეა სახელმწიფოსი, როგორც იურიდიული პირისა, ან როგორც rechtsinhaltliche Tatbestand, რადგანაც ვიმეორებთ, თუ ჩვენ არ მივიღებთ სახელმწიფოს, როგორც იურიდიულ პირს, შეუძლებელი იქნება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება ნორმათა განსაზღვრულ სისტემას იკვლევს.

მაგრამ რა აზრით იქნება ასეთი დასკვნა მიუღებელი ჩვენი ავტორის თეორიისათვის? თუ იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება იკვლევს ნორმათა სისტემას, როგორც ვნახეთ, თავისთავად იძლევა დასკვნას, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება სწავლობს არა მარტო სახელმწიფოს ერთ მხარეს, არამედ მთელს სახელმწიფოს, როგორც rechtsinhaltliche Tatbestand-ს. მაშასადამე, ავტორს არაფერი დარჩენია იმის მეტი, რომ სახელმწიფოს შინაარსიდან განდევნოს ყველაფერი, რაც სამართალი არ არის და აგრეთვე, ყოველივე ის, რაც არ წარმოადგენს ნორმათა იმ სისტემის განხორციელებას, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს შეადგენს. ამგვარად, ავტორის დებულებას, რომ სახელმწიფო ორი სხვადასხვა მეცნიერების (სახელმწიფო სამართლის და სოციოლოგიის) ორი საგნობრივი შინაარსისაგან შესდგება, არღვევს ავტორისვე მეორე დებულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება იკვლევს ნორმათა სისტემას; სხვანაირად შეუძლებელია, რადგანაც ამ უკანასკნელ დებულებაში იმალება იდეა სახელმწიფოსი, როგორც იურიდიული პირისა, ე.ი. იმალება ცნება ისეთი სახელმწიფოსი, რომლის შინაარსიც სავსებით ამოიწურება სამართლით, ვინაიდან იურიდიული პირის შინაარსში ჩვენ ვერ შევიტანთ სამართლისათვის რაიმე უცხო შინაარსს. მაგრამ, თუ დაუშვებთ, რომ თეზისი-სახელმწიფოში ორი სხვადასხვა მეცნიერების საგნობრივი შინაარსის არსებობის შესახებ სრულიადაც არ ეწინააღმდეგება თეზისს, რომელშიაც ჩამარხულია იდეა სახელმწიფოსი, როგორც იურიდიული პირისა, მაშინ კიდევ უფრო დაუშვებელ დასკვნას მივიღებთ. აი რატომ:

ავტორის დებულებათა მიხედვით, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ იურიდიული პირის ბუნება მთლიანად სამარ-

თლის შინაარსით და მნიშვნელობით უნდა ამოიწუროს. სამართლის სუბიექტის იდეა ავტორმა გაანთავისუფლა ყოველივე იმისაგან, რაც სამართალს არ წარმოადგენს. რაღა საფუძველი იქნება იმისთვის, რომ მისი იურიდიული პირი სხვაგვარად იქნეს გაშუქებული? მაგრამ, თუ იურიდიული პირი ჩვენ საერთოდ, და კერძოდ, ავტორის თეორიის თანახმადაც, ისეთ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც სავსებით სამართლის შინაარსით ამოიწურება, მაშინ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს, ჩვენი ავტორის თეორიით, სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი? თუ მხედველობაში მივიღებთ ავტორის თეორიას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო, ორი შინაარსისაგან - სამართლისა და სოციალური შინაარსისაგან შესდგება, ცხადია, რომ მხოლოდ სამართლებრივი მხარე ამ სახელმწიფოში შეიძლება განსახიერებულ იქნეს სახელმწიფოს, როგორც იურიდიული პირის ცნებაში, რადგანაც, ვიმეორებთ, იურიდიული პირის შინაარსს შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ ის, რაც სამართალს წარმოადგენს.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, თუ რა დასკვნამდე მივყავართ ასეთ მეთოდს: ერთი და იგივე სახელმწიფო ერთი თავისი ნაწილით გვევლინება, როგორც იურიდიული პირი, მეორე ნაწილით კი - იგი ასეთ პირს არ წარმოადგენს. იურიდიული პირი, რომელიც ავტორის აზრით, სრულიად მთლიანი უნდა იყოს თავისი შინაგანი სამართლებრივი ბუნებით, წარმოადგენს ისეთ სხეულს, რომლის ერთი ნახევარი სამართალია, ხოლო მეორე ნახევარს არაფერი საერთო სამართალთან არა აქვს. აი, ასეთი არაბუნებრივი სახის სახელმწიფოს შობს დასახელებული მეთოდოლოგია. განა ამ იურიდიულ პირს, რომელიც მთლად სამართლის შინაარსშია მოქცეული, შეუძლიან ატაროს რაღაც ნაძალადევათ მიკერებული კუდი, რომელშიაც არაფერი სამართლებრივი არ არის? განა ამკარად არ სჩანს, რომ ჩვენი ავტორის თეორიამ იურიდიულ პირს მოსდო მძიმე ტვირთი, რომლისგანაც იგი უნდა განთავისუფლდეს, რათა თავისი ბუნებისთვის დამახასიათებელი მთლიანობა და ჩამოსხმული მოყვანილობა შეინარჩუნოს?

უნდა აღვნიშნოთ, აგრეთვე, რომ ორი ზემოაღნიშნული დებულების თანახმად, შეუძლებელია თვით პრობლემა ხელისუფლების და სამართლის ურთიერთობისა. არის ეს მონოგრაფია პასუხი ავტორის მიერ წამოყენებული საკითხისა? ვფიქრობთ, რომ არა. მართალია, მთელს მონოგრაფიაში მხოლოდ ორი თეზისი ეხება ხელისუფლების ცნებას, მაგრამ ეს საკმარისია იმისთვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რას

გულისხმობდეს ავტორი ხელისუფლების ცნებაში. ამ ორი თეზისის ანალიზი ნათლად დაგვანახებს, რომ შეუძლებელია თვით იმ პრობლემის დასმა, რომელსაც ავტორი თავის გამოკვლევას უძღვნის!

პირველი თეზისის შინაარსი ასეთია: სახელმწიფოს სოციალური და სამართლებრივი შინაარსის დაპირისპირება შეიძლება გამოიხატოს ხელისუფლებისა და სამართლის ცნებით (ე.ი. სამართალსა და ხელისუფლებას ავტორი უპირისპირებს ერთმანეთს ისე, როგორც სოციალურს და სამართლებრივს). მეორე თეზისის შინაარსი კი მდგომარეობს შემდეგში: ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთმოქმედება ქმნის სახელმწიფოს სამართლებრივ ცხოვრებას, ანუ სამართლებრივ წესრიგს. რომ თავის ადგილაც, ე.ი. იქ, სადაც პირველად ვხვდებით „იმ ახალ სინამდვილეს“, რომელსაც ნორმათა სისტემა წარმოადგენს და რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანია, ავტორს დაესვა, კითხვა, თუ რაში მდგომარეობს კავშირი ამ ახალ სინამდვილესა და ხელისუფლებას შორის, ვფიქრობთ, სულ სხვანაირი იქნებოდა ავტორის აზრთა წყობა. შესაძლებელია კი დაისვას საერთოდ საკითხი ხელისუფლებისა და სამართლის შესახებ, როდესაც თვით ცნება ხელისუფლებისა, ავტორის მეთოდოლოგიის თანახმად, უარყოფილია? ავტორის მეთოდით, კავშირი სამართალსა და ხელისუფლებას შორის საბოლოოდ გადაწყვეტილია. მათ შეუძლიათ მხოლოდ ერთმანეთის უარყოფა. მას შემდეგ, რაც ავტორმა ხელისუფლება სამართლის სიცარიელეში გადაიტანა, გაუგებარია, რა კავშირი უნდა იყოს ამ ხელისუფლებასა და სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს შორის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველი ასეთი ცდა უნაყოფო იქნებოდა. ამას, ალბათ, გრძნობდა თვით ავტორიც. შესაძლებელია, ამიტომ უფრო მოხერხებულად მიაჩნდა ავტორს მონოგრაფიის პირველ ნაწილში სამართალზე ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად ლაპარაკი, ხოლო ხელისუფლების შესახებ კი მონოგრაფიის მეორე, გამოუქვეყნებელ ნაწილში. მაგრამ როდისლა გვეტყვის რასმე ავტორი თვით ხელისუფლებისა და სამართლის პრობლემის შესახებ? იქნებ იმავე მეორე ნაწილში, ან მესამეში, თუ მეოთხეში? ვფიქრობთ, რომ გამოკვლევის იმ ნაწილს, სადაც ხელისუფლებისა და სამართლის პრობლემა ერთმანეთზე გადაბმული იქნება, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვიხილავთ. ვერ ვიხილავთ იმიტომ, რომ თვით მეთოდი ავტორისა ამბობს: ვერ იხილავთ, ვინაიდან გამოკვლევის ის მეორე ნაწილიც, რო-

მელშიაც განმარტებული უნდა იყოს ხელისუფლების ბუნება, შესაძლებელია შეიცავდეს განმარტებას მხოლოდ ძალის შესახებ.

მართლაც, რის მიხედვით შეგვიძლიან ჩვენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა ძალთა შორის მხოლოდ ერთი გამოვყოთ, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება? რა კრიტერიუმით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ შემთხვევაში? ვფიქრობთ, რომ თუ ეს ძალები ჩვენ ავიღეთ სამართლისაგან დამოუკიდებლად, ვეღარ შევძლებთ ყველა ძალთა შორის გამოვიცნოთ ერთი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება. ჩვენ ვერ ვპოვებთ მას, თუ არ ვიხელმძღვანელებთ სამართლის კრიტერიუმით, ვერ მოვძებნით ძალას, რომელსაც, როგორც ხელისუფლებას, გადავებამდით იმ სახელმწიფოს, რომელიც უფლებრივია ერთ თავის ნაწილში მაინც (როგორც ავტორი ფიქრობს)

ხელისუფლება, ეს თავისებური თვისებაა ძალისა. ის, თუ გნებავთ, სამართლით მოწესრიგებული ძალაა და ამით განსხვავდება ის სხვა დანარჩენი ძალებისაგან. ამიტომ, როდესაც ჩვენ ხელისუფლებას ვთიშავთ სამართლისაგან, ხელისუფლება კარგავს იმ ერთად ერთ სპეციფიურ თვისებას, რომლითაც ის უბრალო ძალისაგან განსხვავდება. სამართლისაგან დამოუკიდებლად, ხელისუფლება, როგორც უსახო ძალა, ჩაიძირება ძალთა მრავალ სახეობაში. საჭიროა ძალა ამა თუ იმ სახით მიუახლოვდეს სამართალს, რათა ის განსხვავებულ იქნეს უბრალო ძალმომრეობისაგან. მაგრამ რას ნიშნავს ძალის მიახლოება ან გადაბმა სამართალთან, თუ არ ძალის დამორჩილებას სამართლისათვის? და აი, ამ დამორჩილებაში პირველად მჟღავნდება, ჩვენის აზრით, იდეა ხელისუფლებისა. ძალის დამოკიდებულება სამართალთან თვით ამ ძალას ახალი ამოცანის წინაშე აყენებს. ეს ამოცანა არის სამართლის განხორციელება. ამიტომაც, სამართლის მიერ მოწესრიგებული შესაძლებლობა სამართლის განხორციელებისა, იქნება ხელისუფლება. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვაზროვნობთ არა სამართალს, არამედ შესაძლებლობას, ანუ შანსს მისი განხორციელებისას, ჩვენ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ ხელისუფლებაზე. და შინაარსთა ამ ღრმა განსხვავებაზეა დამყარებული, აგრეთვე, განსხვავება ხელისუფლებისა და ძალის განცდისა. სამართლის სფეროში ძალის წნევის განცდაში ყოველთვის არის მოცემული მომენტი მისი ლოლიკური უარყოფისა. ხელისუფლების განცდაში კი ამ მომენტს, ლოლიკური და არა

ფსიქიური უარყოფისა, ვერ ვპოულობთ, ვინაიდან ხელისუფლება ჩვენს მიერ ყოველთვის წარმოდგენილია, როგორც განხორციელება ლოლიკურად აღიარებული ნორმისა<sup>6</sup>.

ძალა სამართლისადმი დაპირისპირებაში ორი მნიშვნელობით შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ: ძალა, რომელიც წინ უსწრებს სამართალს და ძალა, რომელიც სამართლებრივ სტიქიაში მოქმედობს. ის ძალა, რომელსაც სამართლებრივ სფეროში ვხვდებით, შეგვიძლიან ჩავთვალოთ მხოლოდ როგორც უარყოფა სამართლისა, ე.ი. როგორც ძალმომრეობა, ვინაიდან, ვიმეორებთ, სამართლებრივ ატმოსფერაში შესაძლებელია მხოლოდ სამართალი და ის, რაც სამართლის განხორციელებაა.

გამოკვლევის ავტორი კი ხელისუფლებას სახელმწიფოში ხედავს, იმ სახელმწიფოში, სადაც სოციალური და სამართლებრივი დამოუკიდებლად არიან მოცემული, რადგან თვითთველი მათგანი აღიარებულია, როგორც ორი დამოუკიდებელი მეცნიერების საგანი. ხელისუფლება კი გადატანილია სწორედ იმ სოციალურში, სადაც სამართლებრივი სრულებით არა სჩანს. როგორ გამოიყურება ეს სოციალური, როდესაც მას ვჭკრეტთ იმ სამართლებრივი შინაარსის თვალსაზრისით, რომელთანაც ერთად ეს სოციალური ჰქმნის ერთ სახელმწიფოს. ცხადია, რომ ყოველი ძალის მოქმედება, რასაც ადგილი ექნება ამ სამართლებრივი სფეროს გარეთ, არ შეიძლება სამართლის განხორციელებად ჩაითვალოს და ამიტომაც ის შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ მხოლოდ როგორც ძალმომრეობა. თუ დავუშვით, რომ ამ ძალის მოქმედება სამართლის განხორციელებაა, მაშინ მთელი ეს სფერო აუცილებლად შეერთვის სამართლებრივს და ამ შემთხვევაში კი

---

<sup>6</sup> ნორმის შეცნობის აქტში ნორმა ლოლიკურად აღიარებულია. მაშასადამე, ლოლიკურად აღიარებულია აუცილებლობაც მისი განხორციელებისა. მას გარდა, აღნიშნულ უნდა იქნეს განსხვავება, რომელიც ფსიქიურსა და ლოლიკურ აღიარებას შორის არსებობს. ფსიქიურ აღიარებას არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი ხელმწიფება-მორჩილების აქტში. რადგან ხელმწიფება-მორჩილების განცდას მუდამ თან სდევს ჩემი და სხვისი ნებისყოფის დაპირისპირების მომენტი. სხვისი ნებისყოფა რომ ჩემი ნებისყოფა იყოს, ამ სხვასა და ჩემს შორის შეუძლებელი იქნებოდა ხელმწიფობა მორჩილებაც, იმავე ნესით, როგორც შეუძლებელია ხელმწიფება-მორჩილება ლაპარაკი ჰიპნოტიზიორსა და მედიუმს შორის, რადგანაც აქ საქმე გვაქვს არა ორ ნებისყოფასთან, არამედ ერთთან. ამიტომ, ყველა ის თეორია, რომელიც ხელისუფლებას განმარტავს როგორც საშუალებას ერთი ნებისყოფის მეორე ნებისყოფად ქცევისა, შემცდარ თეორიად უნდა ჩაითვალოს.

ეკარგება მნიშვნელობა იმ თეზისს, რომელშიაც სამართლებრივი და სოციალური დამოუკიდებლად არიან მოცემული.

მაშასადამე, საკმარისია ხელისუფლება მოსწყდეს სამართალს, რომ ის უბრალო ძალად იქცევა. ხოლო რამდენადაც ამ ძალად ქცეულ ხელისუფლებას სამართალს ვუპირისპირებთ, ის სამართლის უარყოფას, ანუ ძალმომრეობას ნიშნავს. ჩვენმა ავტორმა კი ორივე ოპერაცია მოახდინა: ჯერ მოსწყვიტა ხელისუფლება სამართალს იმით, რომ ეს ხელისუფლება სამართლებრივ სიცარიელეში გადაიტანა, ხოლო სოციალურისა და სამართლებრივის დაპირისპირებით მან ძალად ქცეული ხელისუფლება სამართალს დაუპირისპირა, რითაც ხელისუფლება უბრალო ძალმომრეობად გახდა.

როგორც ვხედავთ, ავტორის მეთოდოლოგიის თანახმად შეუძლებელია დაისვას თვით პრობლემა ხელისუფლებისა და სამართლის - რადგან ხელისუფლება ავტორის კონსტრუქციით, შეიძლება მხოლოდ ძალმომრეობას ნიშნავდეს. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ავტორი ფიქრობს, რომ სამართლებრივისა და სოციალურის (რომელშიაც ავტორი ხელისუფლებასაც გულისხმობს) ურთიერთობით იქმნება კონკრეტული ცხოვრება სახელმწიფოსი, როგორც მთლიანობისა. მაგრამ როგორ ხდება, რომ ეს ურთიერთობა სამართალსა და იმის შორის, რაც სამართლის უარყოფაა, ქმნის სახელმწიფოს კონკრეტულ ცხოვრებას (რომელიც ალბათ უფლებრივ წესრიგსაც გულისხმობს), ანუ ერთ მთლიანობას? ვფიქრობთ, რომ ეს ძნელი გასაგებია.

## იურიდიული მეთოდოლოგიისთვის

პასუხი გ. ნანეიშვილს

„ფრიად საინტერესოა ი. სურგულაძის ნაშრომის, — ხელისუფლება და სამართალი — მეთოდოლოგიური ნაწილის განხილვა“. ასე იწყებს გ. ნანეიშვილი თავის სარეცენზიო წერილს<sup>1</sup>. ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო საინტერესოა იმ ძალიან თავისებური მეთოდის განხილვა, რომლითაც აღნიშნული რეცენზიაა დაწერილი. ეს თავისებურება, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ რეცენზენტს შესაძლებლად მიაჩნია ავტორს მიაწეროს ბევრი ისეთი აზრი, რომლის საწინააღმდეგოც წიგნში სავსებით გარკვევით არის აღნიშნული. ასე, მაგ., რეცენზენტი სწერს:

სამართალსა და სოციალურს ჩვენი ავტორი უყურებს, როგორც ორ სრულად დამოუკიდებელ საგანს; ავტორის სისტემაში ისინი ორ პარალელურ ხაზს წარმოადგენენ, რადგანაც მათ შორის განყვეტილია ლოლიკური კავშირი და ისეა განყვეტილი, რომ აღარც სამართალს აქვს დასაყრდნობი ფუძე სოციალურში და აღარც სოციალურს სამართალში (გვ. 211).

გვ. 209: ...რადგან თვით ავტორის მეთოდის თანახმად შეუძლებელია ნორმათა სისტემა, ე.ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი, წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარედ, რომლის აზრიც სამართლის შინაარსით სავსებით ვერ ამოიწურება.

გვ. 216: „ავტორის მეთოდის კავშირი სამართალსა და ხელისუფლებას შორის საბოლოოდ განყვეტილია, მათ შეუძლიათ მხოლოდ ერთმანეთის უარყოფა“.

სარეცენზიო ნაშრომში - კი აღნიშნულია:

„სახელმწიფო, როგორც სოციალური მოვლენა (Gebilde) უნდა განსხვავებულ იქმნას სახელმწიფოსაგან, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტისგან. მაგრამ ასეთი განსხვავება ატარებს მხოლოდ ლოგიკურ ხასიათს. რეალურ სინამდვილეში სახელმწიფოს ორივე მხარე (ე. ი. სოციალური და სამართლებრივი) მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთი მეორესთან“ (გვ. 16).

ასეთივე აზრი გატარებულია სარეცენზიო ნაშრომის მე-6 გვერდზე, სადაც სამართლებრივი სისტემის შესახებ (Rechtsre-

<sup>1</sup> იხ. მნათობი №3, 1928 წ., გვ. 205-218.



gulierung)<sup>2</sup> აღნიშნულია: იგი (ე.ი. სამართლებრივი სისტემა) წარმოადგენს სოციალური ცხოვრების ნამდვილსა და გაუთიშველ მომენტს.

სარეცენზიო ნაშრომის 92-ე გვერდზე აღნიშნულია:

„დამოკიდებულებათა ფორმების სხვადასხვაობა, რომლებსაც ჩვენ აქ (სამართლებრივ კატეგორიებსა და არა სამართლებრივ მოვლენებს შორის) ვხვდებით, სამ ძირითად სახედ შეგვიძლია გავყოთ: 1. დამოკიდებულება, რომელიც არსებობს საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურასა და სამართლის მოქმედ სისტემას შორის“.

უშუალოდ ამის შემდგომ სარეცენზიო ნაშრომი ვრცლად ჩერდება ამ საკითხის განხილვაზე; სახელდობრ, ამ საკითხს მიძღვნილი აქვს 93-120 გვერდები და, გარდა ამისა, სათანადო მითითებანი წიგნის დანარჩენ ნაწილებშიაც ბლომად არის გაბნეული (იხ. მაგ. გვ. 86-87, 140-141, 148, 152-153, 155).

რეცენზიის 215 გვ. დაწერილია:

„ავტორის დებულებათა მიხედვით, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ იურიდიული პირის ბუნება მთლიანად სამართლის შინაარსით და მნიშვნელობით უნდა ამოიწუროს. სამართლის სუბიექტის იდეა ავტორმა გაანთავისუფლა ყოველივე იმისგან, რაც სამართალს არ წარმოადგენს.“

სარეცენზიო ნაშრომი კი ამბობს:

„ზევით მითითებული იყო, რომ უფლება-უნარიანობის ცნება წარმოადგენს გარკვეული ფაქტიური მოვლენების (tatsächlichen Gegebenheiten) იურიდიულ რელევანტობას, რომელიც სამართლისგან არის დაწესებული... ამ თვალსაზრისით სამართლის სუბიექტი, რომლის იურიდიული არსება (wesen) უფლება-უნარიანობის ცნებაში მჟღავნდება, არის იმ ფაქტიურ მოცემულობათა აღნიშვნა, რომელნიც ობიექტური სამართლით ძირითადი იურიდიული რელევანტობით არიან აღჭურვილი“. (გვ. 149-150).

ასეთია ის პირველი თავისებურება, რომელიც რეცენზიას ახასიათებს. ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ ამ გარემოებისთვის ამთავითვე მიგვექცია ყურადღება, ვინაიდან მთავარი დასკვნებით, რომლებსაც რეცენზენტი აკეთებს, სარეცენზიო ნაშრომის ზევით მოყვანილი აზრების დამახინჯებით გადმო-

---

<sup>2</sup> ცნება „Rechtsregulierung“ სარეცენზიო ნაშრომში გაგებულია როგორც Rechtseinheit, ე.ი. როგორც Rechtsordnung. იხ. გვ. 2.

ცემას ემყარება, ეს გარემოება სავსებით თვალსაჩინო გახდება შემდგომიდან.

მეორე თავისებურება, რომელიც რეცენზიას ახასიათებს, იმაში მდგომარეობს, რომ რეცენზიის ავტორს შესაძლებლად მიაჩნია მსჯელობის მიმდევრობაში ერთი ცნება მეორეთი შეცვალოს და ტერმინოლოგიური მსგავსებით ცნებათა შინაარსობრივი სხვადასხვაობა მიაფუჩეწოს. რეცენზიის ავტორისათვის წერის ასეთი მანერა საჭიროა, ვინაიდან მხოლოდ აღნიშნული განსხვავების გვერდის ახვევით მას შეუძლია თავის ძირითად კრიტიკულ შენიშვნებს გარეგნულად მიანიც მსჯელობის ხასიათი მისცეს.

აღნიშნულის ილუსტრაციისთვის მაგალითები ბლომად არის გაბნეული რეცენზიაში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ისეთებზე შევჩერდებით, რომლების განხილვასაც მნიშვნელობა ექნება რეცენზიის ავტორის დასკვნების შეფასებისთვის.

რეცენზიის თითქმის დასაწყისშივე (208 გვ.) ჩვენ შემდეგ დებულებებს ვხვდებით:

„იურისტს არ შეუძლია მოსწყდეს თავის ინტერნაციონალურ საგანს... იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს. სწორედ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი“ — „Einstellung“-ი, რომელიც, ჰუსერლის აზრით, არის მეთოდოლოგიური ხერხი, რის საშუალებითაც სწარმოებს საგანზე მთელი შემეცნებითი გულისყურის მიპყრობა“. „სოციალური რამ არ შეიძლება განხილულ იქნეს სამართლის თვალსაზრისით... არც სამართალი შეიძლება შესწავლილი იქნეს იმ მეცნიერების საშუალებით, რომლის საგნობრივ შინაარსს სოციალურ ურთიერთობათა სამყარო... წარმოადგენს“.

ამ გამოთქმების აზრი სავსებით გარკვეულია: აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია „მეთოდოლოგიურ მომენტებზე“, ლაპარაკია იმ მეთოდზე, რომლითაც იურიდიული აზროვნება უნდა ხელმძღვანელობდეს კვლევა-ძიების დროს.

უშუალოდ ამის შემდეგ რეცენზენტი ასეთ დასკვნას აკეთებს:

„ამიტომ ის, ვინც სახელმწიფოს სამართლოვან მხარეს იკვლევს... უნდა მოშორდეს იმ აზრს, რომ არასამართლოვანში სამართლის გაგრძელება ეძიოს, რადგანაც წარმოუდგენელია სამართალი შევსებული იქნეს იმით, რაც სამართალი არ არის.“ „ავტორის მეთოდის თანახმად, შეუძლებელია ნორმათა სისტემა, ე.ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარედ, რომ-

ლის აზრიც სამართლის შინაარსით სავსებით ვერ ამოინჟურება“.

ამ უკანასკნელ დასკვნას რეცენზენტი აღნიშნავს, როგორც ავტორის მეთოდურიდან გამომდინარე; მით უფრო გასაკვირველია, როდესაც იგი რამდენიმე სტრიქონით ქვევით ამაზე აზრებს უკვე თავის სახელით აცხადებს, ე.ი. სცილდება იმ-ანენტური კრიტიკის საფუძველს:

„მე დასაშვებად მიმაჩნია, — ამბობს იგი, — რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სამართლის კონკრეტული სისტემიდან შეიძლება იქცეს უნივერსალური სამართლის სისტემად... მაგრამ არც ერთი ნაწილი სამართლის ამ სისტემისა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს (მეთოდოლოგიურად) იმასთან, რაც სამართალს არ წარმოადგენს; ამიტომ... სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს არ შეგვიძლია შევხედოთ, როგორც მთლიანობის ისეთ მხარეს, რომლის შინაარსი სავსებით არ ამოინჟურება სამართლებრივი აზრით“<sup>3</sup>.

---

<sup>3</sup> ამ დებულების რაიმე დასაბუთების ნაცვლად, რეცენზენტს ასეთი არასერიოზული და უშინაარსო არგუმენტი მოჰყავს: „მას, ვინც მტკიცედ შეითვისა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების... ამოცანა და მის გამოსავალ ნერტილად სთვლის სამართალს, რომელზედაც დაფუძნებულია ამ თეორეტიული მეცნიერების მნიშვნელობა (Geltung), არ შეუძლია სხვანაირად იმსჯელოს“ (გვ. 209). არასერიოზულია ეს არგუმენტაცია იმიტომ, რომ ასეთი არგუმენტი ყოველგვარი უაზრობის მტკიცება და გამართლება არის შესაძლებელი; რომ, სახელდობრ, არ არის საკმარისი თქმა — „არ შეუძლია სხვანაირად იმსჯელოს“, არამედ საჭიროა სწორედ იმის დამტკიცება, თუ რატომ არ შეუძლია სხვანაირად იმსჯელოს. გარდა ამისა, რეცენზენტის ამ მსჯელობაში არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს შემდეგ გამოთქმას: „...სამართალს, რომელზედაც დაფუძნებულია ამ თეორიული მეცნიერების მნიშვნელობა (Geltung). რას გულისხმობს რეცენზენტი ამ გამოთქმაში. სიტყვა Geltung შეიძლება იხმარებოდეს ან იმ სპეციფიური მნიშვნელობით, რომელიც მას სამართლის მეცნიერებაში ეძლევა და რომლითაც აღინიშნება სამართლის ნორმის მოცემულობის ერთ-ერთი სახე; ცხადია, რომ რეცენზენტი ამ ტერმინს აქ ვერ იხმარდა ასეთი მნიშვნელობით, ვინაიდან Geltung აქ ნაჩვენები გაგებით ახასიათებს არა სამართლის მეცნიერებას, არამედ სამართლის ნორმებს. ეს მითითება იმდენად ელემენტარულია, რომ ზედმეტად მიგვაჩნია აქ კიდევ რაიმე დამატებითი მოსაზრების მოყვანა. ან კიდევ სიტყვა Geltung შეიძლება იხმარებოდეს, როგორც ქეშმარიტების პრედიკატის აღნიშვნელი ცნება. მაგრამ ამ მნიშვნელობითაც

„ამიტომ იურისტს, რამდენადაც იგი თავისი საგნის, ე.ი. სამართლის, ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს, არ შეიძლება სამართლოვანი ეჩვენოს არა სამართლოვანის ერთ მხარედ... მაგრამ რაკი შეუძლებელია (მეთოდოლოგიურად), რომ იურისპრუდენციის, საერთოდ, და, კერძოდ, სახელმწიფო სამართლის საგნობრივი შინაარსი მივილოთ, როგორც ნაწილი ან ცალკე მხარე იმისა, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს ან სამართლის განხორცილებას არ წარმოადგენენ და სახელმწიფო კი, ჩვენი ავტორის თეორიის თანახმად, არ არის თანაბარი სამართლისა... ცხადია, რომ სახელმწიფოც, როგორც ასეთი... არ შეიძლება სახელმწიფოს სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენდეს.“

ჩვენ განზრახ ასე დეტალურად მოვიყვანეთ რეცენზენტის შეხედულებანი, ვინაიდან სწორედ ის, რაც აქ არის აღნიშნული, მთელი რეცენზიის კვინტესენციას ჰქმნის; რეცენზიის დანარჩენი ნაწილი ზევით მოყვანილი დებულებების ახალი ვარიაციებით განმეორებას წარმოადგენს და არსებითად არაფერს იძლევა ახალს, არც შინაარსობრივ და არც დასაბუთების მხრით. გასაგებია აქედან, რომ აღნიშნული დებულებების კრიტიკულ განხილვაზე ჩვენ შედარებით დეტალურად შევჩერდებით.

1. პირველი, რაც აქ უნდა იქნეს აღნიშნული, იმაში მდგომარეობს, რომ ზევით მოყვანილი დებულებანი ორ განსხვავებულ ჯგუფად იყოფიან, რომელთა შორის (წინააღმდეგ რენცენზენტის ინტენციისა, რომლის თანახმად ეს დებულებანი ერთიმეორის დასკვნას უნდა წარმოადგენდნენ) რაიმე ლოგიკური კავშირის აღმოჩენა შეუძლებელია და ეს სწორედ იმიტომ, რომ ისინი სრულებით სხვადასხვა საგანს შეეხებიან. ჩვენ უკვე მივუთითეთ ზევით, რომ პირველი ჯგუფი დებულებათა, რომელსაც ჩვენ აქ ვხვდებით, მეთოდოლოგიური ხასიათის მომენტებს ეხება. მიუხედავად ამისა, უშუალოდ ამ მეთოდოლოგიური მოსაზრებებიდან გამოყვანილ დასკვნებში

---

ეს ტერმინი უადგილოა რეცენზიაში, ვინაიდან, რეცენზენტის საკუთარი გამოთქმის თანახმად, სამართლის მეცნიერების Geltung დაფუძნებულია სამართალზე, ე.ი. ამ მეცნიერების საგანზე; Geltung -კი გაგებულია, როგორც ჭეშმარიტ დებულებათა პრედიკატი, არ შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც დაფუძნებული საგანზე, რომელსაც ჭეშმარიტი დებულება ეხება; ამიტომ რეცენზენტის ზევით მოყვანილ არგუმენტაციაში და, სახედლობრ, იმ კონტექსტში, რომელშიც ეს ცნება არის ნახმარი, იგი მოკლებულია ყოველგვარ აზრს.

რეცენზენტი ლაპარაკობს უკვე არა იმ Einstellung-ზე, რომელიც, მისივე გამოთქმის თანახმად, იურიდულ აზროვნებას უნდა ახასიათებდეს მისი საგნისადმი „სრული შემეცნებითი გულისყურის მიპყრობის“ უზრუნველსაყოფად, არამედ იმაზე, რომ სახელმწიფო სამართლის საგნობრივი შინაარსი შეუძლებელია მივიღოთ, როგორც ნაწილი ან მხარე იმისა, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს არ წარმოადგენს; მაშასადამე, ლაპარაკობს უკვე არა მეთოდოლოგიაზე, არამედ იურისპრუდენციის საგნის დამოკიდებულებაზე სხვა სახის საგნებთან, ე.ი. აქ მხედველობაში მიღებულია ordo et connexio rerum.

რომ ამ ორი სახის დებულებათა შორის ლოგიკური გადასვლა შეუძლებელია და რომ ამიტომ დასკვნები, რომლებსაც რეცენზენტი აქ აკეთებს, სერიოზულ სახეს არ ატარებენ, ამაზე ჩვენ ქვევით შევჩერდებით, ესლა-კი საჭიროა გაკვირით მაინც აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომელსაც შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს. რეცენზენტი ზევით მოყვანილ დასკვნებს ასალებს, როგორც სარეცენზიო ნაშრომის მეთოდოლოგიიდან გამომდინარეს. ეს არ არის სწორი სხვადასხვა მხრით.

ჯერ ერთი, არ არის სწორი, თითქოს სარეცენზიო ნაშრომი მეთოდოლოგიური საკითხების გადაჭრას სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსის გამორკვევისთვის და იურისპრუდენციის საგნის სხვა სახის საგნებთან დამოკიდებულების შესახებ რაიმე დასკვნების გაკეთებისთვის წინასწარ პირობად სთვლიდეს. პირიქით, სარეცენზიო ნაშრომის შესავალშივე გარკვევით არის აღნიშნული, რომ „მეთოდოლოგიური საკითხების გაშუქებას, რომელნიც, საერთოდ, იურიდიულ მეცნიერებათა და, კერძოდ კი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების კვლევა-ძიებასთან არიან დაკავშირებული, არ შეიძლება რაიმე დადებითი შედეგი მოჰყვეს, თუ წინასწარ გადაჭრილი არ იქნა ძირითადი საკითხი იმ მოვლენათა თავისებურებების შესახებ, რომლებსაც იურისპრუდენცია სწავლობს“, რომ „ყოველ მეცნიერებაში მეთოდოლოგიურ პრინციპებს არ აქვთ თავისთავადი (selbständige) მნიშვნელობა და ამ მეცნიერების საგნობრივი შინაარსით განისაზღვრებიან“ (იხ. გვ. 13, 14, 38, 43).

ამ დებულებით აღნიშნულია არა მარტო სარეცენზიო ნაშრომის ავტორის შეხედულება მეცნიერების მეთოდოლოგიისა და საგნობრივი შინაარსის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, არამედ ის გზაც, რომელსაც სავსებით გარკვე-

ვით მისდევს სარეცენზიო ნაშრომი. ამიტომ რეცენზენტის მტკიცება, თითქოს რეცენზიაში მოყვანილი (გვ. 208-209) დასკვნები სარეცენზიო ნაშრომის თავისებური მეთოდიდან გამომდინარეობდნენ, უსაფუძვლოა იმ უბრალო მოსაზრებით, რომ აღნიშნულ ნაშრომში ზოგად მომენტებშიც კი არ არის მოცემული იურდიული მეთოდოლოგიის გამომუშავების ცდა და ეს სწორედ იმიტომ, რომ ნაშრომის ავტორის აზრით, მეცნიერული მეთოდოლოგია, საერთოდ, და, კერძოდ კი, იურისპრუდენციაში უნდა წარმოადგენდეს არა წინასწარ საფუძვლს, არამედ მას, პირიქით, წინ უნდა უსწრებდეს მეცნიერების საგნობრივი შინაარსის თავისებურების გაშუქება. ამიტომ გაუგებარია, თუ რა აქვს მხედველობაში რეცენზენტს, როდესაც იგი სარეცენზიო ნაშრომის მეთოდოლოგიაზე ლაპარაკობს. მართალია, რეცენზიაში სიტყვა „მეთოდოლოგია“ და „მეთოდი“ ასეთ კონტექსტში არის ნახმარი: „ავტორის მეთოდის თანახმად, იურისპრუდენციის საგანს მხოლოდ სამართალი წარმოადგენს“ (გვ. 208); მაგრამ აშკარაა, რომ აქ ეს ცნება სრულებით უადგილოა და რაიმე გასაგებ აზრს მოკლებულია, ვინაიდან უდაოა, რომ ამა თუ იმ მეცნიერების საგნის აღნიშვნა შორეულადაც კი არ წარმოადგენს მეთოდოლოგიური წყების მსჯელობას; ასეთი დებულებიდან, ე.ი. გარკვეული მეცნიერების საგნობრივი შინაარსის გათვალისწინებიდან, შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება ამ მეცნიერების მეთოდის შესახებ, მაგრამ თავისთავად მეცნიერების საგნის აღმნიშვნელი მსჯელობა ვერავითარი გზით ვერ მიეკუთვნება მეთოდოლოგიურ მსჯელობათა რიცხვს.

ამიტომ, ვინაიდან მოყვანილ კონტექსტში სიტყვა „მეთოდი“ უადგილოდ და უშინაარსოდ არის ნახმარი, ჩვენ საფუძველი გვაქვს დასკვნისთვის, რომ ყველა ის ადგილი, სადაც რეცენზენტი გარკვეულ დასკვნებს ასალებს, როგორც სარეცენზიო ნაშრომის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, რაიმე აზრსა და ლოგიკურ დასაბუთებას მოკლებულია.

2. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და გადავიდეთ რეცენზენტის მსჯელობის არსებით განხილვაზე, ე.ი. გავაშუქოთ, თუ რამდენად სისწორით გამოჰყავს მას თავისი დასკვნები იმ დებულებებიდან, რომლებსაც იგი სარეცენზიო ნაშრომის მეთოდოლოგიის სახით ასალებს. ზევით უკვე იყო აღნიშნული, რომ ჩვენ აქ ორი სახის დებულებებს ვხვდებით, რომელთა შორისაც ლოგიკური კავშირი არ არსებობს. ეს არა მარტო იმ ზოგადი მოსაზრებით, რომ, საერთოდ, მეთოდოლოგიური

Einstellung არ წარმოადგენს საშუალებას სხვადასხვა სახის საგნებს შორის არსებულ დამოკიდებულებათა შესახებ რაიმე დასკვნების გაკეთებისთვის, არამედ რეცენზენტის მიერ წამოყენებული დებულებების განხილვაც ამავე შედეგს იძლევა. მართლაც, დიდი გონებამახვილობა არ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ დებულებიდან: „იურისტს არ შეუძლია მოსწყდეს თავის ინტენციონალურ საგანს, ე.ი. სამართალს“, „იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს“, არავითარი გზით არ გამომდინარეობს რაიმე დასკვნა იმის შესახებ, თუ რა სახის დამოკიდებულება არსებობს სამართალსა (როგორც იურისპრუდენციის კვლევა-ძიების საგნის) და სხვა სახის საგნებს შორის; სხვანაირად აღნიშნული დებულებიდან ლოგიკურად შეუძლებელია იმის დასკვნის გაკეთება (რომელსაც რეცენზენტი აკეთებს), თითქოს შეუძლებელი იყოს „ნორმათა სისტემა, ე.ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი, წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარედ“, — რაც სამართალს არ წარმოადგენს; ასეთი დასკვნა აშკარად ყალბია, ვინაიდან მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა მოვლენების წრე ჰქმნის ამა თუ იმ მეცნიერების საგნობრივ შინაარსს შორეულადაც კი არ იძლევა რაიმე დასკვნებს იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც აღნიშნული მეცნიერების საგანსა და სხვა საგნებს შორის უნდა არსებობდეს. უკანასკნელი საკითხი სრულებით დამოუკიდებელი ხასიათისაა და წყდება არა მეცნიერების საგნობრივი შინაარსის წინასწარი შემოფარგვლით, არამედ თვით იმ მოვლენების შესწავლის შედეგში, რომლებსაც ესა თუ ის მეცნიერება იკვლევს. უდაოა, რომ აქ ორ განსხვავებულ საკითხთან გვაქვს საქმე: 1. საკითხი, თუ რა ჰქმნის ამა თუ იმ მეცნიერების საგანს და 2. აღნიშნულ საგანსა და სხვა საგნებს შორის რა სახის დამოკიდებულება არსებობს. ამ ორ საკითხს შორის განსხვავება იმდენად დიდია, რომ ესა თუ ის პასუხი პირველზე არავითარ დასკვნებს არ იძლევა მეორის გადასაჭრელად. კერძოდ, სახელმწიფო სამართლის შესახებ მსჯელობა, რომელიც აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს ნორმათა სისტემა, სამართალი წარმოადგენს, არავითარ დასკვნებს არ იძლევა იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც სამართალსა და სხვა მოვლენებს შორის უნდა არსებობდეს ან უფრო ზოგადად იმ საკითხზე, არსებობს თუ არა საერთოდ ასეთი დამოკიდებულება.

3. ყოველივე ეს იმდენად ელემენტარული და ადვილი შესათვისებელია, რომ რეცენზიის საწინააღმდეგო მტკიცებებს შეუძლია მხოლოდ გაკვირება გამოიწვიოს. ალბათ, ჩვენი კრიტიკოსიც გრძნობდა ამ ლოგიკურ შეუსაბამობას და შესაძლებელია ამით იყო გამოწვეული, რომ იგი ხშირად თითქოს შეუსაბამობის მისაჩქმალავად, საკვირველ გამოთქმებს მიმართავს. ასე, მაგ., 209-ე გვერდზე იგი ამბობს: „არც ერთი ნაწილი სამართლის... სისტემისა არ შეიძლება დაკავშირებულ იყოს (მეთოდოლოგიურად) იმასთან, რაც სამართალს არ წარმოადგენს“. ან კიდევ 210-ე გვერდზე: „მაგრამ რაკი შეუძლებელია (მეთოდოლოგიურად), რომ იურისპრუდენციის საგნობრივი შინაარსი მივიღოთ, როგორც ნაწილი... იმისა, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს... არ წარმოადგენენ...“ და სხვ. ორივე აქ მოყვანილს გამოთქმაში ყურადღებას იპყრობს სიტყვა „მეთოდოლოგიურად“, რომელიც, თუმცა მორცხვად ფრჩხილებშია მოყვანილი, მაგრამ რომელსაც, ალბათ, მიკუთვნილი აქვს ზევით აღნიშნული ლოგიკური შეუსაბამობის მიმჩქმალველი ტერმინის როლი. ამ, თითქოს სასხვათაშორისოდ ნახმარმა ტერმინებმა, ალბათ, უნდა შეჰქმნან შთაბეჭდილება, რომ, როგორც ძირითადი დებულებანი, რომელნიც რეცენზენტს მოჰყავს 208-ე გვერდზე, ისე დასკვნები, რომელსაც იგი აკეთებს ამ დებულებებიდან, მეთოდოლოგიურ მსჯელობათა წყებას ეკუთვნიან და რომ ამიტომ აქ თითქოს არ არსებობს ის შეუსაბამობა, რაზედაც ზევით იყო მითითებული.

მაგრამ ეს ცდა ამაოა და ზევით აღნიშნულ ლოგიკურ შეუსაბამობის ამ გზით გაფანტვა შეუძლებელია, ვინაიდან ადვილი შესამჩნევია, რომ სიტყვა „მეთოდოლოგიურად“ აქ სრულებით უადგილოდაა ნახმარი. გამოთქმა „დაკავშირებული იყოს“, რომელსაც უშუალოდ თან მოსდევს სიტყვა „მეთოდოლოგიურად“, შეიძლება გაგებულ იქნეს ან თვით მოვლენებს შორის (ამ შემთხვევაში სამართალსა და არასამართლებრივ მოვლენებს შორის) არსებული დამოკიდებულების გამომხატველი მსჯელობის მნიშვნელობით და ასეთ შემთხვევაში აშკარაა, რომ აქ ტერმინი „მეთოდოლოგიურად“ უადგილო და უაზროა, ვინაიდან თვით მოვლენებს შორის შეიძლება არსებობდეს მრავალი სხვადასხვა სახის დამოკიდებულება, მაგრამ არასოდეს არ შეიძლება, რომ მათ შორის არსებული დამოკიდებულება დახასიათებული იქნეს, როგორც მეთოდოლოგიური და ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ მეთოდოლოგიური დაკავშირება შესაძლებელია თვით მსჯელო-



ბებს შორის და არა იმ მოვლენებს შორის, რომლებსაც ესა თუ იმ მსჯელობა ჰგულისხმობს.

ან კიდევ ზევით მოყვანილი გამოთქმა შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც დაკავშირება სხვადასხვა სახის მსჯელობებს შორის; ამ გაგებით ტერმინი „მეთოდოლოგიურად“ თუმცა უაზრო აღარ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი იმ ლოგიკური შეუსაბამობის გასაბათილებლად, რომელზედაც ზევით იყო მითითებული, გამოუსადეგარია, ვინაიდან ამკარაა, რომ, თუკი სამართალსა და არასამართლებრივ მოვლენებს შორის სინამდვილეში არსებობს კავშირი, ვერავითარი მეთოდოლოგია წინ ვერ აელობება ასეთი კავშირის აღნიშვნას და სათანადო მსჯელობაში გამოსატყვას და ასეთი კავშირის აღნიშვნის მეთოდოლოგიურ შეუძლებლობაზე ლაპარაკი კურიოზული იქნება.

ამგვარად, ორივე შესაძლებელი მნიშვნელობით ტერმინი „მეთოდოლოგიურად“ ან უაზროა, ან კიდევ სრულებით უადგილოდ არის ნახმარი.

4. მაგრამ საქმე მარტო ზოგიერთ ტერმინებთან უადგილო ან უშინაარსოდ ხმარებაში როდია. რომ მარტო ეს ნაკლი ახასიათებდეს რეცენზიის ამ ადგილს, სადაც გამოთქმულია ჩვენი კრიტიკოსის ძირითადი დებულებები, ამას კაცი ადვილად შეურიგდებოდა. სამწუხაროდ, დეფექტები, რომლებსაც ჩვენ აქ ვხვდებით, გაცილებით უფრო ძირითადი ხასიათისაა, და ამიტომ ისინი რეცენზიის ამ მთავარ დებულებებს ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავენ.

სარეცენზიო ნაშრომის იმ დებულებიდან, რომლის თანახმად, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემა უნდა იქნეს ცნობილი, რეცენზენტი ორ დასკვნას აკეთებს: ა) „იურისტს არ შეუძლია მოსწყდეს თავის ინტენციონალურ<sup>4</sup> საგანს, ე.ი. სამართალს“ და ბ) რომ „იურისტმა

---

<sup>4</sup> არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ აქ ტერმინი „ინტენციონალური“ სრულებით უადგილოდაა ნახმარი, თუკი ინტენციონალური საგანი არის „კორელატი“ *sinngebender Akte*, თუკი „jedes intentionale Erlebnis hat sein intentionales Objekt“ (Husserl, *Ideen*, s. 185); თუკი მეორეს მხრით, ინტენციონალური ობიექტი იგივეა, რაც *gegenstandlicher Sinn* (იხ. Husserl, *ib.*), ამკარაა, რომ ამა თუ იმ მეცნიერების საგნის და ინტენციონალური საგნის გაიგივება შეუძლებელია. ასეთ გაიგივებას სხვათა შორის წინ ელობება 1. ის მოსაზრება, რომ ინტენციონალური საგანი თვითოეული შემეცნებითი აქტისთვის არის მოცემული როგორც მისი კორელატი და რადგანაც მეცნიერება

(რამდენადაც იგი პრიმიტიულად წარმოდგენილია, როგორც ან-თროპოლოგიური, როგორც შემეცნებითი აქტების მთლიანობა) ერთ შემეცნებით აქტში არ შეიძლება მოცემული იქნეს, შეუძლებელია, რომ მას ერთი ინტენციონალური საგანი ჰქონდეს. 2. მეცნიერების ობიექტური მთლიანობა შესაძლებელია გაგებულ იქნეს არა როგორც შემეცნებითი აქტების მთლიანობა (თუ ზევით აღნიშნულ პრიმიტიულ შეხედულებაზე არ დავრჩებით), არამედ, როგორც მთლიანობა, რომელიც ჭეშმარიტებათა შეკავშირებას ემყარება (Zusammenhang der Wahrheiten, Husserl, *hog. Unt. I*, 228). ასეთ გაგებაში კი მეცნიერების დახასიათების დროს უარყოფილია ორიენტაცია შემეცნებით აქტზე და, მამსასადამე, მის კორელატზედაც, ე.ი. ინტენციონალურ საგანზე. 3. მაგრამ მთავარი, რაც აქ აღნიშნულ უნდა იქნეს, შემდგომში მდგომარეობს: რეცენზიის იმ ნაწილის განხილვა, სადაც რეცენზენტი ინტენციონალურ საგანს ეხება, უდაოდ ადასტურებს, რომ რეცენზენტი არ ასხვავებს ერთიმეორისაგან საგანსა და ინტენციონალურ საგანს. ასეთი არეგ-დარევა კი დაუშვებელია რეცენზიისათვის, რომელიც მეცნიერულობის პრეტენზიებს აცხადებს. ჯერ თვით ჰუსერლის შეხედულებებში (რომლებსაც, ალბათ, რეცენზენტი ემყარება, ადვილად შესამჩნევია განსხვავება საგნის ამ ორ ცნებას შორის და ამიტომ საკვებით საფუძვლიანად იყო აღნიშნული ერთ-ერთი მკვლევარისაგან, რომ “die Unterscheidung von Gegenstand als, Leitfaden’ und Gegenstand als korrelat’ sinngebender Akte... ist für des Verstandnis der Anschauungen Husserls sehr wesentlich” (იხ., A. Metzger, *Der Gegenstand der Erkenntnis*, *Iahrb. f. Phil. u. phan. Forsch.* 1925 B. VII, s. 627). ასეთი განსხვავება შემდეგ გატარებულია მთელ რიგ ნაშრომებში, რომელიც ჰუსერლის იდეების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან (იხ. მაგ., Pfander, *Logik*. s. 273, R. Ingarden, *Essetiale Fragen*, *Iahrb. f. Phil. u. phan. Forsch.* B. VII, s. 127 ff.). მაგრამ ამ განსხვავების ყველაზე უფრო მკაფიო და დეტალური ანალიზი მოცემული აქვს N. Hartmann-ს. ჩვენთვის აქ ზედმეტი იქნებოდა იმ ოთხი სხვადასხვა შინაარსის აღნიშვნაზე შეჩერება, რომლებსაც ეს ავტორი გულისხმობს საგნის ცნებაში; ჩვენთვის საკმარისია მივუთითოთ იმ მკაფიო განსხვავებაზე, რომელიც ამ ავტორს გაჰყავს ინტენციონალურ საგანსა და საერთოდ, საგნის ცნებებს შორის. ეს განსხვავება, ჰარტმანის აზრით, იმდენად დიდი და პრინციპულია, რომ ინტენციონალური საგანი არც კი შეიძლება ვიცნოთ საგნად ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. იგი, პირიქით, წარმოადგენს საგნის სახეს შეგნებაში (Bewusstsein) და თავისთავად არსებული საგნისგან არსებითად განსხვავებულია (Hartmann *Grundzuge einer Metaphisik d. Erkenntnis*, 1925, s.104 ff.). ამიტომ შემეცნების ფენომენისთვის დამახასიათებელია არა შემეცნებითი აქტის მიმართვა ინტენციონალური საგნისადმი, არამედ მიმართვა თავისდათავად არსებულ საგნისადმი და შემეცნებასაც მხოლოდ იმდენად აქვს ად-

თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს“.

შენიშვნაში მოყვანილი მოსაზრებიდან აშკარაა, რომ ტერმინი „ინტენციონალური“, რეცენზენტის მიერ ნახმარ კონტექსტში, მოკლებულია რაიმე აზრს და ამიტომ, რეცენზენტის მსჯელობის შეფასებისთვის ყველაზე უფრო უკეთესი პირობების შესაქმნელად ვიგულისხმობ, რომ აღნიშნული ტერმინი აქ შემთხვევით არის ნახმარი და ნამდვილად - კი რეცენზენტს მხედველობაში ჰქონდა არა ინტენციონალური, არამედ მეცნიერების საგანი. ასეთი გაგებით თუ მივუდგებით ესლა რეცენზენტის მსჯელობას იმის გასაშუქებლად, თუ რამდენად აქ მოყვანილი დასკვნები გამომდინარეობენ სარეცენზიო ნაშრომში მოყვანილი დებულებიდან, დავინახავთ, რომ აქ საჭირო ლოგიკური კავშირი მოცემული არ არის. სახელდობრ, გაუგებარია, თუ რატომ არ შეუძლია იურისტს, რომელიც სამართალს სწავლობს, სამართლის გარდა სხვა სახის ობიექტებსაც მიაპყროს თავისი შემეცნებითი აქტები, ან რატომ უნდა განდევნოს იურისტმა თავისი მსჯელობიდან ყოველივე

---

გილი, რამდენადაც იგი ამ თავისდათავად არსებულ საგანს სწვდება (ib.s.106). ზევით დასახელებული ავტორების შეხედულებებს შორის სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ ერთი რამ საერთო მაინც არის აქ მოცემული. სახელდობრ, განსხვავება ინტენციონალურ საგანსა და საგანს შორის. საერთოა ამ ავტორებისთვის, აგრეთვე, ის აზრიც, რომ შემეცნებისთვის და მაშასადამე, თვით მეცნიერებისთვისაც დამახასიათებელია არა ინტენციონალური, არამედ თავისდათავად არსებულ საგანთან, ან როგორც სხვა ავტორები აღნიშნავენ, *objectum materiale*-სთან დამოკიდებულება. ეს აზრი დამახასიათებელია არამარტო ჰარტმანისთვის, არამედ იმავე აზრს გამოსთქვამს, მაგ. Pfander, როდესაც აღნიშნავს, რომ თითოეული მსჯელობა აუცილებლად მიმართულია *objectum materiale*-სადმი და სწორედ ამაში მდგომარეობს მსჯელობის ის ძირითადი კონსტიტუტიური მომენტი, რომელსაც იგი აღნიშნავს, როგორც *Anspruch auf Wahrheit*. შემდეგ იმავე აზრს გამოსთქვამს M. Scheler, როდესაც აღნიშნავს, რომ თეორეტიულ მსჯელობას აუცილებლად ახასიათებს ეს *Anspruch Aauf Wahrheit*-ი და იმისათვის, რომ იგი ჭეშმარიტი იქნეს, მან “mit irgendwelchen Tatsachen Ubereinstimmung zeigen muss”, რომ, ამგვარად, ამა თუ იმ შემეცნებითი აქტის ჭეშმარიტება, ამ ავტორის აზრით, მოცემულია “wenn ein satzartig formierter Bedeutungsgehalt eines urteils, mit dem Bestand eines Sachverhaltes ubereinstimmt” (Schelder, der Formalismus, II, s. 48-49).

ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს. სამართლის ასეთი აბსოლუტური იზოლაცია არამც თუ უდაო არ არის, როგორც ამას რეცენზენტი ფიქრობს, არამედ სამართლის მეცნიერების დეტალური დამუშავების ინტერესები სრულებით საწინააღმდეგოს გულისხმობენ. თუ ამა თუ იმ საგნის შესწავლა აუცილებლად გულისხმობს არამხოლოდ იმ მომენტების აღნიშვნას, რომლებიც საგანში შესამჩნევი არიან მისი სრულებით განცალკევებით წარმოდგენის დროს, არამედ იმ თვისების აღნიშვნასაც, რომლებიც საგანს ახასიათებენ მის დამოკიდებულებაში სხვა სახის საგნებთან და თვით ამ დამოკიდებულებას, როგორც ფორმის მხრით, ისე შინაარსობრივად გაშუქებას - ეს დებულება კი უდაო ხასიათს ატარებს, - აშკარაა, რომ, რამდენადაც დამოკიდებულების ცნება აუცილებლად გულისხმობს minimum ორ წევრს დამოკიდებულებისას, ამა თუ იმ მეცნიერების საგნის გაშუქების დროს შემეცნების რკალში ნაწილობრივ მაინც აუცილებლად ჩათრეული იქნება სხვა სახის მოვლენები, რომლებთანაც მეცნიერების საგანი დამოკიდებულებაში იმყოფება. ასეთ მდგომარეობას ჩვენ თითქმის ყველა მეცნიერებაში ვხვდებით, მაგრამ განსაკუთრებით ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია სამართლის მეცნიერებისთვის<sup>5</sup>. და ეს იმიტომ, რომ აქ არა

---

<sup>5</sup>თუ მხედველობაში მივიღებთ, ერთი მხრით, ყოველივე ამას, მეორე მხრით, კი ზევით მოყვანილ დებულებას, რომ მეცნიერება შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ჭეშმარიტ დებულებათა მთლიანობა, აუცილებელი გახდება დაკვანა, რომ მეცნიერების საგანი არ შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორც ინტენციონალური საგანი. ამ გარემოებაზე შეჩერება საჭირო იყო, ერთი მხრით, იმიტომ, რომ ზოგიერთნი იმ დასკვნებისგან, რომლებსაც რეცენზენტი აკეთებს, ემყარებიან მეცნიერების საგნის, როგორც ინტენციონალური საგნის გაგებას, მეორე მხრით, კი ამ გარემოებაზე საჭირო იყო მითითება იმ მოსაზრებითაც, რომ უადგილოდ ამა თუ იმ ტერმინის ხმარება შემთხვევით მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ ჩვენი რეცენზენტისთვის სისტემად არის ქცეული. ასე, მაგალითად, 210-ე გვ.ზე რეცენზენტი, ეხება რა სახელწიფოს, როგორც სახ. სამ. მეცნიერების საგანს, ამ აზრის გამოსახატავად ხმარობს გამოთქმას: „...მან უნდა სცნოს სახელმწიფო როგორც Noema der Noesis des Rechtsurteils“. ტერმინი Noema პირველად ჰუსერლის მიერ ხმარებაში სრულებით გარკვეულის აზრით არის შეტანილი და იგი სრულებით არ არის საგანი და, მაშასადამე, არც ამა თუ იმ მეცნიერების საგანი. ამის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი ჰუსერლის Ideen'-იდან: “Alsoauch das Noema bezieht sich auf einen Gegenstand” (s.

მარტო სხვა მეცნიერებათ Forhungsgebiet წარმოადგენს იმ „სხვა მოვლენებს“ - რომლებთან სამართლის დამოკიდებულება სამართლის ცნების სრული გაშუქების მიზნით უნდა გამოიკვეთულ იქნეს, არამედ იმიტირება, რომ თითქმის სამართლის თითოეული კატეგორია შინაგან ორბუნებოვანობას გვიშლის, რომელშიაც წმინდა სამართლოვანი მომენტების გვერდით მოცემულია არასამართლოვანი მატერია და ამ შინაგანი სტრუქტურის გაშუქება, ე.ი. აქ არსებულ დამოკიდებულებათა აღნიშვნა, სამართლის შესწავლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. საინააღმდეგოს მტკიცება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც ჩვენი რეცენზენტისთვის ერთი-მეორეში აურევს მეცნიერების საგანსა და ინტენციონალურ საგანს; მხოლოდ მას შეუძლია ამტკიცოს, რომ იურისტი თითქოს მიჯაჭვული იყოს თავის საგანთან და ეს „მიჯაჭვა“ იმ აზრით გაიგოს, რომ სამართლის მეცნიერების ფარგლებში შუძლებლად ჩასთვალოს იმ დამოკიდებულებათა აღნიშვნა, რომელშიაც სამართალი სხვა სახის მოვლენებთან იმყოფება და ამ დამოკიდებულებათა აღნიშვნის დროს ამ მოვლენებზე ნაწილობრივი შეჩერება. მაგრამ ზევით მოყვანილი მოსაზრებებიდან უდაოა, რომ ასეთი შეხედულება აშკარად ყალბია, ვინაიდან სწორედ სამართლის ცნების მთლიანი გაშუქება აბსოლუტურად შეუძლებელი ამოცანა გახდება იმისთვის, ვინც ჩვენი რეცენზენტის მეთოდოლოგიას გაჰყვება. უბრალო მაგალითს შეუძლია ამ დებულების ილუსტრაცია. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სამართალზე, როგორც „ზედნაშენზე“ აშკარაა, ამით აღნიშნულია არა სამართლის ასეთი მომენტი, რომელიც მას ახასიათებს მისი (ე.ი. სამართლის)

---

269). ან “Ledes Noema hat einen, Inhalt, namlich seinen, Sinn’ und bezieht sich durch ihn auf Gegenstand” მოყვანილი ადგილები არ სტოვებენ იმის ეჭვს, რომ Noema და საგანი არსებითად ერთი მეორისგან განსხვავებული არიან. ამიტომ რეცენზიაში ეს ტერმინი (Noema) უადგილოდ და უაზროდ არის ნახმარი. რაიმე გარკვეულ აზრს მოკლებულია, აგრეთვე, 210-ე გვერდზე ნახმარი გამოთქმა, სადაც სახელმწიფო აღნიშნულია, როგორც Symbol der Rechtsgegenstande, ე.ი. როგორც სიმბოლო სამართლის ობიექტებისა. ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რატომ უნდა იქნეს გაგებული სახელმწიფო, ჯერ ერთი, როგორც სიმბოლო და შემდეგ, როგორც სიმბოლო სწორედ სამართლის ობიექტებისა. ასეთი გამოთქმებისგან არ შეიძლება ვაცმა არ მიიღოს შთაბეჭდილება, რომ რეცენზენტი სერიოზულ მეცნიერულ მსჯელობის ნაცვლად უშინაარსო ფრაზეოლოგიას იძლევა.

განცალკევებითი წარმოდგენის, ე.ი. სამართლის სრული შემეცნებითი იზოლიაციის დროს, სხვა სახის მოვლენებისგან, არამედ ამით სწორედ ის თვისებაა აღნიშნული, რომელიც სამართალს ახასიათებს მის დამოკიდებულებაში სხვა მოვლენებთან, კერძოდ, ამ შემთხვევაში ეკონომიურ მოვლენებთან. აშკარაა, რომ სამართლის „ზედნაშენად“ ცნობა შეუძლებელი იქნებოდა იმისთვის, ვინც რეცენზენტის მეთოდოლოგიას დაუჯერებს, ვინაიდან ამ მეთოდოლოგიის თანახმად, იურისტს შეუძლია მხოლოდ სამართალი გახადოს თავისი სჯელობის საგნად. მსჯელობა კი, რომელიც სამართალს დაახასიათებს, როგორც „ზედნაშენს“, აუცილებლად უნდა შეეხოს იმ მოვლენებსაც, რომელთა მიმართ სამართალი ცნობილია, როგორც „ზედნაშენი“ და კერძოდ კი, ამ მოვლენების იმ თვისებებს, რომელნიც მათ ახასიათებს სამართალთან დამოკიდებულებაში; მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც აშკარაა, რომ სამართლის „ზედნაშენად“ ცნობა სამართლის მენციერებისთვის არამც თუ არ წარმოადგენს უმნიშვნელო და მეორე ხარისხოვან მსჯელობას, არამედ ისეთ მსჯელობას, ურომლი-სოდაც სამართლის ბუნების მთლიანი გაგება მიუღწეველი იქნებოდა; ამიტომ სამართლის მეცნიერების ფარგლებიდან განსაადევნია არა ეს მსჯელობა (რომელშიც ჩვენი რეცენზენტის შეხედულების საწინააღმდეგოდ, ნაწილობრივ აუცილებლად უნდა იქნეს გაშუქებული არასამართლოვანი — ეკონომიკური მოვლენებიც), როგორც ამას რეცენზენტი მოითხოვს („იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს“), არამედ იურისპრუდენციის ფარგლებიდან უნდა განდევნილ იქნეს სწორედ რეცენზენტის მეთოდოლოგია, რომელსაც შეუძლია ჩვენს მეცნიერებას მხოლოდ ის სამსახური გაუწიოს, რომ სამართლის ბუნების გაშუქება შეუძლებელ ამოცანად აქციოს.

ამგვარად, საკითხი სრულებით არ არის ისე მარტივი, როგორც ეს ჩვენს რეცენზენტს ჰგონია. რასაკვირველია, სწორია ის დებულება, რომელიც ჩვენს წიგნში არის მოყვანილი და რომლის თანახმად, სახელმწიფო სამართლის, ისე, როგორც სხვა სამართლის მეცნიერების საგნად თვით სამართალი ანუ სამართლის ნორმათა გარკვეული სისტემა შეიძლება იქნეს ცნობილი. მაგრამ სწორედ ამ საგნის შესწავლა, მისი ბუნების მთლიანი გაშუქება აუცილებლად გულისხმობს იმ დამოკიდებულებათა აღნიშვნასაც, რომელშიც სამართალი იმყოფება სხვა სახის მოვლენებთან და ნაწილობრივ ამ უკანასკნელთა თვისებების აღნიშვნასაც (სახელდობრ, რამდენა-

დაც ეს საჭიროა სამართალსა და არასამართლოვან მოვლენებს შორის არსებულ დამოკიდებულებათა გასაგებად). ამიტომ რეცენზენტის მოსაზრება, თითქოს სამართლის მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემის ცნობა იმ შედეგს იძლეოდეს, რომ იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს, ვინაიდან იგი არ გამომდინარეობს სარეცენზიო ნაშრომის დებულებიდან და გარდა ამისა, სამართლის შესწავლას შეუძლებლად ხდის.

5. საფუძველს მოკლებულია, აგრეთვე, დანარჩენი დასკვნებიც, რომელსაც რეცენზენტი ზევით მოყვანილ მსჯელობიდან აკეთებს 208-213 გვ.-ზე. ამ დასკვნების შეფასებისას წინასწარ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უსისტემობა, რომელსაც აქ ვხვდებით; სხვადასხვა დებულებანი აქ ერთიმეორეს გვერდით არიან მოყვანილი რაიმე ლოგიკური კავშირის გარეშე. ასე, მაგალითად, ერთი მხრით, ჩვენ აქ ვხვდებით დაკვვნას, რომელიც აღნიშნავს, რომ თითქოს სარეცენზიო ნაშრომის დებულება -სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი - სამართალია - შეუძლებლად ხდიდეს სამართალი წარმოვიდგინოთ ისეთი მთლიანობის ცალკე ნაწილად, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს არ წარმოადგენენ; უშუალოდ ამის გვერდით კი ჩვენ ვხვდებით სრულებით სხვა შინაარსის დასკვნას: „რაკი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სახელმწიფოს შინაარსს ვერ ამოწურავს - ცხადია, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს აღარ წარმოადგენს“. ადვილი შესამჩნევია, რომ ეს ორი დასკვნა შინაარსობრივად არსებითად განსხვავდებიან ერთიმეორისგან და რაიმე ლოგიკური კავშირი მათ შორის ძნელი აღმოსაჩენია, მაგრამ დავანებოთ ამას თავის და გადავიდეთ თითოეული დასკვნის განცალკევებით შეფასებაზე.

ა) იმ მოსაზრებათა შემდეგ, რომლებიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, რეცენზენტის პირველ დასკვნაზე დიდხანს შეჩერება არ დაგვჭირდება. თქმა იმისა, რომ სამართალი ისეთი საგნის ნაწილს წარმოადგენს, რომლის მთლიანი შინაარსი მარტო სამართლებრივით არ ამოინურება, არის მსჯელობა იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელშიც სამართალი სხვა საგნებთან იმყოფება (კერძოდ, ამ შემთხვევაში იმ საგანთან, რომლის ნაწილს სამართალი წარმოადგენს და ამავე საგნის დანარჩენ, არასამართლებრივ ელემენტებთან), ვინაიდან აშკარაა, რომ ნაწილად ყოფნა დამოკიდებულებაში ყოფნას ნიშ-

ნავს. და რადგანაც (ზევეთ მოყვანილ მსჯელობათა თანახმად) სამართლის მთლიანი გაშუქება აუცილებლად გულისხმობს იმ დამოკიდებულებათა აღნიშვნასაც, - რომელშიც სამართალი იმყოფება არასამართლებრივ მოვლენებთან, აშკარაა, რომ იურისტს, წინააღმდეგ რეცენზენტის მტკიცებისა, არამც თუ შეუძლია წარმოიდგინოს „თავისი საგანი იმის ნაწილად, რაც სამართალს არ წარმოადგენს, არამედ სწორედ ასე უნდა მოიქცეს, თუ სურს, რომ მის მსჯელობას რაიმე მეცნიერული ღირებულება ექნეს; ამით იგი სრულებით არ გასცილდება თავისი მეცნიერების ფარგლებს, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც იგი იკვლევს იმავე სამართალს, მხოლოდ მის (ე.ი. სამართლის) სხვა საგნებთან დამოკიდებულებათა მხრით. ამ მოსაზრებით სავსებით გაბათილებულია რეცენზენტის პირველი დასკვნა. აქ რეცენზენტს ვერ უშველის ის დამატებითი მითითებანი, რომლებსაც იგი თავისი დასკვნების გასამაგრებლად აკეთებს 210-ე გვერდზე.

აქ რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ნაწილის შესწავლით მთლიანობის შინაარსის გამოკვლევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაწილები ერთმანეთის შემავსებელ<sup>6</sup> ურთიერთობაში არიან, ხოლო სარეცენზიო ნაშრომში კი, რეცენზენტის მტკიცებით, სამართალი და სოციალური ორ სრულიად დამოუკიდებელ საგანს წარმოადგენს, რომელთა შორის განწყვეტილია „ლოგიკური კავშირი“. რეცენზენტის ამ უკანასკნელ მითითებას ლოგიკური კავშირის განწყვეტის შესახებ — ჩვენ სავსებით ვიღებთ, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ლოგიკური კავშირი შესაძლებელია მხოლოდ მსჯელობებს შორის და არა საგნებს შორის, სამართალი კი ისე, როგორც სოციალური, არ წარმოადგენს მსჯელობას, არამედ საგანს. სამაგიეროდ, ჩვენ სრულებით ვერ შევუერთდებით რეცენზენტის მტკიცებას, თითქოს სარეცენზიო ნაშრომი უარყოფდეს სამართალსა და სოციალურ მოვლენებს შორის კავშირს. აქ საკამათო არაფერია, საკმარისია მხოლოდ ის, რაც სარეცენზიო ნაშრომში შავით თეთრზე არის დაწერილი, სისწორით იქნეს წაკითხული და ამით აშკარა გახდება, რომ რეცენზენტი სრულებით დამახინჯებულად გადმოსცემს სარე-

---

<sup>6</sup> სიტყვა “Ergänzungsbedürftig”, რომელსაც რეცენზენტი ხმარობს, აქ იმავე გარემოების გნოსეოლოგიურ ასახვას წარმოადგენს, რომელიც, ონტოლოგიის ენაზე გადატანილი, დამოკიდებულების ცნებით აღინიშნება; სწორედ ამიტომ უპირატესობას ჩვენ ამ უკანასკნელ ტერმინს ვაძლევთ.



ცნზიო ნაშრომის დებულებებს ამ საკითხში. სათანადო ადგილები სარეცენზიო ნაშრომიდან, რომელნიც რეცენზენტის ზევით მოყვანილ მტკიცებას სავსებით აბათილებენ, მოყვანილია ჩვენი წერილის დასაწყისშივე და იქ დაწერილის განმეორება ზედმეტია. ამგვარად, რეცენზენტის ზევით მოყვანილი მსჯელობა სარეცენზიო ნაშრომის დებულებათა ყალბად გადმოცემას ემყარება და ამ უკანასკნელის გამოაშკარავებასთან ერთად, მას ეკარგება დასაყრდენი ფუძე.

მაგრამ ამავე მსჯელობას ახასიათებს კიდევ მეორე გაუგებრობა. რეცენზენტის აზრით, სამართალი და სოციალური, სხვათა შორის, იმიტომ არ უნდა წარმოვიდგინოთ მთლიანობის ცალკე მხარეებად ანუ ნაწილებად, რომ ნაწილებად ყოფნა ნიშნავს *Ergänzungsbedürftig*-ად ყოფნას, „ხოლო სამართალი და სოციალური კი ავტორის გამოკვლევაში არსებობენ, როგორც ორი საგანი ორი დამოუკიდებელი მეცნიერებისა“ (გვ. 211), ე.ი. რეცენზენტს ჰგონია, რომ თუ მოვლენების გარკვეული კომპლექსი ორი სხვადასხვა მენციერების საგანს შეადგენენ, მათ შორის შეუძლებელია რაიმე დამოკიდებულების არსებობა ასეთი შეხედულება აშკარად შემცდარია, ვინაიდან ამა თუ იმ მეცნიერების მიერ მოვლენათა გარკვეული კომპლექსის თავის საგნად დასახვა, აშკარაა, ვერავითარ ცვლილებას ვერ გამოიწვევს თვით მოვლენებში და კერძოდ კი, ვერ მოსპობს იმ დამოკიდებულებებს, რომელნიც აღნიშნულ მოვლენებსა და სხვა მოვლენებს შორის არსებობენ; ამიტომ ამა თუ იმ საგნის განსაზღვრული მეცნიერების შესწავლის ობიექტად ცნობა შორეულადაც კი არ იძლევა რაიმე საფუძველს აღნიშნული საგნის სხვა მენციერებათა საგნებთან დამოკიდებულების უარსაყოფად.

ბ) გადავიდეთ ესლა რეცენზენტის მეორე დასკვნის შეფასებაზე, რომლის თანახმად, „რაკი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სახელმწიფოს შინაარსს ვერ ამოსწურავს... სახელმწიფო, როგორც ასეთი, სახ. სამ. მეცნიერების საგანს აღარ წარმოადგენს“. ამავე დასკვნას რეცენზენტი იმეორებს 210-ე გვერდზე, მაგრამ კიდევ უფრო გარკვეული ფორმით. აქ ნათქვამია: „რაკი სახელმწიფო ჩვენი ავტორის თეორიის თანახმად არ არის თანაბარი სამართლისა, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ერთადერთი საგნობრივი შინაარსია, ცხადია, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი (როგორც მთლიანობა, ე.ი. როგორც საგანი) არ შეიძლება სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენდეს“. აღნიშნული დასკვნებიდან რეცენ-

ზენტს შემდეგ ის დებულება გამოჰყავს, რომ იურისტს, რომელიც სამართალს სწავლობს, არ შეუძლია იფიქროს თითქოს ის სახელმწიფოს სწავლობდეს და რომ ის, ვინც სახელმწიფო სამ. მეცნიერების საგანს ნორმათა სისტემაში ხედავს, მაგრამ სახელმწიფოსა და სამართალს არ გააიგივებს, დაუკარგავს სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას თავის საგანს, ე.ი. სახელმწიფოს.

მთელი ეს არგუმენტაცია ზოგიერთი ცნების ორაზროვნად ხმარებას ემყარება და საკმარისია ამ ორაზროვნების გამოსწავრა, რომ მას დასაყრდენი ფუძე გამოეცალოს. განვიხილოთ უფრო დაახლოებით, თუ რაშია საქმე. როდესაც რეცენზენტი ხმარობს გამოთქმას „სახელმწიფო, როგორც ასეთი“ საკითხავია, თუ რას გულისხმობს ის აქ. თუ ამ გამოთქმით ნაგულისხმევია სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი, მაშინ რეცენზენტი ღია კარებს არახუნებს, ვინაიდან სარეცენზიო ნაშრომი სწორედ იმ დებულებიდან გამოდის, რომ სამართალი ან, უკეთ, სახელმწიფოს სამართლებრივი მხარე, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს შეადგენს, არ ამოსწურავს სავსებით სახელმწიფოს ბუნებას. ამ დებულების უარსაყოფად საჭირო იყო ან იმის დამტკიცება, რომ, სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი სამართლით ამოიწურება და, რომ ამიტომ სახელმწიფო და სამართალი ერთი და იგივე აღმნიშვნელი ტერმინებია; ან იმის დამტკიცება, რომ სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი მარტო სოციალურით ამოიწურება და სამართლებრივი მომენტი აქ მოცემული არ არის, არც ერთს და არც მეორე საკითხს რეცენზენტი არც კი ეხება და ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტი გამოთქმით - „სახელმწიფო, როგორც ასეთი“ ან „სახელმწიფო, როგორც მთლიანობა“ - სახელმწიფოს მთელ შინაარსს გულისხმობდა, მის არგუმენტაციას ყოველგვარი აზრი ეკარგება, ვინაიდან სწორედ სარეცენზიო ნაშრომის დებულება არის, რომ სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი არ შეისწავლება მარტო სახ. სამ. მეცნიერებით და ამ დებულებაზე მითითება არ წარმოადგენს რაიმე ნაკლის აღმოჩენას სარეცენზიო ნაშრომში, სანამ არ იქნება დამტკიცებული საინააღმდეგო, ე.ი. ის, რომ სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი შეიძლება გაშლილ იქნეს მხოლოდ სახ. სამართლის მენცირებაში. ალბათ, გონიერებამ უკარნახა ჩვენს კრიტიკოსს ასეთი რამის მტკიცებას მორიდებოდა, ვინაიდან აშკარაა, რომ ის პანიურიდიზმი, რომელიც ამ მტკიცების ლოგიკურად აუცილებელ შედეგს წარმოადგენს, ყველაზე უფრო გამოუსადე-

გარი და უნაყოფო გზაა სახელმწიფო სამართლის პრობლემების დამუშავებისას.

მაგრამ გამოთქმით - „სახელმწიფო, როგორც ასეთი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს აღარ წარმოადგენს“ - შეიძლება ნაგულისხმევი იყოს არა სახელმწიფოს მთელი შინაარსი და მასასადამე, ის აზრი, რომ სახელმწიფოს მთლიან შინაარსს არ ამოსწურავს სახელმწიფო სამართლის მეცნიერება, არამედ ის აზრი, რომ სახელმწიფო სრულებით არ შეისწავლება სახ. სამ. მეცნიერებისგან, რომ მართლაც რეცენზენტს ეს ჰქონდა მხედველობაში, ამას თითქოს ზევით აღნიშნული გამოთქმის შემდგომ უშუალოდ თანამომდევნო სტრიქონები ადასტურებს. აქ ნათქვამია: „იურისტს, რომელიც იკვლევს ნორმათა სისტემას... არ ძალუძს იფიქროს, რომ იგი თითქოს სახელმწიფოს იკვლევს“. რეცენზენტის ასეთი დასკვნა ამკარად უსაფუძვლოა, ვინაიდან ელემენტარული დებულებაა, რომ ამა თუ იმ კომპლექტის მთლიანობის ცალკე მხარის, ანუ ამ კომპლექტის მთლიანობის შინაარსიდან ნაწილის შესწავლა თვით მთლიანობის (ნაწილობრივ) შესწავლას ნიშნავს. საწინააღმდეგოს მტკიცება იმ აბსურდულ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ მაგ., ანატომია, რომელიც ადამიანს იკვლევს არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ (ადამიანის ორგანიზმის აგებულებას) თითქოს ადამიანს არ უნდა სწავლობდეს.

ალბათ, რეცენზენტი თვითონვე გრძნობდა თავისი დასკვნის აბსურდობას და მდგომარეობის გამოსასწორებლად მას შემდეგი მოსაზრება მოჰყავს: „ამ შემთხვევაში მითითება იმაზე, რომ სახ. სამ. მეცნიერება თითქოს მხოლოდ სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს იკვლევს და სოციოლოგია კი სოციალურ მხარეს, ვერ გადაარჩენს ჩვენი ავტორის ძირითად დებულებებს, რადგანაც თვით ავტორის მეთოდის თანახმად, შეუძლებელია ნორმათა სისტემა, ე.ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი, წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარეს, რომლის აზრიც სამართლის შინაარსით სავსებით ვერ ამოიწურება“.

ჩვენი აზრით კი, სწორედ ამ არგუმენტაციის გადარჩენა არის შეუძლებელი საქმე. ადვილი შესამჩნევია, რომ მთელი ეს არგუმენტაცია ემყარება ისეთ დებულებას, რომელიც ზევით საკმაოდ ვრცლად იყო განხილული და მისი სრული უნიადაგობა გამოაშკარავებული: ეს არის დებულება იმის შესახებ, თითქოს შეუძლებელი იყოს სამართალი წარმოვიდგინოთ ისეთი მთლიანობის ცალკე მხარეს, რომლის შინაარსი

სამართლის სავესებით არ ამოიწურება და რომ თითქოს ასეთი შეუძლებლობა გამომდინარეობდეს სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად იმ სამართლებრივი შინაარსის ცნობებისგან, რომელიც სახელმწიფოს მთლიანობაში სოციალურის გვერდით არის მოცემული. ამ დებულების შეფასებასა და მისი უსაფუძვლობის გამოაშკარავებაზე ვრცლად შევჩერდით ზევით და ხელმეორედ ამავე საკითხს აღარ დაუბრუნდებით.

ამრიგად, ზევით მოყვანილ მოსაზრებათა მიხედვით, ჩვენი რეცენზენტის მეორე დასკვნაც - თითქოს სარეცენზიო ნაშრომის მეთოდოლოგია შეუძლებლად ხდიდეს სახელმწიფოს ცნობას სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად - გაუგებრობას წარმოადგენს და მას სერიოზული ანგარიში არ გაენევა.

ანგარიშგასაწევი არ არის, აგრეთვე, არც ის მოსაზრებანი, რომლებიც რეცენზენტს ზევით აღნიშნულ დასკვნებთან დაკავშირებით მოჰყავს 211-ე გვერდზე. აქ რეცენზენტი შემდეგნაირად მსჯელობს: „რაკი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი არ შეიძლება ჩავთვალოთ მთლიანობის ცალკე მხარედ; 2. რაკი ეს საგნობრივი შინაარსი იგივე არ არის, რაც სახელმწიფო და 3. რაკი იგი წარმოადგენს არა ნორმათა განსაზღვრულ სისტემას, არამედ საერთოდ ნორმებს... ცხადია, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება ჩვენი ავტორის მეთოდის თანახმად, არის არა მეცნიერება სახელმწიფოზე, არამედ უბრალო მოძღვრება სამართალსა და ნორმების შესახებ და თანაც ისეთი მოძღვრება, რომელიც თავის საგნად ვერასოდეს სახელმწიფოს ვერ ჩასთვლის“.

აქ მოყვანილი სამი დებულებიდან პირველი უსაფუძვლოა იმ მოსაზრებით, რომელიც ზევით (4-5) ვრცლად იყვნენ განვითარებულნი. მესამე დებულება ამკარად ყალბია, ვინაიდან სარეცენზიო ნაშრომის არცერთ გვერდზე სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად ცნობილი არ არის, საერთოდ, ნორმები; პირიქით, აღნიშნული ნაშრომის სხვადასხვა ადგილას ის, რასაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება უნდა სწავლობდეს, დახასიათებულია, როგორც იურიდიული მოწესრიგების („rechtlicher Regulierung“) სისტემა (გვ. 26), ე.ი. როგორც სამართლებრივი წესრიგი (Rechtsordnung), ან როგორც Rechtssein. რჩება, ამგვარად, მხოლოდ მეორე დებულება, რომლიდანაც ვერავითარი გზით ვერ გამოიყვანება დასკვნა, თითქოს სახელმწიფოს შესწავლა სახელმწიფო სამართლის

მეცნიერების კვლევა-ძიების რკალს მიღმა რჩებოდეს, ვინაიდან აშკარაა, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს იკვლევს, ამით თვით სახელმწიფოსაც (ნაწილობრივ) სწავლობს, ისე როგორც, მაგ., ფსიქოლოგია, იკვლევს რა ადამიანის ფსიქიურ მოვლენებს, სწავლობს ადამიანს, თუმცა ფსიქიური მთლიანად არ ამოსწურავს ადამიანის შინაარსს; და ეს იმიტომ, რომ სამართლებრივი მოცემულია, როგორც შემადგენელი ნაწილი სახელმწიფოს მთლიან შინაარსში და მისი შესწავლა, ცხადია, თვით სახელმწიფოს შესწავლაა.

ამგვარად, ჩვენ იმ უდავო შედეგამდე მივდივართ, რომ რეცენზენტის ზევით მოყვანილი დასკვნა ისეთ დებულებებს ემყარება, რომელთაგან პირველი უსაფუძვლოა, მესამე ყალბია და მეორე კი ისეთი შინაარსისაა, რომ დასკვნისთვის შორეულ საფუძველსაც კი არ იძლევა. ამიტომ თვით დასკვნაც ჰაერში რჩება დაკიდებული.

მაგრამ კიდევ უფრო კურიოზულია დანარჩენი მოსაზრებანი, რომელიც რეცენზენტს იმავე 221-ე გვერდზე მოჰყავს. აქ ნათქვამია: „მაგრამ, თუ ამ დასკვნის წინააღმდეგ გვიპასუხებენ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება... სწავლობს რა სამართლებრივ მხარეს ნამდვილად იკვლევს იმ ფენომენს, - რომელსაც სახელმწიფო ეწოდება და სოციალოლოგია სწავლობს რა მხოლოდ სოციალურს... იკვლევს იმავე სახელმწიფოს, მაშინ პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს მთელი შინაარსი აუცილებლად გაივსება სამართლის შინაარსით, ე.ი. სამართალსა და სახელმწიფოს შორის თანასწორობის ნიშანი დაისმის“...

ადვილი შესამჩნევია ის ელემენტარული ლოგიკური შეცდომა, რომელიც ამ მსჯელობაშია დაშვებული და რომელიც მას ყოველგვარ ღირებულებას უკარგავს. სახელდობრ, აშკარაა, რომ თუ სამართლის მეცნიერება სწავლობს სახელმწიფოს სამართლებრივ მხარს, ის იმ ფენომენს, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება, იკვლევს არა მთლიანად (როგორც ეს ნაგულისხმევი აქვს რეცენზენტს), არამედ ნაწილობრივ (მხარს) და ამიტომ აქ არავითარი საფუძველი არ არსებობს არც იმისთვის, რომ სახელმწიფოს მთელი შინაარსი გაივსოს სამართლის შინაარსით და არც იმისთვის, რომ სახელმწიფოსა და სამართალს შორის თანასწორობის ნიშანი დავსვათ. შეცდომა რეცენზენტის არგუმენტაციაში აქ იმდენად თვალსაჩინოა, რომ ზედმეტად მიგვაჩნია კიდევ რაიმე მოსაზრების მოყვანა. მაგრამ, თუ ეს არგუმენტაცია უსაფუძვლოა, რეცენ-

ზენტის მითითება რაღაც ორ სახელმწიფოზე, რომელთაგან ერთი სამართლებრივი, მეორე კი სოციალური შინაარსით ამოიწურება, ან რაღაც უხელისუფლებო სახელმწიფოზე, მითითება, რომელსაც რაიმე აზრი აქვს მხოლოდ ამ არგუმენტაციასთან დაკავშირებით, ერთ დიდ გაუგებრობას წარმოადგენს და იმ თავისებური ლოგიკის შედეგია, რომლის ნიმუშებიც რეცენზიაში ასე უხვადაა გაბნეული.

6. ჩვენი რეცენზენტი უფრო სხვა შეხედულებისაა ზევით დაყენებულ საკითხზე და ალბათ, ამიტომ არის, რომ იგი სხვა სახის მოსაზრებებით სცდილობს დაამტკიცოს ის დებულება, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემის აღიარებით, სახელმწიფოს გამოცელება ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს, ე.ი. სახელმწიფო მთლიანად სამართლებრივი შინაარსით გაივსება. რეცენზენტი აქ შემდეგნაირად მსჯელობს:

„თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იურისტს შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ სამართალზე სრულიად უექველი იქნება, რომ სახ. სამ. მეცნიერების საგნობრივ შინაარსს იგი მიაკუთვნებს მხოლოდ სამართალსა და იმას, რაც სამართლის განხორციელებას წარმოადგენს. მხოლოდ სამართლის ეს განხორციელება ან განსაკუთრებული ნორმების სისტემის Wirkuns-ი შეუძლია იურისტს აღიაროს სახელმწიფო სოციალურ რეალობად.“

რამოდენიმე სტრიქონს ქვევით რეცენზენტი განაგრძობს:

„იურისტს არ შეუძლია სახელმწიფოს შინაარსს მიაკუთვნოს სოციალურ ურთიერთობათა ყველა ფორმები, არამედ მხოლოდ ის ფორმები, რაც მოცემულია სამართალში, ე.ი. წარმოადგენს იმ სამართლის განხორციელებას, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსად არის აღიარებული. მაგრამ: თუნდაც დავუშვათ, რომ სახელმწიფოს შინაარსს შეადგენს არა სოციალურ ურთიერთობათა განსაზღვრული ფორმები, არამედ საერთოდ სოციალური, ამ შემთხვევაშიც შემდეგი დებულება უნდა გავიზიაროთ: იმისთვის, რომ საერთოდ სოციალური ვაღიაროთ, როგორც ნაწილი სახელმწიფოსი, რომელსაც სამართლებრივი მხარეც აქვს, საჭიროა მთლად სოციალური განხილულ იქნეს სამართლის თვალსაზრისით“. „იმ სოციალურის მოსაპოვებლად, რომელიც სამართალთან ერთად სახელმწიფოს შეადგენს, იურისტს შეუძლია მხოლოდ სამართლის კრიტერიუმით იხელმძღვანელოს. მაგრამ განა წარმოსადგენია, რომ სამართლის კრიტერიუმით სხვა რამ მოინახოს, თუ არა სამართა-

ლი? არა მგონია. ამიტომ ის სფერო, რომელიც ავტორის აზრით სახელმწიფოს სოციალური მხარეა, ან სრულიად უდნა მოსწყდეს სახელმწიფოს, ანდა ეს სოციალური მხარე უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სამართალი ან როგორც განხორციელება სამართლისა“, როგორც „სამართლებრივი მხარე სახელმწიფოსი, უფრო სწორედ: ეს სოციალური მხარე არის განხორციელება სახელმწიფოს სამართლებრივი მხარისა“, აღსრულება (Befolgung) ნორმათა იმ სისტემისა, რომელიც სახ. სამ. მეცნიერების საგნობრივ შინაარსს წარმოადგენს“ (გვ. 212-213).

ჩვენ განზრახ ასე ვრცლად მოვიყვანეთ რეცენზიიდან ადგილები, ვინაიდან აქ ძალიან ბევრი რამ არის ყურადღების მისაქცევი. პირველ ყოვლისა, ის გარემოება, რომ რეცენზენტი არსებითად განსხვავებულ ცნებებს, ერთი მეორის ნაცვლად ხმარობს. ცნებათა ასეთი არე-დარევის შედეგად კი სათანადო მოვლენები დამახინჯებულად არის გაშუქებული. ასე, მაგალითად: სამართლის განხორციელება, სამართლის Wirkung და სამართლის ნორმები Befolgung რეცენზიაში ერთმეორესთან გაიგივებულია, მიუხედავად არსებითი განსხვავებისა, რომელიც მათ შორის არსებობს. სამართლის განხორციელების ქვეშ შესაძლებელია ვიგულისხმოთ სამართლის შეფარდება ანუ სამართლის ზოგადი ნორმების რეალიზაცია ორგანოების აქტებში - გადაწყვეტილება - სისრულეში მოყვანის აქტებში Entschcheidungs und Vollrugsakte<sup>7</sup>. მხოლოდ ასეთის გაგებით, რომელშიც სამართლის განხორციელების ცნება გაიგივებულია სამართლის რეალიზაციისკენ მიმართულ ორგანოს აქტის ცნებასთან, იგი შედის სამართლის შინაგან სისტემაში, როგორც შემადგენელი ელემენტი და იგი დაპირისპირებულია არა სამართალთან საერთოდ, არამედ მხოლოდ სამართლის ზოგად ნორმებთან; მაგრამ ასეთი გაგებით შეუძლებელია სამართლის განხორციელება ცნობილ იქნეს სოციალურ რეალობად, რამდენადაც საერთოდ დაშვებულია განსხვავება სამართალსა და სოციალურ რეალობას შორის.

ყოველივე ეს არ შეიძლება ითქვას დანარჩენი ორი ცნების - Befolgung და Wirkung Befolgung-ის შესახებ, რომლებსაც რეცენზენტი რალაც გაუგებრობით სამართლის განხორციელებასთან აიგივებს. ნორმის Befolgung, ე.ი. ნორმისადმი დაქვემდებარება, ნორმით ხელმძღვანელობა მოქმედებაში, არ წარ-

<sup>7</sup> იხ., Verdross, Die Einheit des rechtlichen Weltbides, 1923, s. 80 ff.

მოადგენს სამართლის განხორციელებას ზევით ნახსენები მნიშვნელობით, ვინაიდან იგი არ არის სამართლის ზოგადი ნორმების რეალიზაციისკენ მიმართული ორგანოს აქტი. ამიტომ ლიტერატურაში სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ თუ სამართალს განხორციელებაზე მითითებით ჩვენ არ ვცილდებით სამართლის სფეროს, ნორმის *Befolgung* უკვე ისეთ ცნებას წარმოადგენს, რომელსაც მეტასამართლებრივ, ე.ი. არასამართლებრივ სფეროში გადავყავართ და ეს იმ-იტომ, რომ იგი (*Befolgung*) წარმოადგენს არა სამართლის მთლიანი სისტემის შინაგან რგოლს, არამედ სამართლის რეფლექსს სოციალურში<sup>8</sup>.

იგივე უნდა ითქვას სამართლის *Wirkung*-ის, ე.ი. სამართლის ნორმის მოქმედების, შესახებ. უკანასკნელი ცნების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ან ის, რომ სამართლის ნორმა მოქმედებს, ან კიდევ ის ზეგავლენა, ის სოციალური ეფექტი, რომელსაც ნორმა იწვევს. აშკარაა, რომ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მოვლენებთან, რომელნიც სამართალს არ მიეკუთვნებიან: განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მეორე შემთხვევის შესახებ, ვინაიდან ნორმის მოქმედების სოციალური ეფექტი ძალიან ხშირად სრულებით სანინააღმდეგოა ნორმის შინაარსთან და ასეთ შემთხვევებში, ცხადია, რომ სამართლის ნორმის *Wirkung*-ი ვერავითარი გზით ვერ იქნება ცნობილი სამართლის განხორციელებად და ამიტომ ვერც ამ უკანასკნელთან გაიგივებული, როგორც ამას რეცენზენტი სჩადის.

ამგავრად, როგორც ნორმის *Befolgung*, ისე ნორმის *Wirkung* არ წარმოადგენენ სამართლებრივ კატეგორიებს და ისინი სოციალურს მიეკუთვნებიან; მაგრამ, თუ ეს იქნება მიღებული მხედველობაში, რეცენზენტის დასკვნა - თითქოს იურისტს სახელმწიფოში მხოლოდ სამართლისა და სამართლის განხორციელების აღმოჩენა შეეძლოს, არ არის სწორი, ვინაიდან თვით რეცენზენტიც კი იძულებულია დაინახოს სახელმწიფოში ნორმის *Befolgung* და ნორმის *Wirkung*, რომელთაგან, როგორც ზევით იყო დასაბუთებული, არცერთი არ წარმოადგენს არც სამართალს და არც სამართლის განხორციელებას. მართო ეს ერთი მოსაზრებაც კი სავსებით არღ-

---

<sup>8</sup> იხ., Verdross, loc. cit. s. 81-82; Kelsen, Hauptprobleme, s. 48; მისივე - Das Problem der Souveränität, s. 88 ff.



ვევს რეცენზენტის ზევით მოყვანილ მსჯელობებს. მაგრამ აქ საჭიროა რამოდენიმე სიტყვით მეორე საკითხზე შეჩერება.

თვით მსჯელობაში რეცენზენტი აღნიშნავს, რომ სოციალურის აღმოსაჩენად იურისტს შეუძლია იხელმძღვანელოს მხოლოდ სამართლის კრიტერიუმით, ამ უკანასკნელით კი შეიძლება მოინახოს მხოლოდ სამართალი. რით ასაბუთებს რეცენზენტი ამ მსჯელობას? არაფრით, გარდა ერთი უშინაარსო გამოთქმისა, რომელიც რეცენზენტს, ალბათ, აქსიომატიურ დებულებად მიაჩნია: „რომ იცოდე რა გაკვია, უნდა იცოდე რა გავქვს“. საკვირველი დასაბუთებაა! ჯერ ერთი, ეს რეცენზენტის „აფორიზმი“ სწორი არ არის, ვინაიდან მარტო იმის ცოდნით, თუ რა გვაქვს, ჩვენ მხოლოდ იმას გავიგებთ, თუ რა არ გვაკვია, მაგრამ არასდროს არ გვეცოდინება ის, რაც გვაკვია; მაგრამ ყოველივე ამას რა კავშირი აქვს სამართლის კრიტერიუმით სოციალურის ძებნას საკითხთან? ან, მეორე მხრით, რას ნიშნავს სამართლის კრიტერიუმით სოციალურის ძებნა? განა „სოციალური“ მოსაპოვებელი რამ არის, რომელიც მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუ სამართლის კრიტერიუმს მოვიმარჯვებთ? რა შინაარსი იგულისხმება თვით სამართლის კრიტერიუმის ცნებაში? აი, ყველა ის საკითხი, რომლების გაშუქებაც რეცენზენტისათვის სავალდებულო იყო, თუ მას არ სურდა, რომ მის მსჯელობას რეცენზიის ამ ნაწილში უშინაარსო ფრაზეოლოგიის ხასიათი მიეღო. თავისთავად ცხადია, რომ სოციალური უშუალოდ არის მოცემული და სწორედ ამიტომ არავითარი კრიტერიუმები მისი „მოპოვებისთვის“ საჭირო არ არის; მეორე მხრით, ვერავითარი და მითუმეტეს სამართლის კრიტერიუმი (რომლითაც თურმე მარტო სამართლის აღმოჩენა ყოფილა შესაძლებელი, კარგი კრიტერიუმი, რომელიც თუმც სოციალურის „მოსაპოვებლად“ არის განკუთვნილი, მაგრამ, რომელიც სწორედ იმ თავისებურებით ხასიათდება, რომ სოციალურს ვერასოდეს „მოგვანახვიებს“!) სინამდვილიდან ვერ ამოშლის იმ სოციალურ რეალობას, რომელიც სახელმწიფოს მთლიან შინაარსში უშუალოდ არის მოცემული. შესაძლებელია, რომ იურისტს უფრო სხვა ინტერესები ჰქონდეს ამ სოციალურის შესწავლის დროს; შესაძლებელია, მას აინტერესებდეს არა მთლიანად სოციალური, არამედ სახელმწიფოს სოციალური შინაარსის ის ფენა, რომელიც სამართალთან უფრო ახლოს სდგას, რომელიც სამართალთან უშუალო დამოკიდებულებას გვიჩვენებს, მაგრამ საკითხთან ასეთი (იურიდიული) მისვლით, ცხადია, არც ის არის დამტკიცებუ-

ლი, რომ სახელმწიფოს მთლიანი სოციალური შინაარსი ამ ფენით ამოინურებოდეს, და არც ის, რომ საერთოდ, სოციალურის „მოპოვება“ შესაძლებელი იყოს საკითხთან ასეთი „იურიდიული კრიტერიუმით“ მისვლით. აშკარაა, რომ ამ გზით ჩვენ პირველი კი არ ვპოულობთ სოციალურს, არამედ გარკვეულ ფენას, გარკვეულ ნაწილს გამოვყოფთ უშუალოდ მოცემული სოციალურიდან, რომელშიც, ცხადია, სხვა „ნაწილებიც“ იგულისხმება.

ამგვარად, რეცენზენტის ზევით ვრცლად მოყვანილი არგუმენტაცია შორს არის დაცილებული სერიოზულ მეცნიერულ მსჯელობას და ასეთი არგუმენტაციით არავითარ შეთხვევაში არ შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს რეცენზიაში წამოყენებული დებულება, თითქოს სახ. სამართლის მეცნიერების საგნად სამართლის აღიარება, შეუძლებლად ხდიდეს სახელმწიფოს მთლიან შინაარსში სოციალურის აღმოჩენას, მიუხედავად ამისა, რეცენზენტს მთელი ეს ჭიქის ფეხებზე შეყენებული არგუმენტაცია მტკიცე და ურყევი მიაჩნია!

რეცენზიის მთავარი დებულებანი ჩვენს მიერ უკვე განხილულია. დარჩა რამდენიმე დამატებითი მოსაზრება, რომელიც რეცენზენტს ზევით განხილულ მსჯელობათა გასამაგრებლად მოჰყავს და რომელზედაც მოკლედ შევჩერდებით.

214-ე გვერდზე რეცენზენტი შემდეგ საკვირველ დებულებებს აყენებს:

„თუ ავტორს არ სურდა, რომ მისი მეცნიერება სახელმწიფო სამართლისა ყოფილიყო ხან სისხლის სამართლის, ხან სამოქალაქო სამართლის, ხან საფინანსო სამართლის, ხან კიდევ სხვა რომელიმე სამართლის მეცნიერება (რადგანაც სამართალს ეს მეცნიერებანიც იკვლევენ), მას სამართლის საერთო სისტემა უნდა წარმოედგინა, როგორც მთელი რიგი საფეხურებისა (Rechtsstufen), რომელთაგან ერთი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს შეადგენს... მაგრამ ვინ, ან რა ანყოზს სამართლის საფეხურებს თუ არა სახელმწიფო?“

რამდენიმე სტრიქონი ქვევით:

„ამგვარად, იმისთვის, რომ სამართლის სისტემაში თავისებური საფეხურიანობა შევქმნათ და ამით სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას განსაზღვრული საფეხური მივაკუთვნოთ, საჭიროა ორიენტაცია სახელმწიფო აქტის იდეაზე და, მაშასადამე, საჭიროა ვაღიაროთ ამ აქტების მატარებელიც, ე.ი. სახელმწიფო იურიდიულ პირად უნდა ჩავთვალოთ.“

აქედან რეცენზენტს გამოჰყავს დასკვნა, რომ სარეცენზიო ნაშრომისთვისაც (რამდენადაც იგი სახ. სამ. მეცნიერების საგანს ნორმათა განსაზღვრულ სისტემაში ხედავს) სავალდებულო იყო სახელმწიფოს იურიდიულ პირად აღიარება, ვინაიდან „თუ ჩვენ არ მივიღეთ სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი, შეუძლებელი იქნება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სახ. სამართლის მეცნიერება ნორმათა განსაზღვრულ სისტემას იკვლევს“.

განვიხილოთ ჯერჯერობით, თუ რამდენად სწორია აქ მოყვანილი დებულებანი. ვინც იმ თეორიას იცნობს, რომელსაც ჩვეულებრივ აღნიშნავენ, როგორც *Stufentheorie des Rechtes*, ე.ი. თეორიას სამართლის საფეხურებრივ აგებულების შესახებ, მას არ შეიძლება განსაცვიფრებლად არ მოეჩვენოს, ერთი მხრით, ის გარემოება, რომ რეცენზენტი სამართლის საფეხურებრივ დანაწილებას უკავშირებს იურიდიულ მეცნიერებათა დღეს არსებულ სისტემატიკას, ხოლო მეორე მხრით კი, ის ლოგიკური კავშირი, რომელიც რეცენზენტის მტკიცებით აუცილებლად არსებობს აღნიშნულ თეორიას და სახელმწიფოს იურიდიულ პირად აღიარებას შორის. ორივე ეს დებულება გაკვირვებას იწვევს, ვინაიდან არცერთი მათგანი შორეულადაც კი არ ჩამოჰგავს სინამდვილეს.

შევჩერდეთ პირველ დებულებაზე. სამართლის საფეხურებრივი წყობის თეორია გამომუშავებულია, როგორც რეაქცია გაბატონებული შეხედულების წინააღმდეგ, რომლის თანახმად, სამართალი კანონით ან კანონისმაგვარი აქტებით ამოიწურება. ამის საწინააღმდეგოდ, აღნიშნული თეორია უთითებს<sup>9</sup>, რომ კანონი სამართლის სხვადასხვა მოვლენებს შორის მხოლოდ ერთ სახეს წარმოადგენს, რომლის გვერდით მოცემულია სხვა სახეები, როგორიცაა მაგალითად, რეგლამენტი, ადათი, კონსტიტუციონალური აქტები, სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული აქტი, კერძო უფლებრივი გარიგებანი. ყველა ეს სამართლებრივი მოვლენა საფეხურებრივ, ე.ი. ცალკე ფენებად არის მოცემული, სადაც უმაღლეს საფეხურს, ე.წ. ძირითადი ნორმა (*Ursprungsenform*) წარმოადგენს, ხოლო ყველაზე უფრო დაბალ საფეხურს, ე.წ. ფაქტიური ხასიათის აქტები (*rein tatsächlichen Akte*).

---

<sup>9</sup> იხ. სხვათა შორის, Merkl, *die Lehre v. der Rechtskraft*, 1923, s. 181 ff; Merkl, *Allgemeines Urwaltungsrecht*, 1927, s. 157, ff; Verdross, *Die Verfassung der Völkerrechtsgemeinschaft*, 1926, 42 ff.

ამ თეორიიდან, სხვათა შორის, ზოგიერთ ავტორს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ იურიდიულ მეცნიერებათა არსებული სისტემატიკა, რომელიც სამართალს ჰყოფს “nach inhaltlich-praktischen Gesichtspunkten” და ამ თვალსაზრისით, სამართალდებულებათა (Rechtssatz) ნაწილს სახელმწიფო სამართალს, ნაწილს ადმინისტრაციულ სამართალს, სამოქალაქო სამართალს და სხვ. აკუთვნებს, უნდა უარყოფილ იქნეს და მის ნაცვლად, უნდა გამოიყენებოდეს ახალი სისტემატიკა; უკანასკნელს სურს არსებულ სისტემატიკაში “von aussen her erfolgte Einteilung durch eine aus dem Innern des Rechts stammende ersetzen...”.

ამგვარად, სამართლის საფეხურები წყობის თეორია არამც თუ არ უკავშირდება იურიდიულ მეცნიერებათა არსებულ სისტემატიკას, არამედ არსებითად უარყოფს მას. რეცენზენტი კი აღნიშნავს: „თუ ავტორს არ სურდა, რომ მისი მეცნიერება სახელმწიფო სამართლისა ყოფილიყო ხან სისხლის სამართლის, ხან სამოქალაქო სამართლის, ხან საფინანსო სამართლის... მეცნიერება, მას სამართლის სისტემა უნდა წარმოედგინა, როგორც მთელი რიგი საფეხურებისა, რომელთაგან ერთი სახ. სამ. მეცნიერების საგანს შეადგენს“, ე.ი. რეცენზენტი ამბობს, რომ სამართლის მეცნიერებათა არსებული სისტემატიკის ფარგლებში (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი და სხვ.) სახ. სამართლის მეცნიერების სხვა სამართლის მეცნიერებათაგან გამიჯვნისთვის, საჭირო იყო სამართლის საფეხურებრივი წყობის თეორიის გამოყენება. სინამდვილეში კი ეს თეორია, როგორც ნახსენები იყო, საერთოდ უარყოფს არსებულ სისტემატიკას და უკანასკნელის ფარგლებში მეცნიერებათა ერთიმეორისგან გამიჯვნის დროს, ცხადია, სახელმძღვანელოდ აღებული ვერავითარი გზით ვერ იქნება. ეს არის პირველი გაუგებრობა, რომელიც რეცენზენტის ზევით მოყვანილ დებულებებს ახასიათებს.

მაგრამ დამოუკიდებლად ამისა, საერთოდ, რა შუაშია აქ სამართლის საფეხურებრივი თეორია? ვისაც კი სარეცენზიო ნაშრომი წაკითხული აქვს, უნდა იცოდეს, რომ იქ არსად დასმული არ არის საკითხი სახ. სამ. მეცნიერების სხვა სამართლის მეცნიერებათაგან გამიჯვნის შესახებ და ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ამ ნაშრომის ძირითადი დებულების თანახმად სახ. სამ. მეცნიერების საგნის სწორი განმარტება მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, რაც წინასწარ გაშუქებული იქნება ის თავისებურება, რომელიც სამართალს საერთოდ ახასიათებს. სწორედ ამიტომ არის, რომ

სარეცენზიო ნაშრომი მთლიანად ამ წინასწარი ამოცანის გადაჭრას აქვს მიძღვნილი, ე.ი. მასში დასმულია საკითხი იმ ძირითადი ელემენტების შესახებ, რომელთაც სამართალში ვხვდებით ამ ელემენტების ბუნებისა და იმ დამოკიდებულებათა შესახებ, რომელნიც სამართლისა და არა სამართლებრივ (სოციალ-ეკონომიურ და სხვ.) მოვლენებს შორის არსებობენ. გასაგებია აქედან, რომ აქ არამც თუ არ არის დასმული საკითხი სახ. სამ. მეცნიერების სხვა იურიდიულ მეცნიერებათაგან გამიჯვნის შესახებ, არამედ ასეთი საკითხი აქ ვერც დაისმება, ამიტომ არც სამართლის საფეხურებრივი წყობის თეორიისადმი მიმართვა იყო საჭირო სარეცენზიო ნაშრომის ავტორისთვის, როგორც ამას რეცენზენტი ფიქრობს, მაგრამ, თუ ეს ასეა, ყველა დასკვნა, რომელსაც ჩვენი კრიტიკოსი აკეთებს 215-216-ე გვერდებზე, ჰაერში რჩება დაკიდებული.

ესლა გადავიდეთ ამ დასკვნების შინაგანი ლოგიკის შეფასებაზე, ე.ი. იმაზე, თუ რამდენად გამომდინარეობენ ერთი მეორისგან რეცენზენტის სხვადასხვა დებულებანი.

მას შემდეგ, რაც რეცენზენტმა სარეცენზიო ნაშრომის ავტორისთვის სავალდებულოდ სცნო სამართლის საფეხურებრივი თეორიისადმი მიმართვა, იგი განაგრძობს: აღნიშნული თეორიის გაზიარება აუცილებლად გულისხმობს სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობას, ამ უკანასკნელი დებულების დასამტკიცებლად რეცენზენტს ორი მოსაზრება მოჰყავს: ა) ის, რომ სამართლის საფეხურებს სახელმწიფო აწყობს და ბ) რომ სამართლის საფეხურებრივი თეორია აუცილებლად საჭიროებს ორიენტაციას სახელმწიფო აქტის იდეისაკენ და ამიტომ ამ თეორიისთვის აუცილებელია ამ აქტების მატარებლის აღიარებაც, ე.ი. სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობა.

ორივე ეს მოსაზრება უსაფუძვლოა. შევჩერდეთ პირველ მოსაზრებაზე. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს მოსაზრება უსაფუძვლოა მარტო იმიტომ, რომ სამართლის საფეხურებრივი თეორიის თანახმად, ყველაზე უმაღლესი საფეხური სამართლის ფენებში ეგრეთ წოდებული Ursprungsnorm, ე.ი. ძირითადი ნორმა, საერთოდ არ ატარებს დადგენილი (gesetzte) ანუ დანესებული ნორმის ხასიათს<sup>10</sup> და ამიტომ მის მიმართ ყოველ შემთხვევაში უაზროა იმის თქმა, თითქოს მას სახელმწიფო „აწყობს“.

---

<sup>10</sup> იხ., Merkl, op. cit. s. 179 ff.; Kelsen, Allgemeine staatslehre, 1925, s. 104 ff.

მაგრამ უკანასკნელი გამოთქმა უაზროა, აგრეთვე, სამართლის სხვა დანარჩენი საფეხურების მიმართ, ვინაიდან იმ ავტორების თვალსაზრისით, რომელნიც საფეხურებრივი თეორიის საფუძველზე სდგანან ამა თუ იმ მოქმედების სახელმწიფოს მოქმედებად ცნობა შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ სამართალდებულების (Rechtssatz) საფუძველზე, მაშასადამე, იმ მოქმედებისაც, რომელიც, რეცენზენტის გამოთქმით, სამართლის საფეხურების „ანყობაში“ მდგომარეობს; ე.ი. ეს უკანასკნელი მოქმედება უკვე გულისხმობს სამართლის ცალკე ფენების წინასწარ მოცემულობას და ამიტომ სრული უაზრობა იქნებოდა მტკიცება, თითქოს იგი, ე.ი. ეს მოქმედება, პირველად „ანყობდეს“ სამართლის საფეხურებს.

გადავიდეთ ესლა რეცენზენტის მეორე მოსაზრებაზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო აქტის იდეისკენ ორიენტაცია, რომელიც აუცილებლად საჭიროა სამართლის საფეხურებრივი თეორიისთვის, გულისხმობს ამ აქტების მატარებელსაც, ე.ი. სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობას. ეს მოსაზრებაც უბრალოდ გაუგებრობას წარმოადგენს. ასეთი გაუგებრობის შესაძლებლობას თითქოს გრძნობდა საფეხურებრივი თეორიის წარმომადგენელი მერკლი (სწორედ ის მერკლი, რომელსაც რეცენზენტი უთითებს) და ამიტომ იგი ერთერთ თავის ნაშრომში გარკვევით აღნიშნავს<sup>11</sup>, რომ გამოთქმას „staatsakt“ (სახელმწიფოებრივი აქტი) იგი ხმარობს „nur als Mittel der Verständigung mit dem Leser“ და რომ პრეციზული აღნიშვნისთვის უნდა ხმარებულ იქნეს ტერმინი „Rechtserscheinung“, ე.ი. სამართლებრივი მოვლენა. ამ მითითებებიდან აშკარაა, რომ ტერმინი „staatsakt“ სამართლის საფეხურებრივი თეორიის ფარგლებში იხმარება, როგორც ტექნიკური ტერმინი და არა როგორც იმ გარემოების აღმნიშვნელი ცნება, თითქოს სახელმწიფო აქტის „მატარებელი“ იყოს. ჩვენი რეცენზენტის მთელი მსჯელობა კი მხოლოდ ასეთს „ტერმინოლოგიურ საფუძველს“ ემყარება და საკმარისია „სახელმწიფოებრივი აქტის“ ნაცვლად, ვიხმაროთ ტერმინი „სამართლებრივი მოვლენა“, რომ მას დასაყრდენი ფუძე გამოეცალოს.

ზევით მოყვანილი მოსაზრების გარდა, რეცენზენტი, სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობის აუცილებლობის და-

---

<sup>11</sup> იხ. Merkl, Die Lehre von der Rechtskraft, s. 218.

სამტკიცებლად, შემდეგ საკვირველ არგუმენტაციას მიმართავს: „თუ ავტორი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ნორმათა ერთგვარი განსაზღვრული სისტემაა, მას სახელმწიფო აუცილებლად იურიდიულ პირად უნდა ელიარებინა და რამოდენიმე სტრიქონით ქვევით თუ ჩვენ არ მივიღეთ სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი, შეუძლებელი იქნება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სახ. სამ. მეცნიერება ნორმათა განსაზღვრულ სისტემას იკვლევს“ (გვ. 214-215).

ამგვარად, ჩვენი კრიტიკოსის აზრით, ნორმათა გარკვეული სისტემის სამართლის სხვა ნორმებიდან გამოყოფა და სახელმწიფო სამ. მეცნიერების ობიექტად დასახვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სახელმწიფოს იურიდიულ პირად ვცნობთ. ამ არგუმენტაციაში საკვირველია ერთი რამ: რატომ მართო სახ. სამ. მეცნიერებას უნდა ახასიათებდეს ასეთი მდგომარეობა? ან შესაძლებელია რეცენზენტი ფიქრობს, რომ სხვა იურიდიულ მეცნიერებაში მდგომარეობა ანალოგიურია, ე.ი. რომ იქაც ნორმათა სისტემის ჩამოყალიბებისა და გამოყოფისთვის საჭიროა იურიდიული პირის იდეისადმი მიმართვა? მაშინ ჩვენთვის ძალიან საინტერესო იქნებოდა რეცენზენტის აზრი იმის შესახებ, თუ რომელი იურიდიული პირის იდეა უძევს საფუძვლად იმ ნორმათა სისტემას, რომელიც სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისა ან ადმინისტრაციული, სისხლის და სხვ. სამართლის მეცნიერებათა საგანს შეადგენს. აშკარაა, რომ არცერთ აქ დასახელებულ მეცნიერებაში ნორმათა გარკვეული სისტემა, რომელიც თითოეული მათგანის შესწავლის საგანს შეადგენს, არ ემყარება იურიდიული პირის იდეას და თუკი აღნიშნულ მეცნიერებაში ნორმათა გარკვეული სისტემის თითოეული მათგანისათვის გამოყოფა შესაძლებელია იურიდიული პირის იდეის გარეშე, აშკარაა, რომ ასეთ შესაძლებლობას მოკლებული არ იქნება არც სახ. სამ. მეცნიერება. ამგვარად, არცერთი ზევით მოყვანილი მოსაზრებით არ არის დამტკიცებული სახელმწიფოს იურიდიულ პირად აღიარების აუცილებლობა, ამიტომ ყველა ის დასკვნა, რომელიც რეცენზენტს ზევით მოყვანილ დებულებიდან გამოჰყავს ჰაერშია დაკიდებული. რეცენზენტის მთელი მსჯელობა რეცენზიის ამ ნაწილში შემდეგნაირია: 1. სარეცენზიო ნაშრომის ავტორისთვის აუცილებელი იყო სამართლის საფეხურებრივ თეორიაზე დაყრდნობა; 2. აღნიშნული თეორია მოითხოვს სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობას; 3. სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობა საჭიროა,

აგრეთვე, იმისთვის, რომ სახ. სამ. მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემა დავსახოთ; 4. ამიტომ, სარეცენზიო ნაშრომისთვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობა; 5. იურიდიული პირი, სარეცენზიო ნაშრომის თანახმად, სავსებით სამართლის შინაარსით ამოიწურება; 6) მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ სარეცენზიო ნაშრომის დებულებას, რომლის თანახმად სახელმწიფოში ორი მხარეა - სოციალური და სამართლებრივი, აუცილებელია დასკვნა, რომ სახელმწიფო, რამდენადაც სახელმწიფოს მხოლოდ სამართლებრივი მხარე შეიძლება განსახიერებულ იქნეს სახელმწიფოს, როგორც იურიდიული პირის ცნებაში, ერთი თავის ნაწილით გვევლინება, როგორც იურიდიული პირი, მეორე ნაწილით კი ასეთ პირს არ წარმოადგენს.

მთელი ეს მსჯელობა თავიდან ბოლომდე ყალბსა და უნადაგო დებულებებზეა აგებული. სახელდობრ, ამ მსჯელობის პირველი დებულების საწინააღმდეგოდ, ზევით დამტკიცებულია, რომ სამართლის საფუძვლებრივი თეორიისადმი მიმართვა სარეცენზიო ნაშრომისთვის საჭირო არ იყო; შემდეგ, დამტკიცებულია ისიც, რომ აღნიშნულ თეორიასა და სახელმწიფოს იურიდიულ პირად აღიარებას შორის არავითარი ლოლიკური კავშირი არ არსებობს; დამტკიცებულია ისიც, რომ სახ. სამ. მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემის დასახვა არ მოითხოვს სახელმწიფო იურიდიულ პირად ცნობას. ყოველივე ამით კი ის არის დამტკიცებული, რომ სარეცენზიო ნაშრომისთვის საჭირო არ იყო სახელმწიფოს იურიდიული პირის იდეისადმი მიმართვა, ე.ი. ის, რომ რეცენზენტის საბოლოო დასკვნას ნადაგი არ აქვს.

დაგვრჩა კიდევ სათქმელი ორიოდე სიტყვა რეცენზენტის იმ დასკვნების შესახებ, რომელიც მას მოყვანილი აქვს 216-217-ე გვერდებზე და სადაც აღნიშნულია, თითქოს სარეცენზიო ნაშრომის ძირითადი დებულების მიხედვით, შეუძლებელი იყოს ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის დაყენებაც კი. თავის დასკვნას აქ რეცენზენტი ორ მოსაზრებას ამყარებს: 1. იმას, რომ თითქოს „ავტორის მეთოდით კავშირი სამართალსა და ხელისუფლებას შორის საბოლოოდ განწყვეტილი იყოს“ და 2. რომ თითქოს სარეცენზიო ნაშრომში გატარებული არ იყოს განსხვავება ხელისუფლებასა და ძალის ცნებებს შორის; რომ, სახელდობრ, ხელისუფლება უნდა გაგებულ იქნეს, როგორც „სამართლით მოწესრიგებული ძალა“ ან როგორც „სამართლის მიერ მოწესრიგებული შესაძლებლობა სამართლის განხორ-



ციელებისა, ასეთი გაგებით კი იგი აუცილებლად შეერთვის სამართლებრივს“.

ამ მოსაზრებიდან პირველი აგნარიშგასანევი არ არის, ვინაიდან იგი სარეცენზიო ნაშრომში გამოთქმული აზრების ყალბად გადმოცემას ემყარება (როგორც ეს ჩანს ჩვენი წერილის დასაწყისში მოყვანილი ადგილებიდან).

ანგარიშგასანევი არ არის არც მეორე მოსაზრება, რაიმე დამაჯერებელი ძალა მას ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებული იქნებოდა, რომ ხელისუფლება ან უფრო სწორედ Gewalt (ვინაიდან სარეცენზიო ნაშრომის სიტყვა Gewalt-ს ხმარობს) და მას ქართულად ტერმინი „ხელისუფლება“ სავსებით ადეკვატურად არ გადმოსცემს, უნდა გაგებულ იქნეს, როგორც „სამართლის მიერ მონესრიგებული შესაძლებლობა სამართლის განხორციელებისა“. მაგრამ სად ან ვინ დაამტკიცა, რომ ამ ცნებას სწორედ ასეთი შინაარსი უნდა მიეცეს? თვით რეცენზენტს ამის დასამტკიცებლად ერთი მოსაზრებაც კი არ მოჰყავს, ხოლო ლიტერატურას თუ მივმართავთ, დავინახავთ <sup>12</sup>, რომ Gewalt-ის ცნებით, უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ძალა იგულისხმება, რამე სამართლებრივი მომენტებისგან გაშიშვლებული, ამიტომ ამ ცნების ხმარება სოციალურის აღსანიშნავად და უკანასკნელის სამართლისგან განსხვავების მიზნით სავსებით ეთანაბრება ამ ცნების გავრცელებულ ხმარებას და იგი სრულიად გამართლებულია.

ბოლოს საჭიროა კიდევ ერთი მომენტის აღნიშვნა: რეცენზენტი ფიქრობს, რომ სარეცენზიო ნაშრომის მეთოდის მიხედვით, თითქოს შეუძლებელი იყოს ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთობის პრობლემის დაყენება. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმ მოსაზრებათა დეტალურ განხილვას, რომელნიც რეცენზენტს 217-ე გვერდზე აქვს მოყვანილი, ვინაიდან ეს რეცენზიის რეცენზია იქნებოდა. აქ აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ამ მოსაზრებათა მიხედვით, რეცენზენტი ხელისუფლების და სამართლებრივის გაიგივებამდე მიდის, მაგრამ, თუ ამას გავითვალისწინებთ, უდაო გახდება, რომ ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი სწორედ ჩვენი რეცენზენტისთვის არის გადაქცეული შეუძლებელ პრობლემად.

---

<sup>12</sup> იხ. ამის შესახებ, Ad. Menzel, Zum Problem Recht und Macht, Zeit schr. f. off. recht, 1925, Bd V, s.2 off.

